ძართულ-კავკასიური ურთიერთობების ისტორიის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

სერიის "განათლების კერები კავკასიაში" პირველი წიგნი

ეძღვნება

თელავის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის

დაარსების 145 წლისთავს

მარინე გობაიძე
გიორგი ჯავახიშვილი

ქალთა განათლების კერები თელავში

თბილისი
2010

UDC (უაკ) 374.7+373.5-055.2 (479.22)
გ–59

წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია საქართველოს ერთ-ერთ ძირძველ და დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო ტრადიციების მქონე ქალაქ თელავში სხვადასხვა დროს არსებული ქალთა განათლების კერებისა და მათ შორის წმ. ნინოს სასწავლებლის (1865-1921 წწ.) ისტორია.

დასაბუთებულია, რომ აღნიშნულ ქალაქში არსებულმა ქალთა განათლების კერებმა საქართველოს არაერთი ღირსეული შვილი აღუზარდა.

სამეცნიერო რედაქტორი

პროფესორი ნიკო ჯამახიშვილი

რეცენზენტები:

პროფესორი ამბროსი გრიშიკაშვილი

პროფესორი ნინო მოდებაძე

წიგნი გამოდის ალავერდის ეპარქიის შემწეობით.

© *მარინე გოგბაიძე, გიორგი ჯაფარიშვილი, 2010*

ISSN 1987-8672
ISBN 978-9941-0-1650-9

ქალთა განათლების ისტორიისათვის თელავში

"თუ რომელიმე ხალხის გაცნობა გინდა, იმ ქვეყნის ქალები უნდა გაიცნო, შეისწავლო, ისინი არიან თაყისი ქვეყნისა და ხალხის მაჩვენებელი, როგორც ბარომეტრი ტაროსისა" – აკაკი წერეთლის ამ სიტყვებით დამოძღვრილნი შეეუდექით თელავის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის ისტორიის შესწავლას.

ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულები – საქართველოს დამსახურებული მასწავლებლები: ნინო ყაზახაშვილი, თამარ თურქესტანიშვილი, ნინო გამყრელიძე-მაჭავარიანისა, დარია აბელიშვილი და სხვები, გასული საუკუნის შუა ხანებში ჯერ კიდევ მოღვაწეობდნენ როგორც ქალაქ თელავის, ასევე თელავის რაიონის ცალკეული სოფლების სკოლებში. აი, სწორედ მათგან ჩავიწერეთ მოგონებები და შევკრიბეთ დოკუმენტური მასალა, რომლებიც თანდათან ჩვენს არქივში დაუნჯდა.

ცნობილია, რომ კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვის (1782-1856) მეუღლის, ელისაბედ ქსაველრის ასულის თაოსნობით, 1846 წელს თბილისში დაარსდა წმ. ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება. მათი მესვეურობით საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში: თბილისში (1846), ქუთაისში (1847) და თელავში (1865) გაიხსნა ქალთა სასწავლებლები, რომელთაც წმ. ნინოს სახელი მიენიჭათ.

ელისაბედ ვორონცოვა იყო გრაფ ქსაველრი ბრანიცკისა და რუსეთის არისტოკრატიის ბრწყინვალე წარმომადგენლის ალექსანდრა ენგელგარდტის ასული, რომელსაც ბედმა არგუნა ყოფილიყო პოეტ ალექსანდრე პუშკინის შთაგონება და მისი მრავალი ლექსის ადრესატი. მას თანამედროვენი ახასიათებენ როგორც სათნო, კდემამოსილ, კეთილშობილ ქალბატონს. თბილისში ის ხელმძღვანელობდა ლიტერატურულ სალონს, რომელიც 1854 წლამდე არსებობდა.

საქართველოდან წასვლის შემდეგ, კავკასიის მეფისნაცვლის მეუღლე დასახლდა ყირიმში, სადაც რუსეთში სასწავლებლად მიმავალ აკაკი წერეთელს გულთბილად შეხვდა.

აკაკის მოგონებებში, რომელიც ცნობილია სახელწოდებით "ჩემი თაეგადასავალი", ეკითხულობთ: "ვორონცოვის კნეინამ შეილივით მიმიღო და დედაშვილურად მომექცა. გამომკითხა ყველას ამბავი და ბოლოს გიშრის ჯვარი რომ გადაეცი, დიდი სიამოვნება დაიმჩნია: "ვახსოვარ ქართველებს და სჩანს, რომ ჩემს ქმარს მალე არ დაივიწყებენო".

ელისაბედ ვორონცოვამ ახალგაზრდა აკაკი მეორე დღეს სადილზე მიიპატიჟა, მაგრამ ქალბატონის ავადმყოფობის გამო, ეს შეხვედრა ვეღარ შედგა. სამაგიეროდ, აკაკი ელისაბედის ექიმმა ანდრეევსკიმ მიიღო სადილად და თან თავადის ასულის მიერ გამოგზავნილი მოზრდილი პაკეტი გადასცა.

აკაკი იგონებდა, რომ მას გადასცეს "რაღაც ქაღალდში გრძლად დახვეული ლეღვის ჩირიეით... ხელში რომ ავიღე, მემძიმა. ვნახე, რომ ბაჯაღლო ოქროები იყო... ეს სახსოვრად გამოგიგზავნა კნეინამო" – ეკითხულობთ აკაკის მოგონებებში (იხ.: ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1958, გვ. 78-80).

თელავში ქალთა სასწავლებლის გახსნის მესეური იყო ანა ბაგრატიონი-ჭავჭავაძისა (1828-1905), რომელიც გონიერებითა და სილამაზით განთქმულ ადამიანად ითელებოდა. ის იყო ასული ილია ბატონიშვილისა (1790-1854), ანუ შვილთაშვილი სახელოვანი მეფე ერეკლე II-ისა და მეუღლე გენერალ-მაიორ დაჟით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძისა (1817-1884).

1860 წელს ანა ბატონიშვილმა მოიპოვა თელავში ქალთა სასწავლებლის გახსნის უფლება, რაშიც მას პოეტი-მამულიშვილი გრიგოლ ორბელიანი დაეხმარა. მესეურს ნება დართეს, რომ სასწავლებელი გახსნილიყო კახთ მეფეთა სასახლეში. თუმცა საჭირო იყო ამ შენობის შეკეთება და დაშენება. შედგა ხარჯთაღრიცხვა და სასწავლებლის ხელშეუხებელ ფონდში შემოწირულობების შეტანა დაიწყო. ამ საქმიანობაში 5 წელიწადი გაეიდა.

1865 წლის 5 სექტემბერს, თელავში, ნადიკეარზე, თავად ეახვახიშვილთა სახლში (ამჟამად, ის შენობა რჩეულიშვილებს ეკუთვნით), კერძო შემოწირულობებით გაიხსნა წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი. პირველ წელს იქ 12 გოგონა მიიღეს, მეორე წელს კი — 25. ამ ორი წლის განმავლობაში ეს სკოლა ეახვახიშვილებისაგან ნაქირავებ შენობაში ფუნქციონირებდა.

ამასობაში, შემოწირულობებით იმდენი თანხა დაგროვდა, რომ კახთ მეფეთა სასახლეს, არქიტექტორ ალბერტ ზალცმანის (1833-1897) პროექტით, მეორე სართულიც დააშენეს. ასე, რომ შენობა მზად იყო 30 გოგონასათვის. ამისათვის 11 ათასი მანეთი დაიხარჯა. აქედან შემოწირულობებიდან შეგროვდა 5 ათასი მანეთი, ხოლო 6 ათასი — კაეკასიის მეფისნაცვლისაგან სესხის სახით შემოვიდა. სესხის დასაფარად გათვალისწინებული იყო ეორონცოვის მეუღლისაგან ყოველწლიურად შემოწირული 10 ათასი მანეთი.

1864 წელს შეიქმნა სასწავლებლის გამგეობა ექვსი პიროვნების შემადგენლობით: ანა ბაგრატიონი-ჭავჭავაძისა (თავჯდომარე), თელაეის თავადაზნაურთა წინამძღოლის მეუღლე ეკატერინე მაყაშვილი, მომრიგებელი მოსამართლის მეუღლე ბარბარე ჯორჯაძე, თელაეის მაზრის ექიმის მეუღლე ნატალია ვერმიშეეა, თელაეის მაზრის უფროსის მეუღლე და წეერი — გამგეობის საქმეთა მმართველი პროკურორი კანანოვი.

1867 წლის 11 იელისს, თელავში, კახთ მეფეთა სასახლის გადაკეთებულ შენობაში დაფუძნდა წმ. ნინოს ქალთა საწავლებელი.

აი, როგორ აღწერს გაზეთ "დროების" კორესპოდენტი ამ ღირსსახსოვარ დღეს: "ამ დღეს იკურთხა უწინდელი ჩვენი მეფეების სასახლე და დაინიშნა თელავის წმინდა ნინოს ზაეედენიისათეის. მთელი თელავის უეზდის კეთილშობილნი თანაუგრძნობდნენ ამ შემთხვეევას. დიდი და პატარა შეგროვილნი იყვნენ სობოროსთან და აღტაცებით მოელოდნენ ამ სახლის კურთხეევას. დილის 10 საათზედ დაიწყო წირვა სობოროში, წირვის შემდეგ ჟეელა სამღედელონი ცერემონიით გაუძღვნენ წინ ხალხს და შევიდნენ სასახლეში, გადაიხადეს პარაკლისი და შემდეგ ნაკურთხი წყლით ასხურეს თეით შენობა და იქ მყოფნი. ამით გათავდა დღესასწაული და საზოგადოება აპირებდა დაშლას.

გენერალმა დაეით ჭავჭავაძემ მიიწეია ჟეელანი საუზმეზედ, რომელიც გაგრძელდა 3 საათამდის. ამ ხნის განმაელობაში წარმოთქმული იყო რამდენიმე სიტყეა და მათ შორის,

თელავის უეზდის მარშალმა თავის სიტყვის შემდეგ, რომელშიც უძღვნა მოელის კეთილშობილების სახელით გულითადი მადლობა იმპერატორს და იმპერატრიცას, დიდ მთავარსა და მთავარინას, ნამესტნიკს, მის მეუღლეს და კნეინა ეორონცოვისას. მათის განუწყვეტელის შრომისათვის ჩვენს კეთილდღეობაზედ დალია სადღეგრძელოები მათი. საზოგადოებამაც თანაუგრძნო.

შემდეგ დალიეს სადღეგრძელო ყველა ამ ზაეედენიის წეერებისა და თანამშრომლებისა, მათ შორის კნეინა ანნა ჭავჭავაძისა, რომელსაც უძღვნეს დიდი მადლობა ამ საქმის თაობისათვის. საუზმის შემდეგ საზოგადოება დაიშალა.

საღამოს 8 საათზედ ამ სასწაელებლის ზალაში დანიშნული იყო ბალი წმ. ნინოს ზაეედენიის სასარგებლოდ. ბილეთები იყიდებოდა ორსა და ერთ მანეთად. ხალხი ბეერი შეგროედა, უცხონი და აქაურები, დროსტარება გაგრძელდა ნაშუაღამეეს 2 საათამდის. ხალხი დაიშალა სრულიად კმაყოფილი და ნასიამოენები".

1897 წელს აკაკი წერეთელმა კახეთში მოგზაურობის დროს დაათვალიერა თელავის წმ. ნინოს სასწაელებელი და შთაბეჭდილებებში აღნიშნა: "თვითონ სასახლეში კი "წმინდა ნინოს" დედათა სასწაელებელია გამართული და სწორე მოგახსენოთ, უკეთეს დანიშნულებას ვერ მისცემდნენ ამ ძეელ ნაშთს.. თვითონ სასწაელებელი კარგად არის დაყენებული. ეტყობა, რომ მოელა და ყურადღება არ აკლია.

მე რომ მიეედი, მაშინ აქ პარაკლისს იხდიდნენ; გალობას პატარა ქალები ამბობდნენ მწყობრათ და ხმატკბილათ, ერთხელ "უფალო შეგეიწყალეც" გამოურიეს და მაშინ კი შეეტყოთ ცოტა ხმის აკანკალება. ამ სასწაელებელს, ეგონებ, საშუალება აკლია და ამიტომაც ვერ გასწდომია ყველა მსურეელების მოელას. მაგიერობას კერძო უფასო შკოლები ჩადიან; აქ დედა-ენასა და რუსულს ერთად ასწაელიან, ე. ი. ერთს მეორის შემწეობით, და წარმატებაც დიდია" (იხ.: ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XIII, თბ., 1961, გვ. 315).

ამავე წერილის აეტორის ცნობით, "მომავალ აგვისტოში თელავის ჩინოვნიკობა და სხვანი კეთილშობილნი ამ უეზდისა აპირებენ მისცენ რამდენიმე წარმოდგენა თელავში — წმინდა ნინოს ზაეედენიის სასარგებლოდ. ეს კარგი იმედია".

მოვიტანთ კიდეე ერთ ცნობას წმ. ნინოს სასწაელებლის სასარგებლოდ, საქეელმოქმედო მიზნით ჩატარებული ღონისძიების შესახებ.

1867 წლის 17 თებერეალს გაზეთი "დროება" (№ 7) იუწყებოდა: "ქ. თელავში, დიდ გალაეანში, იყო ძეელი სახლები, რომლებსაც ეწოდებოდა მეფის სასახლე. ამ შენობის განახლება ისურვა მისმა იმპერატორობის უმაღლესობამ ნამესტნიკმა კაეკასიისამ და ზედ მიდგმით მოუმატეს რამდენიმე სახლები წარსულს 1866 წელს. მართლაც, რომ დიდი მშეენიერი შენობაა. ეს სახლები მზადდება წმინდა ნინოს ზაეედენიისათვის. ამჟამად ზაეედენიის ნაჩალნიცასა ჰყავს თხუთმეტამდის მოსწავლე ყმაწეილი ქალები თავისთანა. და რომ ეს შენობა დასრულდება, ზაეედენიას მიეცემა წარმატება შეილების აღსაზრდელად. ამას დიდი სიამოენებით მოელის კახეთის მხარე.

წარსულს 1866 წელსა ყოფილა ორი წარმოდგენა ქართული თეატრისა: 1. "გაყრა" და 2. "მზის დაბნელება". პუბლიკასაც დიდი სიამოვნება მიუღია წარმომადგენელთაგან და რაც შემოსავალი ყოფილა ზავედენიის სასარგებლოდ გაუტარებიათ. ახლა ამ ყველიერის კეირაშიც აპირებენ ერთ-ერთის ქართული პიესის წარმოდგენას ამ განზრახვით, რომ შემოსული ფული გადაიდევას ზაედენიისათვის. ამასთანავე აქაურთა განათლებულთა ქალთა რამდენიმე მშვენიერი ხელით ნაწარმოები ნიეთები შეუმზადებიათ ლატარიაში სათამაშებლათ. ამ ლატარიიდამ გროვდება ფული 200 მანეთამდე, რომელსაც სდებენ ზაედენიის სასარგებლოთ. ღეთის მადლით ეს მხარეც შედის განათლების მოძრაობაში.

უფალო რედაქტორო! ეგონებ, ამ გვარნი კეთილი მოქმედებანი და განსრახვანი არ იქნება უჯერო, რომ შეატყობინონ ხოლმე კორესპოდენტებს. წესის და გვარად "დროების" რედაქციას გადასაცემათ "დროების" მკითხველისადმი".

1891 წლის 31 იანვარს, გაზეთ "იერიაში" (№ 24) აღნიშნული იყო: "თელავი. 26 ამ თვისას, თელავის მაზრის მარშლის მეუღლის კნ. მ. ვახვახოვისა და სხვათა მეთაურობით გამართულ იქნა ბალი თელავის წმ. ნინოს სასწაულებლის დარბაზში იმავე სასწაულებლის სასარგებლოდ. თელავის პატარა საზოგადოება ამისთანა საქველმოქმედო საქმეს მეტად გულმხურვალედ ეკიდება ხოლმე და ამ შემთხვევაშიაც არ დასტოვა უყურადღებოდ ასეთი სასარგებლო საქმე.

საზოგადოება ძლიერ ბლომად დაესწრო და საკმაოდ ნასიამოვნებიც დარჩა. მხიარულებას საზღვარი არ ჰქონდა. ახალგაზრდობა თუ თამაშითა სტკბებოდა, ხანშიშესულები ყურებითაც კმაყოფილნი დარჩნენ. თვითონ დარბაზიც ლამაზად იყო მოწყობილი, ბუფეტიც მნიშვნელოვნად ჰქონდათ შემკობილი. ეტყობოდათ, რომ თადარიგის მიმცემნი ამ საქმეს გულგრილად არ მოჰკიდებოდნენ. თუმცა წმ. ნინოს სასწაულებლის დარბაზი კარგა მოსრდილია. მაგრამ საზოგადოებას, სიმრავლის გამო, სივიწროვე აწუხებდა. შაზოგადოება დილის ხუთ საათამდე არ დაშლილა. შემოსავალი ბილეთების გაყიდვისა და ბუფეტის ნაეაჭრი 500 მანეთამდე შესდგა".

გაზეთ "იერიის" (№ 75) კორესპონდენტ "ნადიკერელის" ცნობით, წმ. ნინოს სასწაულებელს ჰქონია 200 თუმნამდის, მაგრამ სასწაულებლის ყოველწლივ დახმარებისათვის საჭირო იყო არანაკლებ 100 თუმნისა. ამის გამო 2 აპრილს შეკრებილან თელავის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლის ილია გიორგის ძე ჯორჯაძის მოწვევით და დაუდგენიათ, რომ სასწაულებელს ყოველწლიურად ეძლეოდეს თბილისის სათავადაზნაურო ბანკიდან 100 თუმანი შესაწევნად ბანკის მოგებიდან. მაშინ ამ სასწაულებლის გამგეობის ხელმძღვანელი ყოფილა ს. გ. ვახვახიშვილი (იხ.: გაზეთი "ივერია", 1894, № 75).

1895 წლის 9 იანვარს, თელავის მაზრის უფროსის მეუღლის განსვეიჩის ხელმძღვანელობით, წმ. ნინოს სასწაულებლის სასარგებლოდ "სალხინო ნადიმი" გაიმართა. გაზეთ "იერიის" კორესპონდენტი "ი" (ილია ზარაფიშვილი) იტყობინებოდა, რომ "ნადიმს დაესწრნენ ყველა მოსწაულეთა მშობელნი და მრავალი გარეშენი, ასე რომ სიღნაღის მაზრიდანაც იყვნენ. რადგანაც თელავის დედათა წმ. ნინოს სასწაულებელში სწავლობდნენ მცხოვ-

რებელთა ყველა წოდების შვილები". იმავე წლის 14 აპრილს გამართული ბალიდან შემოსული 110 მანეთი გადაუცია სასწავლებლის ხელმძღვანელისათვის".

თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში სწავლება იყო ორკლასიანი: თითო კლასი – ორწლიანი სწავლების კურსით და ორი – მოსამზადებელი კლასით. სულ სწავლება 6 წელს გრძელდებოდა. სწავლის ქირად დაწესებული იყო წელიწადში 100 მანეთი, I კლასის გამოკლებით. პირველ წელს აღნიშნული 100 მანეთის გარდა, ერთდროული გადასახადი იყო პანსიონერთათვის – 30 მანეთი, ხოლო გარედან მოსულთათვის – 15 მანეთი.

1865-1866 წლებში აღნიშნულ სასწავლებელში 34 მოსწავლე ქალი სწავლობდა. აქედან 18 – პანსიონერი იყო, 2 – ნახევრად პანსიონერი, ხოლო 14 – გარედან მოსიარულე.

1867 წელს აქ სწავლობდა 32 გოგონა, 1868 წელს – 39, 1869 წელს – 37, 1870 წელს – 42, 1872 წელს – 49, 1873 წელს – 59, ხოლო 1876 წელს – 63.

აღნიშნული სასწავლებლის შესახებ საყურადღებო ცნობებია დაცული მისი გამგეობის წევრის ნ. მიტროფანოვას მიერ შედგენილ პატარა წიგნში (იხ.: Краткая история Телавского женского учебного заведения Св. Нины, Тифлис, 1901).

სასწავლებლის პირველ კურსდამთავრებულთა შორის ყოფილან: ანასტასია ანდრონიკაშვილი, სოფიო ეახეახიშვილი (მომავალში – აკადემიკოს იოანე ჯავახიშვილის დედა), ეკატერინე ვაჩნაძე, ბარბარე რუსიშვილი და სიდონია სულხანიშვილი.

თელავის წმ. ნინოს სასწავლებლის გახსნიდან რამდენიმე წელი ისე გაიდა, რომ იქ ქართული ენა და საქართველოს ისტორია არ ისწავლებოდა.

ამასთან დაკავშირებით, ცნობილი ქართველი პედაგოგი ნიკო მთვარელიშვილი იტყობინებოდა: "საცოდავ მდგომარეობაში იყო ქართული ენა და ყოველიეე ქართული აღნიშნულ სასწავლებელში... დამახინჯებულს მდგომარეობაში იმყოფებოდა მშობლიური ენა და ისტორია 1876 წლამდის. ამ საგნებს ასწავლიდა მღვდელი სოლომონ ფირანიშვილი, რომელსაც ასე ახასიათებს გაზეთ "დროების" კორესპონდენტი "მოსისხლე მტერი და მდევნელი ყველა ქართულისა: ენისა, ისტორიისა, ჩვეულებისა..."

უფრო მეტიც, "ქართული ენა, ეისაც პირში ჰქონდა უნდა ამოელო, მოეჭრა და მის მაგიერ რუსული ენა ჩაედგა, მაგრამ რადგან ამის მოხერხება ყოელად შეუძლებელი საქმე იყო, ამისათვის თუმცა ყველა ქალებს ქართული ენები პირში ეწყოთ, მაგრამ ქართულად ხმის ამოღება არ შეეძლოთ, რადგან რაღაც გულზედ "ფიცრის" ჩამიკიდებისა ეშინოდათ და იყვნენ ამ ყოფაში იმ დრომდის, ვიდრემდის 1879 წელს წმ. ნინოს სასწავლებლის მოსამზადებელ კლასებშიაც არ შემოიღეს ქართული ენის სწავლება".

1876 წლიდან სასწავლებელში შემოიღეს ქართული ენის სწავლება, ოთხივე კლასში ორ-ორი გაკვეთილი, რასაც ილია ზარაფიშვილი ატარებდა. მან "გონივრული ქართული წიგნების კითხვის გარდა, ქალებს სამშობლოს ისტორიაც შეასწავლა".

გოგონების გამოცდას ნიკო მთვარელიშვილი დაესწრო. იგი წერდა: "დიდი სიამოვნებით ვისმენდი ქალებისაგან გადმოცემულს საქართველოს ისტორიას. ამათ ზედმიწევნით

იცოდნენ თვითეული ისტორიული გეამი და მისი მნიშვნელობა საქართველოს წარმატებისა და ამაღლებისათვის" (იხ.: გაზეთი "დროება", 1881, № 117).

მაშასადამე, ყოველივე ქართულის სწავლება მაინც დაბალ დონეზე იყო, სანამ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ამ სასწავლებელში მასწავლებლად არ მოვიდნენ ძმები ილია და ქრისტეფორე ზარაფიშვილები. როგორც "დროების" კორესპონდენტი იტყობინება, 1881 წელს წმ. ნინოს სასწავლებლის ყველა კლასში არ შემოიღეს ქართული ენის სწავლება: "საქმე მხოლოდ ის არის დიდხანს გასტანს ამისთანა მდგომარეობა ქართული ენისა, თუ არა, ან რა იყო მიზეზი, რომ სამშობლო ენამ ყველა საგნებზედ უკან შედგა ფეხი წმინდა ნინოს სასწავლებელში? განა სამშობლო ენა სხვა საგნებზედ ძირს დგას თავისი ღირსებით და მნიშვნელობით? ან იქნება თვით ქართული ენის დაცემა იყოს ამის მიზეზი? რა უნდა იყოს მიზეზი, თუ ერთი უმეცრება და გაუგებრობა არა სამშობლო ენის მნიშვნელობისა ახალი თაობის აღზრდაში?

მაგრამ ეხლა ჩვენ ეს საგანი არ გვაწუხებს, ჩვენ გვინდოდა მხოლოდ ის გეთქვა, რომ სიღარიბე და უფულობა წმ. ნინოს სასწავლებელს დაეტყობოდა ხოლმე და ახლაც ეტყობა მხოლოდ ჩვენს სამშობლო ენას; მაშინ ასწავლიან ამას, როდესაც მუქთა მასწავლებელს უნდა ვეძებდეთ და ეპოვებდეთ ძირძველ სენს სასწაელებლისას; ამგვარ საძირკველზედ აშენებული სასწავლებელი, რომელიც უნდა გვაძლევდეს ნამდვილ ქართველ დედებს, ზნეობით გაცვეთილ და გონებით დაფუტუროებულ ქალების მეტს ვერ მოგვცემს".

ამავე აზრისა იყო დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილიც. იგი მიუთითებდა, რომ წმ. ნინოს სასწავლებლები "მაღალი მიზნის მისაღწევად იყვნენ დაარსებულნი. მათ უნდა მოემზადებინათ ნამდვილი განათლებულნი ქალნი, დემოკრატიული მიმართულებისანი, დემოკრატიული ყოფაქცევისანი... მათ უნდა აღეზარდათ გონიერნი დედანი, მოქმედი პირნი სახოგადო ასპარეზზედ, მაგრამ ყველა მოლოდინი ფუჭად დარჩა. არცერთი იმედი საზოგადოებისა არ იქნა განხორციელებული. ეს სასწავლებლები ზრდიდნენ და ზრდიან არა ნამდვილად გონიერ ქართველ დედებს, არამედ, რაღაც დამახინჯებულს რუსინკებს, რომელთაც არც ქართული იციან ხეირიანად, არც რუსულში არიან დახელოვნებულები...

უმთავრესი მიზეზი ამ უნაყოფობისა გახლავთ ის გარემოება, რომ ამ სასწავლებლებს ფეხი არ აუდგიათ გამაცხოველებელს ნიადაგზე. ამ გამაცხოველებელის ნიადაგს შეადგენენ ქართული ფაქტორები: ენა, მწერლობა, ლიტერატურა, გეოგრაფია, ისტორია, ყოფა-ცხოერება იმ ერისა, რომელთაგანაც გამოდიან მოწაფეები და რომელიც უნდა დაბრუნდნენ სწავლის დამთავრების შემდეგ ღვაწლიანი ცხოერებისათვის, ნაყოფიერი არსებობისათვის" (იხ.: ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1955, გვ. 262-263).

მიუხედავად იმისა, რომ დიდმა პედაგოგმა ასეთი მკაცრი შეფასება მისცა საქართველოში იმხანად არსებულ წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლებს, თელავის ქალთა სასწავლებელში მოღვაწე პატრიოტი და ენთუზიასტი მასწავლებლების მესვეურობით, ქართული საქმის კეთება მაინც ხერხდებოდა. ამას ადასტურებს ქვემოთ მოყვანილი ფაქტები.

თაეის სტატიაში ნიკო მთვარელიშვილი წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის არსებულ სხვა პრობლემებსაც შეეხო; კერძოდ, სასწაულებელ'ში გამეფებულ უწიგნურობას, ბიბლიოთეკის სიღარიბეს, ქართული გალობის ცოდნას და ცეკვების შეუსწავლებლობას.

ნ. მთვარელიშვილი საჭიროდ თელიდა, რომ "ქალებმა წესიერად უნდა შეისწაელონ ქართული ენა, მისი გრამატიკული თვისებანი, სამშობლო ისტორია ბიოგრაფიულად მაინც და ზოგიერთი ნიმუში საქართველოს ისტორიიდან. ურიგო არ იქნებოდა, რომ აღნიშნულ სასწაულებელში მოიწვიონ რუსული და ქართული გალობის მცოდნე გვამი, რომლისთვისაც მას შორს წასელა და ძებნა არ სჭირდება".

სწაელებაში შემჩნეულ ხარვეზად ითელებოდა აგრეთვე ისიც, რომ თელაეის წმ. ნინოს სასწაელებლის კურსდამთაერებულთაგან თბილისში არსებულ ამაეე ტიპის საშუალო სასწაელებელ'ში იშვიათად თუ ვინმე აგრძელებდა სწაელას.

სასწაელებლის ისტორიაში ამ უმნიშვნელოვანესი მოელენების ქრონოლოგიურ ჩამონათვალში გამგეობის წევრს ნ. მიტროფანოვას მითითებული აქვს, რომ 1875 წელს შემოღებულ იქნა საგნების სწაელება განათლების სამინისტროს პროგიმნაზიის პროგრამით; 1877 წელს თაეადმა დ. ს. ჭაეჭაეაძემ სასწაელებელს შესწირა 2000 მანეთი; 1889 წლიდან ძლიერდება რუსული ენის სწაელება; იმაეე წელს დაიწყო სომხური ენისა და სომხურ-გრიგორიანული აღმსარებლობის ღვთისმეტყველების სწავლებაც; 1890 წელს სასწაელებელში შემოღებულ იქნა მეაბრეშუმეობის პრაქტიკული მეცადინეობები; 1892 წლიდან დაიწყეს სწაელება ფრანგული ენისა და მუსიკისა, 1898 წლიდან კი – მუსიკის, ცეკვის, საგუნდო სიმღერებისა და ჭრა-კერვისა. იმაეე წელს სახალხო განათლების სამინისტრომ სასწაელებელს პროგიმნაზიის უფლებები მიანიჭა (იხ.: Краткая история Телавского женского учебного заведения Св. Нины, Тифлис, 1901).

1877 წელს თელაეის წმ. ნინოს სასწაელებლის ისტორიაში პირეელად შემოღებულ იქნა თაეად დიმიტრი სულხანის ძე ჭაეჭაეაძის მიერ ბოძებული სახელობითი სტიპენდია – 2000 მანეთის ოდენობით. დაწესდა სახელოენი რუსი მწერლების ალექსანდრე გრიბოედოეისა და ალექსანდრე პუშკინის სახელობის სტიპენდიებიც.

სასწაელებელში, სხვადასხვა დროს, ე. წ. "ნაჩალნიცებად" მუშაობდნენ რუსი და გერმანელი ქალები. მისი არსებობის უკანასკნელი სამი წლის განმაელობაში სასწაელებლის უფროსის მოვალეობას ასრულებდა ქალბატონი ზინაიდა ივანეს ასული კეელიშვილი.

სხვადასხვა დროს აქ მასწაელებლად მოღვაწეობდნენ: ილია და ქრისტეფორე ზარაფიშვილები, ვასილ ბარნოვი, ლადო მესხიშვილი (ცნობილი მსახიობი), ნიკო სულხანიშვილი, ვალერიან სიდამონ-ერისთავი (ცნობილი მხატვარი), ივანე როსტომაშვილი, ელისაბედ ქართველიშვილი. საღმრთო სჯულს სხვადასხვა დროს ასწაელიდნენ: შიო შიუკაშვილი, მიხეილ ხელაშვილი და მიხეილ ელიზბარაშვილი.

სასწაელებლის ზედამხედველად მუშაობდა ბარბარე მიხეილის ასული თურქესტანიშვილი (25 წლის განმაელობაში), ხოლო ინსტრუქტორად – დიმიტრი ცისკარიშვილი.

ამ სასწავლებლის მოსწავლეებს პქონდათ არალეგალური გაზეთი და ჟურნალიც. ჩეენამდე მოაღწია ხელნაწერმა ჟურნალმა "წყაროს", რომელშიც გამოქვეყნებულია "ნ. ხელოსნიძის" ლექსი "ჩემი სამშობლო" და "ქართველის" წერილი "რა აკლია საქართველოს?" რომელშიაც ნათქვამია: "ჩვენს ხალხს მართებს, რომ იცოდნენ და წამოეწიენ განათლებაში წინ წასულ ჩვენს უცხოელ ძმებს".

წერილი ასეთი მოწოდებით მთავრდება: "მაშ, აბა! საქართველოს შეილნო, ეისწავლოთ, რომ რაიმე სასარგებლო მოუტანოთ ჩვენს დაჩაგრულ სამშობლოს და შემდეგ მაინც გაუმჯობესდეს ჩვენს ერს ცხოერება".

ჟურნალ "წყაროს" (№ I) ფურცლებზე ეკითხულობთ "სხიემოსილის" ლექსს "აღდგომის მილოცვას", "კოლომერიძის" ჩანახატს "ჩემი სოფელი". ამ ნაწარმოების შინაარსიდან ჩანს, რომ აეტორი სოფელ ქვემო ხოდაშნიდან ყოფილა. იგი ასე აღწერს თავის სოფელს: "ქოჩორა მუხის ქვემოდან არის ჩემი სოფელი... აღმოსავლეთით მას საზღერად უდევს წინანდლის რიყე... დასავლეთით არტყია ხშირი ბუჩქნარი... სამხრეთით უძეეს სახნავი მიწები, ბოლოები კი ეენახებით არის სავსე... ამის ზემოდან სდგას წმინდა საყდარი ამიდასტური... აქ დავინახე პირველად სინათლე, სიცოცხლის ძალა... მე ჩემ ტოლ-ამხანაგებში დაერბოდი მინდერად და ჭალად... დილიდან საღამომდის ეედარ ეამჩნეედი დაღლას... რომ მოატანდა საღამო, მზე დაიწყებდა ჩასელას, მაშინ გაერბოდი შინისაკენ"...

ჟურნალის ფურცლებზე ჩაწერილია მოთხრობა "უბედური დედა", ი. წილაბნელის ლექსი "მიწუხს გული" და გ. დურუჯელის ლექსი "დურუჯს". ეს უკანასკნელი ასეთ სტრიქონებს შეიცავს:

"დაწყნარდი ჩვენო დურუჯო!
ჩასდექ შენს კალაპტშია,
თორემ დაგაშრობთ ერთხელაც
იყავი მოლოდინშია.
ხან ერთად ჩამოვარდები
ხან გაიყოფი ორადა
ეენახი რიყედ გეიქციე,
მინდორი ქვა და ღორღადა,
ეგ სიაეკაცე იკმარე,
ნუ აღელდები მეტადა
თორემ ძველ დანაშაულსაც
სულ მოგიკრეფავთ ერთადა..."

სწორედ ამ ლექსის შინაარსიდან დგინდება, რომ ჟურნალი "წყარო" გამოსულა 1906 წელს, როდესაც აღიდებულმა მდინარე დურუჯმა ყვარელი წალეკა.

აი, რას გვაუწყებს ამის შესახებ დიდი ილია ჭავჭავაძის მოურავი ნოშრევან ჯაფარიძე: "1906 წელს, როდესაც სოფელ ყვარელში წყალი მოვარდა და ნახევარი სოფელი წყალმა წაიღო... 60 ადამიანი წყალმა დაახრჩო... მაშინ ილიამ ბევრი ამაგი დასდო სოფელს იმით, რომ მთაერობის დახმარება მოახერხა, სოფლის თავში გააკეთებინა ჯებირები მდინარე დურუჯზე" (იხ.: "ლიტერატურული მატიანე", წიგნი № 1-2, თბ., 1940, გვ. 153).

ჟურნალ "წყაროს" სხვა ნომრები ჯერჯერობით არ ჩანს, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ეინმეს პირად არქივში აღმოჩნდეს. ჟურნალის არალეგალურობაზე მეტყველებს ის, რომ ყველა მასალა გამოქვეყნებულია ფსევდონიმით.

თელავის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის თითოეულ მოსწავლეს ჰქონდა "უბის წიგნაკი", რომელშიც მეგობრები ერთმანეთს უწერდნენ ბრძნულ აზრებს, სურვილებს, ლექსებს და ჩანახატებს. ორმა ასეთმა წიგნაკმა ჩვენამდე მოაღწია.

აღნიშნული სასწავლებლის მოსწავლის, დარია აბელიშვილის უბის წიგნაკში, გარდა თანაკლასელების ჩანაწერებისა, გვხვდება ვაჟა-ფშაველას ვაჟის – ლევან რაზიკაშვილის ("ლენკოს") ჩანაწერიც. იქვეა ილია რუსიშვილ-ყორჩიბაშის ჩანახატი "ტარიელი წყლის პირას" და ელენე ახვლედიანის ორი ჩანახატი ზამთრის თემაზე.

აი, რას ეკითხულობთ ლევან რაზიკაშვილის ჩანაწერში:

"ნეტა ვიყო მე პოეტი
ან აკაკი, ან ილია,
რომ ალბომში გამოპირვით
მეთქვა გულის წადილია".

რაც შეეხება ელენე ახვლედიანისეულ ზამთრის პეიზაჟებს, მას ისინი ყმაწვილ მხატვარს 1907 წელს ჩაუხატავს და მის ერთ-ერთ ყველაზე ადრინდელ ნახატებად ითვლება.

თიკო კახიშვილის უბის წიგნაკში ჩანაწერები ეკუთვნის ვაჟა-ფშაველას, ზაქარია ნემსაძეს (წერდა "კახიმერის" ფსევდონიმით), კიკნა-ფშაველას (სიკო ბადურაშვილს), ელიზბარ ბურდულაძეს, შაქრო აფშინაშვილს, სოლომონ იორდანიშვილს, ი. ბოძაშვილს და სხვ.

საინტერესოა, თუ როგორ მოხვდა თიკო კახიშვილის ალბომში ვაჟა-ფშაველას მიერ მის მიმართ მიძღვნილი ლექსი.

თინათინ (თიკო) ნიკოლოზის ასული კახიშვილი ვაჟა-ფშაველას ნათლული იყო. ერთხელ, ვაჟა სოფელ ქისტაურში ეწვია კახიშვილებს, სადაც თიკო სკოლაში ასწავლიდა. პოეტს ალბომში ჩასაწერად ქაღალდზე დაუწერია ასეთი ლექსი-კაფია:

"რუსთაველის თინათინი
ავთანდილსა ღმერთად სცნობდა,
მას შთაბერა ბრძენი სული
და იგიცა მუდამ ბრძნობდა,

ტარიელის და ნესტანის
მტანჯველებსა მეტად მტრობდა,
საქართველოს ტკივილებსა
გულს იმჩნევდა, ღრმადა გრძნობდა.
ღმერთსა ვთხოვე, რომ იმ თინათინს
დაემსგავსო შენცა ქალო!
თიკო, შენსა ავთანდილსა
მოძმის ტრფობა დააკალო
ამამაცო, არაინდო
და სხვაზედა არ გასცვალო".

აღნიშნული ლექსის ავტოგრაფი პირველად გამოაქვეყნა მწერალმა ქეთევან ხაჩიაშვილმა, შემდეგ ვახტანგ რაზიკაშვილმა შეიტანა თავის წიგნში (იხ.: ვ. რაზიკაშვილი, მამაჩემი ვაჟა-ფშაველა, თბ., 1961, გვ. 147).

ილო ბეჟანიშვილმა ამ ლექსის ხელნაწერი ადრესატს გამოართვა და თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადასცა (იხ.: გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 1963, № 33).

ამ უბის წიგნაკში კიკნა-ფშაველას თავისი ხელით ჩაუწერია ასეთი სტრიქონები:

"როცა ლაღ გულზე ნიაღვარია,
ის არის ჩემი ცრემლი მწარია...
და როცა ნისლი ებურვის ტყესა,
ის არის ჩემი ფიქრების კვნესა...
სული არ დასთმობს ცხოვრებას მწარეს —
ფიქრით თუმც ეცხოვრობ ოცნების მხარეს.
1915 წ. 19. VII."

თელავის წმ. ნინოს სასწავლებლის მესვეურმა, ზემოხსენებულმა ანა ილიას ასულმა ბაგრატიონმა-ჭავჭავაძისამ საკმაოდ რთული ცხოვრება განელო. "პატარა კახის" ღირსეულ შთამომაეალს ბედის ტრიალმა წილად იმამ შამილის ტყეობაც არგუნა.

1854 წლის იელისში, როდესაც დაღესტნელ მთიელთა მარბიელი რაზმი თავს დაესხა წინანდალში მდებარე ჭავჭავაძეთა სასახლეს, სხეებთან ერთად, ანაც დაატყვევეს. მან ტყვეობაში რვა თვე და ექვსი დღე გაატარა. ამ ფაქტის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ჭავჭაეაძეთა ოჯახის ფრანგი გუვერნანტი ანა დრანსე (იხ.: ა. დრანსე, შამილის ტყვე ქალები, თბ., 1978; ამ საკითხთან დაკავშირებით ასევე იხ.: ე. ვერდერევსკი, შამილთან ტყვეობა, რომლის თარგმანიც დაცულია გ. ანდრონიკაშვილის არქივში).

ტყეებიდან დაბრუნებულმა ანა ბაგრატიონმა-ჭავჭავაძისამ მრავალი საშეილიშვილო საქმე წამოიწყო. მათგან ერთ-ერთი უმთავრესი იყო თელავში წმ. ნინოს სასწავლებლის გახსნა, რომელსაც ანა ორი ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა.

ცნობილი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა (1803-1870) წერდა: "თავად ჭავჭავაძის მეუღლე, საქართველოში, ამ ულამაზესი ქალებით სახელგანთქმულ ქეყანაში, ცნობილია, როგორც ულამაზესი თვალების მქონე მანდილოსანი. მაგრამ შეხედვისთანავე გაოცებთ მისი წმინდა ბერძნული პროფილი, უკეთ რომ ვთქვათ, მისი წმინდა ქართული პროფილი, რაიცა გულისხმობს ბერძნულ სიწმინდეს, თუ მას სიცოცხლეს მიეუმატებთ. შაბერძნეთი არის გალათეა, ოღონდ მარმარილოსი, საქართველო კი სულჩადგმული და ქალად ქცეული გალათეაა. ამ საუცხოო პროფილიდან თავადის მეუღლის სახეს ღრმა სევდის იერი გადაკრავს. რა უნდა იყოს საწყისი ამ მელანქოლიისა? ის ხომ ბედნიერი ცოლი და მრავალი შვილის დედაა? იმიტომ ხომ არ არის ის სევდიანი, რომ ბუნებამ ისურვა მეტისმეტად დიდი სილამაზით დაეჯილდოებინა, როგორც ზოგიერთ ყვავილს აჯილდოებს იმდენად დიდი სილამაზით, რომ მათ სურნელების გარეშე არსებობა არ შეუძლიათ? ან იქნებ ღრმად გრძელდება მოგონება იმ საშინელი შემთხვევისა, რომლის მისეზითაც თითქმის ერთ წელიწადს იყო თავის ოჯახს მოშორებული? უცნაური ის არის, რომ ამ წარჩინებულმა ტყვე ქალმა შამილისადმი ნამდვილი აღტაცება შეინარჩუნა. ეს არის მაღალი თვისებების მქონე ადამიანი და მისი სახელი სრულიადაც არ არის გაზვიადებულიო, — მითხრა თავადის მეუღლემ" (იხ.: ალ. დიუმა, კავკასია, მოგზაურობის შთაბეჭდილებანი, თარგმანი ფრანგულიდან თ. ქიქოძისა, თბ., 1964, გვ. 300-301).

ათი შვილის დედამ ანა ბაგრატიონმა-ჭავჭავაძისამ (ერთი ასული — 4 თვის ასაკში, დაღესტნელთა თავდასხმისას დაეღუპა) სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა თბილისსა და დილიჟანში, სადაც ჭავჭავაძეთა აგარაკი მდებარეობდა. 1905 წელს, როდესაც იგი გარდაიცვალა, მისი ცხედარი მოწიწებით ჩამოასვენეს თელავში და დაკრძალეს ახალი შუამთის მონასტერში, თავად ჭაჭავაძეთა წინანდლის შტოს საგვარეულო საძვალეში.

ანა ბატონიშვილის დაკრძალვაზე მრავალი თბილი სიტყვა ითქვა. ერთ-ერთი ამ სიტყვათაგანი დაცულია წინანდალში, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში. აი, ამ სიტყვის ერთი ფრაგმენტი: "ვინ დაიცვიწყებს თქვენს სიკეთეს თელავის წმინდა ნინოს დედათა სასწაულებელზედ უხვად დათესილს?

თქვენ, კნეინაე ანნა ილიას ასულო, 40 წლის წინათ შეიგნეთ ის, რამაც ახლა მთელ რუსეთში ეროვნული მოძრაობა გამოიწვია. თქვენ გაუწიეთ მედგარი მფარველობა სამშობლო ენის სწავლას წმინდა ნინოს სასწავლებელში.

თქვენ და მხოლოდ თქვენი ენერგიული სურვილი იყო მიზეზი, რომ ქართული ენის სწავლება, შედარებით, ასე კარგად იყო დაყენებული თქვენს დროს, როგორც არცერთ სასწავლებელში მთელ საქართველოში. ბევრი ხრიკები დახარჯა სასწავლო ოლქმა, ბევრი ფანდები მოუდეს ქართული ენის სწავლების სამოსწავლო ოლქის აგენტებმა, მაგრამ ყოველი მათი მეცადინეობა თქვენს ენერგიულ სურვილზედ ილეწებოდა.

თქვენ, კნეინაჟ ანნა ილიას ასულო, პირველი ხართ ქართველი დედათაგანი, რომელმაც იკისრეთ მთელი სასწაულებლიდან იმ დროს, როცა გამეფებული იყო თქვენს გარშემო სიბნელის წყვდიადი, როცა ქალიშვილთა აღზრდა-განათლებაზე მზრუნველობა იწყებოდა მწარე ღიმილსა და დაცინვას, იკისრეთ ძნელ დროს ძნელი საქმე, დათრგუნეთ სიბნელე და აი, ნაყოფი თქვენის მოღვაწეობისა.

თქვენი ადგილი დაიჭირა თქვენგანვე დანერგულ სასწაულებელში აღზრდილმა. მას თქვენ მოესწარით თქვენსავე სიცოცხლეში. ეს არის პირველი რგოლი იმ ჯაჭვისა, რომელიც ამიერიდან აღარ გაწყდება და რომლითაც შეიკერება უკედავი გვირგვინი თქვენ კაბელ ქალიშვილთა შიმართ მოღვაწეობისა.

მშვიდობით, მშვიდობით! მარადის იქნება ხსენება ჩვენს შორის".

დავუბრუნდეთ ისევ თელავის წმ. ნინოს ქალთა სასწაულებლის ისტორიას. მასში შესელის მსურველთა რიცხვი სწრაფად მატულობდა. 1908 წელს ამ რიცხვმა 200-ს გადააჭარბა. მაშინ დაისვა საკითხი სასწაულებლისათვის ახალი შენობის აგების შესახებ.

1910 წელს, კახთმეფეთა რეზიდენციის გადაკეთებული კორპუსის გვერდით, გაითხარა ახალი შენობის ბალავარი, რომელიც სასწაულებლის მოძღვარმა მიხეილ ელიზბარაშვილმა აკურთხა. შენობის დასრულებას 2-3 წელიწადი დასჭირდა. ამ სამსართულიანმა შენობამ დიდი როლი შეასრულა სწაულა-განათლების უკეთესად წარმართვის საქმეში.

თელავის წმ. ნინოს ქალთა სასწაულებელმა 56 წელიწადს იარსება და ამ ხნის განმავლობაში აქ აღიზარდა ასეულობით ქალი კახეთის სამი მაზრიდან (თელავი, სიღნაღი და თიანეთი), რომლებიც შემდეგში ახალგაზრდობის სწაულა-აღზრდის საქმეს უმწიკვლოდ ემსახურებოდნენ. ამის შესახებ ნათლად მეტყველებს რ. სიხარულიძის აზრიც: "თითქმის ყველა კახელ ქალს, რომელთაც საშუალო განათლება ჰქონდათ მიღებული, თელავის წმინდა ნინოს სასწაულებელი ჰქონდათ დამთავრებული" (იხ.: რ. საყვარელიძე, ქალთა პედაგოგიური განათლება XIX საუკუნის საქართველოში, თბ., 1958, გვ. 54).

1995 წელს დიდი ხნის ნაფიქრი განეახორციელეთ, როცა თელავის I საშუალო სკოლის დირექტორის დარეჯან ჭანკვეტაძის თანადგომით, სამი პირველი კლასის ბაზაზე შეიქმნა წმ. ნინოს სახელობის კლასი (ხელმძღვანელი – ლია ლეკიშვილი). მასში მუსიკა-გალობას ასწაელიდა ირა ღუდუმიძე, ქარგვას – ლია ბადურაშვილი, ხატვას – ლეილა ბაგრატიონ-ბაბადიში, ხოლო კლასს შეფობას უწევდა მხატვარ-კერამიკოსი ნანა ბოტკოველი.

1995 წლის 9 ოქტომბერს, აღნიშნულ კლასში პირველი გაკვეთილი ჩაატარა ამ სტრიქონების ერთ-ერთმა აეტორმა გიორგი ჯავახიშვილმა. გაკვეთილის თემა იყო "მზე". აქედან მოყოლებული, პირველი სასწაელო წელი მან მთლიანად დაუთმო ქართული ხალხური ზღაპრების სწაელებას, ხოლო როდესაც ბავშვებმა ანბანის სწაელა დაამთავრეს, მათთან ქართული ტრადიციების შესახებ გაკვეთილების ჩატარება დაიწყო.

წმ. ნინოს კლასისათვის ოთხი წლის მანძილზე ეწყობოდა ექსკურსიები და იბეჭდებოდა სპეციალური გაზეთი სახელწოდებით "წმ. ნინოს კლასი" და სხვ.

სამწუხაროდ, წმ. ნინოს კლასი მხოლოდ ერთმა ჯგუფმა დაამთავრა.

ანა ილიას ასული
ბაგრატიონი-ქავთარაძისა

თელავის წმ. ნინოს ქალთა
სასწავლებლისათვის 1912 წელს
აგებული შენობა, რომელშიც
ამჟამად ისტორიულ-ეთნოგრაფიული
მუზეუმია

თელავის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის ახალი შენობისათვის სამირკვლის ნაყრა და მახი კურთხევა (1910 წ.)

ილუსტრაცია XII. ნიშნის ქალთა ხასპერფორმანსი ბიბლიური დიდებულების გათამაშებული წვეულება ხის ოსტატი გიორგი ბერიძის სახელოსნოში

ორგანიზაციის და ქალაქის ხელმძღვანელობა ბიბლიოთეკის ფონდებშია ქართველი ემიგრანტების ფილმის ნაწილის გადაცემის დროს

ფოტოზე ვლ. ლენინის ახლობლები და თანამებრძოლები არიან გამოსახულნი. ფოტო გადაღებულია 1922 წლის ივლისში, ლენინის ბინის ეზოში, გორკში.

თქლაეთის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის მგდაღრაფები და მასწავლებლები. მეორე რიგში დაკანონებული ხელმწიფეები

ანგელოზი და ბიბლიის ქვეყნის ხასწავლებლები მოწაფეებთან და ახლობლებთან

ფრთების ჭარბწმენიანობის ფაქტი ჩვენს თვალწინ ვითარდება. ჩვენ ვხედავთ, რომ ფრენის ტექნიკა ჯერ კიდევ ძალიან ბევრ ნაკლოვანებას შეიცავს.

ფოტო №2. ფოტოზე ნანახი ადამიანების ვინაობის დადგენა ვერ მოხერხდა. (1960 წ.)

ეკ. 1911 წ. ქუთაისში, ოქტომბრის ამხანაგებს ერეკლე

ოცდაექვს წლიან ხანძოკლე ცხოვრებაში ილია ჭავჭავაძის ასეთ ფიქრიანი ძიძისეული ფერწერული პორტრეტი (1915 წ.)

თელავის საზოგადოებრიობა. მარცხნიდან სხედან: ვახილ ბარნოვის მეუღლე ნ. ბენაშვილი, ლიზა ერისთავი-ახელედიანისა (მხატვარი ელენე ახელედიანის დედა), ი. ვახვახიშვილი, ანახტახია ერისთავი (რაფიელ ერისთავის ასული). მეორე რიგში მარცხნიდან: ვახილ ბარნოვი, დიმიტრი ცისკარიშვილი (ხის), შალვა ქართველიშვილი (იეანე მაჩაბლის ვაჟი), ლიზა ქართველიშვილი (ხის), დიმიტრი ახელედიანი (ელენე ახელედიანის მამა), თამარ ვახვახიშვილი-აბაშიძისა, ვასილ კახიძე (რაფიელ ერისთავის ასულის ქმარი)

სოფიო ხერქეულიძე-ჯავახიშვილისა
(ივანე ჯავახიშვილის ბეჭდია)

თელავის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის პედაგოგი ალექსანდრე ჯავახიშვილი,
მისი ცოლი ივანე და მეუღლე სოფიო ვახვახიშვილი-ჯავახიშვილისა

ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელებისა საზოგადოების თავმჯდომარის ბატონ ვასილ ბარნოვის ადრესი

ქრისტეშობა-ახალწელი

ჩვენო პატივცემულო

ქალბატონო სოფიო!

ქ. ფ. წ. კ. გამაგრც. საბ. თელავის განყოფილების გამგეობა სისარულით მოგმართავთ დღის მოკლე სიტყვით, რომლითაც უნდა შეეხოს თქვენი მხურვალე გულიდან. ქეთილ ადამიანობიდგან წარმომდგარს საშვილიშვილო საშვის და ჭეფილმოქმედებას.

შვძელის ხანიდგან ჩვენს პატარა ჭეყანას ობილობა ჯალში სღეფდა და ჭხოღოდ შეიპოვარი გამჭრიახობით, მამაკაცი თავის დაცით და თავგანწირული საშობლოს სიყვარულით შეინარჩუნა თავისი არსებობა. ამ რთულს და გმირულს ცხოვრებას ჩვენი ერისას რომ დაეკვირდეთ, დაეინახავთ, რომ მაღლ მის მიმდინარეობაში ღედაკაცს დიდი ნაწილი უზიდნია ერის არსებობისათვის და ჩვენი საშობლო ჩვეულება გამხდარა ქალებისაგან აცილებასა. ტკის მოღლილნი დიდი ხნის მონობით, მართალია ცოცხ დარჩენილი ერი ღართ, მაგრამ ვგრძნობთ რომ გამოთხიზლების ხანა გეიახლოვდება, თვით არსებობა ერისა გაგვიმტკიცდება, საშობლო ჩვენი სიყვარულით გათბება.

აი თქვენ, ქ. ბატონო, დაგვიმტკიცეთ, რომ ბეღნიერ ჩვენი მხსნელი ძალიან მგრძნობიარე, ჯერთ მოყვარე ჭალები ისევ მოგვეღლინებიან და ჭეყნად სიყვარულ სხლეს სიაღესა.

აი თქვენ, ქ. ბატონო, გასმახეთ ჭეყანას ისევ ცქვდაი სიტყვა ცქვდაი პირსა „რასაცაა გასაგებ შენია, რაც არა დაკარგულია“ ყყღეტებთ განგებას მოგანიჭოთ კიდე ბედნი სიცოცხლე, რათა ჩვენი ობილებული აღამიანი ძიგლად აღიმართოთ ჯერთა წინაშე დიდი მოქმედების და საქმის გაჩენებლად.

ქ. წ. კ. გამაგრც. საზოგ. სრული გუნე.

გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგი ვ. ბარნოვ

წევრნი:



ელენე ახვლედიანის ბავშობისდროინდელი ჩანახატები
(დარია აბელიშვილის უბის წიგნაკიდან)

КРАТКАЯ ИСТОРІЯ

Телавскаго Женскаго Учебнаго Заведенія

СВ. НИНЫ.

ნ 64,136

ТИФЛИСЪ
Электропечатня Грузинск. Издательскаго Т—ва. Большая-Ванкская. ул.
1901.

1901 წელს თბილისში გამოცემული წიგნის თავფურცელი

XIX საუკუნის 80-იან წლებში თელაველ ქალთა განათლების ახალი კერა გაჩნდა. ეს იყო "გლეხ ქალთა სკოლა", რომელიც 1883 წელს ივანე და ელისაბედ როსტომაშვილების ხელმძღვანელობით გაიხსნა.

ჯერ კიდევ წინა წელს გაზეთ "დროების" კორესპონდენტი იუწყებოდა: "იმედია, რომ როგორც უწინ, ისე ამ დაერდომილ დროშიც, ჩვენი კახეთის ქალობა გამოიჩენს პირველობას და სიტყვით თუ საქმით ხელს გაუმართავს ამას და სხვა საზოგადო საქმეს. ვისურვებ კახეთის ქალების დაწინაურებულმა ნაწილმა უპირატესი ყურადღება მიაქციოს თავის უმცროსთ, ღარიბ და უმეცრებაში ჩავარდნილ-ჩაფლულ დების გონებით და ზნეობით განათლებას" (იხ.: გაზეთი "დროება", 1882, № 181).

"გლეხ ქალთა სკოლის" საქმიანობაში თავიდანვე ჩაებნენ სოფიო მაჭავარიანი, ლი'ზა მესხიშვილი. ყურადღებას იჩენდნენ აგრეთვე ექიმი ზელინსკი, აფთიაქარი ანა ივანეს ასული ეოლოხოვისა, იელიტა ჩერქეზიშვილი, მომრიგებელი მოსამართლე ყარანგოზიშვილი, ნოტარიუსი ციცქიშვილი, მიხეილ ანდრონიკაშვილი, გ. იეერიელი, კ. მახვილაძე, მსახიობი დავით გამყრელიძე-აწყურელი, თამაზ და ივანე რუსიშვილები, მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი და მუშა პოეტი იოსებ დავითაშვილი.

სასწავლებელში ასწავლიდნენ: მღვდელი იოანე შიუკაშვილი, სოფიო სულხანიშვილი-ზარაფიშვილისა, ი. კაპანაძე, მ. ქვლივიძე, ხოლო ხელსაქმეს (ქსოვას და კერვას) — ელისაბედ ჩოლოყაშვილი-როსტომაშვილისა ასწავლიდა.

"გლეხ ქალთა სკოლაში" სწავლების მსურველების რიცხვმა შეიდიდან — ასამდე მიაღწია. მოსწავლეთა მიზანს გამოხატავდა სიტყვები: "გზა ეკლიანი ჩვენ გავიკაფლიოთ".

სკოლაში სწავლება შუადღის შემდეგ იწყებოდა. ამ სასწავლებელმა სახელი სულ მალე გაითქვა.

იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული ივანე როსტომაშვილის სტატიიდან ეგებულობთ: "თუმცა ორი სრული წელიწადი არ არის, რაც არსებობს ჩემი სკოლა, მაინც ისეა განვითარებული, რომ შეუძლიან მონაწილეობა მიიღოს საზოგადო საქმეში და დაჩაგრულ ერს უკეთესი მომავლის იმედები გაუღვივოს გულში" (იხ.: გაზეთი "დროება", 1885, № 122).

"ჰკითხეთ ხალხს, — წერს იქვე სკოლის მესვეური, — ყოველ შურსა და სიბილწეს მოკლებულ გენიას; საქალებო სკოლის გახსნა იყო ჩემი გულის დიდი ხნის ერთი უდიდესი ხვაშიადთაგანი და ამიტომ დაეიწყე ეს საქმე მარტოდ მარტომ, რომ დაიმედებული ვიყავ მხოლოდ საკუთარ შრომაზე, ხალხისადმი სიკეთეზე და კეთილ კაცობაზედ".

მიუხედავად გლეხ ქალთა სკოლის გახსნის მოწინააღმდეგეთა მიმართ ივანე როსტომაშვილის ასეთი გულწრფელი პასუხისა, ამ თაოსნობას თელაველთა მცირე ნაწილი პრესის საშუალებით მაინც ეკამათებოდა.

"დროება" და მისი კორესპონდენტი "მაღაროელი" იუწყებოდა: "ჩვენ ვისურვებთ, რომ საქართველოს სხვა კუთხეებშიც მიჰბაძონ თელავის ახალგაზრდების მაგალითსო".

"რაც რომ თავის დღეში არ დამავიწყდება — წერს "მაღაროელი" თავის მოგზაურულ ნარკვევში, — ეს არის პატივცემულ ივანე როსტომაშვილის საქალებო სკოლის პატარა მო-

წაფეთა ქართული გალობა სობორო'ში. მ'შენიერი დღეა, სობორო ხალხით გაჭედილა, ხოროზედ შემდგარა რვა-ცხრა პატარა ქალი, ზოგი დურგლისა, ზოგი ხარა'სისა, ზოგი სხვა ხელოსნისა,ზოგი სოფლელი მუშაკისა, შუაში უდგათ ახალგაზრდა მასწაელებელი კამერტონით და გალობენ სრული წირვის საგალობელს...

ბაე'შეები ისე პარმონიულად, ისე ანგელოზის ხმით გალობენ. ყოელად ნიჭიერი უნდა იყოს ბ. ზ. ჩხიკვაძე, ამათი გალობის მასწაელებელი. მის მუსიკალურ ნიჭში უფრო მტკიცედ დაერწმუნდით, როდესაც შემდეგ იმან თავისი მოწაფეების საერო სიმღერაც გაგვაგონა. ძალიან შემაყვარა თავი ამ პატარა სკოლამ და მისი ეითარება დაწერილებით გამოვიკელიე.

მზრუნველმა პატრონმა, დამაარსებელმა ამ სკოლისამ, კეთილმა როსტომაშვილმა გეაჩენა ახლა თეისთა მოწაფეთა ხელ-საქმენი საუკეთესო სხვადასხვანაირი სალფეთკები, მოქარგული სხეადასხვანაირი გეირგვინებითა და ქართული ასომთაერულით და აგრეთვე პირსახოცები.

ხელსაქმის მასწაელებელმა, ელისაბედ როსტომაშვილმა აგეიხსნა, რომ სკოლას მეტი შეძლება ჰქონდეს და სხვადასხეა მასალის ყიდვა შეეძლოს უფრო მეტს და სხვადასხვანაირს ხელსაქმეს ეასწაელიდითო" (იხ.: გაზეთი "დროება", 1885, № 149).

ამრიგად, თელაეის "გლეხ ქალთა სკოლამ", მიუხედავად მცირე ხნის არსებობისა, მაინც შესამჩნევი კეალი დატოეა თელავში ქალთა განათლების ისტორიაში.

1884 წელს, თელავში, ბულვარის ქუჩის № 2-ში გაიხსნა ჭრა-კერვის სკოლა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა თელაველი ქალბატონი სოფიო სიმონიშვილი. ჭრა-კერვის სკოლაში მცირე ხანში 150 ქალს მიუღია საჭირო განათლება, მაგრამ ეტყობა ამ მოამაგე ქალს სურეილი ჰქონია უფრო ფართო წრეს დახმარებოდა ჭრა-კერვის შესწავლაში. ამ მიზნით შეუდგენია ეს წიგნი (დაიბეჭდა 1909 წელს თბილისში), რომლიდანაც ჩანს, ეს ფრიად განათლებული ქალი იცნობდა ჭრა-კერვის შესახებ გამოსულ უცხოურ ლიტერატურასაც.

იგი ერთგან შენიშნაედა: "სხვადასხვა ჭრა-კერვის მეთოდებში ყველაზე საუკეთესო მეთოდი არის ქ-ნ შეფფერისა"... ეს ფრანგი ქალი ინსპექტორი პარიზის ქალების სახელოსნო სკოლებისა, რომლის წიგნით ხელმძღვანელობდა ს. სიმონიშვილი.

ს. სიმონიშვილი წერდა: "ქ. თელავ'ში მე ვასწაელიდი პირველ წელიწადებში ქ-ნ შეფფერის მეთოდზე, რუსულ ენაზე მხოლოდ იმ ქალებს, რომლებსაც გათავებული ჰქონდათ პროგიმნაზიის სწაელა და ჭრა-კერვის სწაელა ძლერ ჰსურდათ... მსურველი კი ბეერი იყო... მე ძლიერ მაწუხებდა ეს გარემოება და ეცდილობდი როგორმე გამეერცელებინა ამ ხელობის სწაელა ჩემს სამშობლოში, რადგანაც სამშობლო ენაზედ სწაელა უფრო ადეილი გასაგებია. ამისათვის შეეადგინე მეთოდი ჭრა-კერვისა ქართულ ენაზედ ქ-ნ შეფფერის მეთოდის მსგავსად".

ხსენებული წიგნის პირველ ნაწილში ახსნილია ქართული ტანსაცმლის ჭრა-კერვის წესები. მასში ვკითხულობთ: "ამის ცოდნა საზოგადოებამ იქნება საჭიროდ არც ჩათვალოს, მხოლოდ მე ძლიერ მენანება, ამისთანა ტურფად შემკულ და ყველასათვის მოსახდენ

ტანისამოსს ყურადღებას თანდათან აღარ აქცევენ და როგორც ეტყობა იქნება ნახევარი საუკუნის შემდეგ აღარც კი იპოვებოდეს ვინმე ქართული ტანისამოსის ჩამცმელი".

ქალბატონი სოფიო სინანულს გამოთქვამს და წუხს რომ, რად უნდა მოისპოს ეს უმშვენიერესი უწინდელი ტანისამოსიო?!

როგორც ჩანს, მკერავი ქალი მოხიბლულია ქართული ტანსაცმლის სილაზათით. ამის კიდევ ერთი დამადასტურებელი ადგილი წიგნიდან: "დარწმუნებული ვარ, როგორც გამოცდილი ხელოსანი, რომ ბევრნი, როცა შეადარებენ ქართულ ტანისამოსს ევროპულს, მუდამ პირველს ამჯობინებენ, როგორც მოსახდენად, ისე სარფიანობით".

წიგნში გაანალიზებულია ქართლური, იმერული და სხვა კუთხეების ტანსაცმლის ჭრა-კერვის ნიმუშები, მისადაგებულია იმ დროისათვის ჭრა-კერვის საქმეში გაერცელებული ფრანგული ზომებით წარმოდგენილი სათანადო ქართული სახელებიც.

ვინ არ იკერავდა ტანისამოსს ამ ცნობილ მკერავ ქალთან "ილიაობისა" და სხვა ლიტერატურულ-თეატრალური საღამოებისათვის. იმ დროს თელავში მცხოვრები ვასილ ბარნოვის ოჯახის წევრებიც ტანსაცმელს სოფიოსთან იკერავდნენ.

მწერლის ქალიშვილის ლელა ბარნაველის ცნობით, ე. ბარნოვის მოთხრობა "ყვავილებში" ეს მკერავი ქალი პროტოტიპი ყოფილა. ეს მოთხრობა თელავში დაწერილა და მწერალს მისი შექმნა სწორედ მკერავი ქალის გაცნობის შემდეგ განუზრახავს.

ლელა ბარნაველი სოფიოს შესახებ წერდა: "ეს მკერავი ქალი დედას და ჩვენ, ბავშვებსაც გვიკერავდა, დიდრონ შავთვალებიანი, დაბალი ტანის ქალი იყო. ღიმილი, მხიარულება არ იცოდა, მშვენიერი ნაქარგი ხელსაქმეებით იყო მორთული იმისი სასტუმრო, ხელოსნოს ფანჯარა, რომელთანაც მუშაობდა ქალი, მორთული იყო ხელოვნური ყვავილების გირლიანდებით. ეს გირლიანდა არ წარმოადგენდა ჩვეულებრივი ყვავილების ხელოვნურად გადმოცემულ სახეებს, თითქოს ყვავილების სტილიზაცია იყო ორნამენტებში რომ ეხედებით. რაღაც არარსებული, სხვა სამყაროს ყვავილები, უცნაური, რბილი ფერების, უფრო მუქი, სოსანი ყვავილები... მე, ბავშვი, დიდის ინტერესით ვუყურებდი ამ ყვავილებს და ჩამეჭრა მეხსიერებაში. როდესაც მამამ ახსენა, თუ ვინ იყო ამ ლამაზი ფანტასტიკური მოთხრობის შთამაგონებელი, მე ადვილად წარმომიდგა თვალწინ სიმონოვას ქალი და მისი ფანჯარა ყვავილების ჩარჩოში. სხვათა შორის, ამ ქალს მამა ძალიან უყვარდა და პატივს სცემდა. ამის გაგებით და შემწეობით შეადგინა ჭრა-კერვის სახელმძღვანელო. ეს წიგნი ლამაზ ყდაში, ქალის მიერ წარწერილი მამას ჰქონდა" (იხ.: ე. ბარნოვი, თხზულებანი, ტ. Ш, გვ. 473-474).

ერთ-ერთ წერილში ს. სიმონიშვილი ვასილ ბარნოვს წერდა:

"ბატონო ვასილ ზაქარიას ძევ!

მოგიკითხავთ პატივისცემით თქვენი სახლობით. თუმცა თქვენ ხელი აიღეთ თელავზედ და ერთხელ აღარ მობრძანდით, მაგრამ ჩვენ კი ხშირად გიგონებთ. გთხოვთ მომიტევოთ, რომ წინათაც გაწუხებდით და ახლაც ისევ თქვენ უნდა მოგმართოთ. გაიგე, რომ მაისში, თბილისში იმართება კრება ქართველთ მასწავლებლებისა, სადაც უნდა გადასწყვი-

ტონ, თუ რა წიგნები იხმარონ სკოლებში სექტემბრიდან და ეფიქრობ, ჩემი ჭრა-კერვის წიგნი წარეუდგინო მაგ კრებას და ვთხოვო, რომ მიიღონ იმ სკოლაში, სადაც ქართულ ენაზე ასწაველიან. თუ სკოლისათვის მიიღებენ, ფასდაკლებით მიეცემ. თუმცა აქამდინაც მიიღეს მასწაველებლებმა, რადგან საფხულობით, როცა მესამე გიმნაზიაში მართაედნენ მასწაველებლების კრებას ჭრა-კერვის სასწაველებლად, იმათ სუნდუკოვის ქალი, როგორც ამორჩეული უფროსი მასწაველებელი, თვითონ ასწაველიდა ჩემს მეთოდზე, მხოლოდ რუსულად უთარგმნიდა. მასწაველებლებმა ბევრმა გაიცნო ჩემი მეთოდი და თვითონ სკოლაში ასწავლიდნენ. მხოლოდ ნება არ მისცეს ქართული წიგნის სკოლაში შეტანისა და ქართულ ენაზედ სწაველისა. ამისთვის ჩემმა შრომამ ისე ვერ გააადვილა სწავლა, როგორც ეკუთვნოდა.

გთხოვთ მაცნობოთ, რას მირჩევთ, წარეუდგინო ჩემი წიგნი მაგ კრებას თუ არა, ან საჭირო იქნება ჩემი მანდ მოსვლა, თუ არა. თუ საჭირო იქნება წიგნის გაგზავნა, მაცნობეთ მისამართით. ამასთანავე, გაახლებთ ლექსებს, რომელსაც თქვენ წინათ სიამოვნებდით. დაიწერა 18 აპრილს, იმ დღეს, როცა აქ დიდი მიტინგი იყო. ხალხმა მთლად იქ მოიყარა თავი თავად და მე კი შინ გახლდით მარტო და ამ ლექსის წერით გავერთევი.

დაგშთები თქვენი პატივისმცემელი ს. სიმონოვი (სიმონიშვილი).

29 აპრილი. ქ. თელავი, ბულვარის ქ. 2, საკუთარი სახლი" (იხ.: გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ხელნაწერი № 13126-6).

სოფიო სიმონიშვილის ჭრა-კერვის სკოლამ და ამ დარგში მისმა შექმნილმა სახელმძღვანელო წიგნმა დიდი როლი შეასრულა თელაველ ქალთა განათლებაში.

თელაველი ქალები ყოველთვის გამოირჩეოდნენ განათლებისადმი განსაკუთრებული ინტერესითა და ორიგინალური დამოკიდებულებით.

ამ მხრივ საინტერესოა 1895 წელს, ნოემბერში გაზეთ "ივერიაში" ბაბილინა სულხანიშვილის გამოქვეყნებული წერილი, რომლის სრულ პუბლიკაციას "ქალთა ამხანაგობა თელავში", მკითხველს ხელახლა ვთავაზობთ: "დიდი ხანია ლაპარაკობენ ჩვენის ქართველების ოჯახების ყოველმხრივ დამცირებაზე. მრავალჯერ დასახელებულა მიზეზები ოჯახების დამცირებისა და მუდამ ჩვენს დედაკაცობას სხვაზე ნაკლები ბრალი არ დასდებია.

მამაკაცობა ქართველებისა, ბევრად თუ ცოტად, სიტყვით თუ საქმით, ცდაშია, გაასწოროს ეს ნაკლი, მაგრამ მარტო მამაკაცობა ვერსა იზამს, თუ გვერდში არ ამოუდგა მას დედაკაცობა. იქნება ბევრს ზედმეტი ეგონოს, მაგრამ ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ ოჯახების განკარგება უფრო დედაკაცებზედაა დამოკიდებული.

ამიტომ, რამდენიმე ქალმა მოვილაპარაკეთ, გადავწყვიტეთ, შევადგინოთ ქართველ ქალთაგან ამხანაგობა, რომლის საგანი უნდა იყოს, იმოქმედოს ოჯახების ზნეობრივ, გონებრივ და ნივთიერად გამდიდრებისათვის და ყოველი ღონისძიებით ეცადოს, ხელი შეუშალოს ოჯახების რომელიმე მხრივ დამცირებას. მოვიწვიეთ თელავში მცხოვრები ქართველი ქალები, განურჩევლად წოდებისა, ხოლო თოთხმეტი წლისაზე უმცროსი აღარა. თავი მოიყარა 32 ქალმა და დიდის გულისმოდგინებით შეუდგა საშუალებათა გამოძებნას. შემდეგ ხანგრძლივის მსჯელობისა, ქალთა კრებამ დაადგინა:

ჩვენ, ქეემორე ამის ხელის მომწერელთა, შეადგინეთ ქალთა ამხანაგობა, რომლის საგანია, იმოქმედოს ოჯახების სნეობრივ, გონებრივ და ნივთიერად გამდიდრებისათვის და ყოლის ღონისძიებით ეცადოს, წინ აღუდგეს ოჯახების რომელიმე მხრივ დამცირებასა. ამხანაგობას შეადგენენ ქართველნი ქალნი, გაურჩევლად წოდებისა, გათხოვილნი და გასათხოვარნი, არანაკლებ 14 წლისა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭირო იქნება:

1. კვირა-უქმე დღეს ეკლესიაში სიარული აუცილებლად ჩაითვალოს და ეცადნეთ, იქ მუდამ მოძღერება მოვისმინოთ.

2. ოჯახში, როგორც დიდებისაგან, ისე უმცროსთაგან, უნდა დაცული იყოს წმინდა ქართული ზნე-ჩვეულებანი.

3. თვითეულის ოჯახის წევრი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, მოვალეა, შესაფერს და შესაძლებელს საქმეს აკეთებდეს.

4. ეცადნეთ, ყოველივე უსიამოვნება ოჯახებში და ერთურთს შორის-მოვსპოთ. გრეთვე, ყოველნაირი უსიამოვნების მიზეზნი, როგორც ცრუ ამბები, უდროო და შეუფერებელი მითქმა-მოთქმა, ანუ ყოველი თქმულება ეისიმე პიროვნების დასმცირებლად, განდევნილი იყოს საზოგადოებისაგან.

5. ყოველი თავისუფალი დრო მოვანდომოთ ჩვენი და ჩვენი უმცროსების გონებით განვითარებას, რომლისათვისაც უნდა დავივალოთ წიგნების და ჟურნალ-გაზეთების კითხვა, კერძოდ, ოჯახში და ჩვენს კრებებზედ.

6. ქართული ენის გასაძლიერებლად ოჯახში აუცილებელ საჭიროებად უნდა ჩაითვალოს ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების შეძენა.

7. საზოგადო კრებებზედ ამაეე კრებისაგან დავალებულმა უეჭველად უნდა მოამზადოს საზოგადო წასაკითხად დანიშნული წერილი ანუ სხეა დარგის თხზულება და, აგრეთვე, მიიღოს მონაწილეობა სასიმღერო ან საგალობო გუნდის შედგენაში.

8. ოჯახის შემოსავალ-გასავალს იმ მხრივ მიექცეს ყურადღება, რომ რაც შეიძლება, გასავალი შემცირდეს და შემოსავალი გაძლიერდეს.

9. ქალთა და კაცთა სამოსელის საქმე, ეცადნეთ, სასურველად შეიცვალოს.

10. ეცადნეთ, რომ ურთიერთის დახმარებით თავიდგან ავიცილოთ ყოველივე ხარჯი ტანსაცმლის შეკერვისათვის.

ამაეე კრებამ თავჯდომარედ აირჩია ქ-ნი ე. გ. ქართველიშვილისა და მდივნად ბ-ნი ი. ზარაფიშვილი. კრებამ ამოირჩია კვირაში ერთი დღე, შაბათი საღამო. თვითეულ საღამოს ექნება სალიტერატურო საღამოს ხასიათი და შედგენილობა.

18-ს ნოემბერს ქალობა დანიშნულ დროს ისევ შეიყარა, მოისმინა "საბრალო სერბია" ნიკოლაძისა, "ბედი ქართლისა" ბარათაშვილისა და "ოქროს ფული"-თარგმანი. პირველი წაიკითხა კნიაჟნა მარიამ ვახვახიშვილისამ და მესამე თვით მთარგმნელმა ქ-ნმა სულხანიშვილისამ. თვითოეულის წაკითხვის შემდეგ კრებამ იქონია მსჯელობა წაკითხულის შინაარსით გამოწვეულს საგანზე და ამ მსჯელობამ ისე გაიტაცა, რომ ამაეე საღამოს საქართველოს ისტორიის მოთხრობის დაწყება გადაიდო შემდეგის საღამოსათვის.

ამაზე კრებაზე განხილულ იქნა:

1. როგორ შეიძლება, საუკეთესო სახელსაქმო იარაღები და თვით იარაღების ხმარების ცოდნა შევიძინოთ;

2. სახალხო საკითხავის საქმის მოწყობა;

3. საკვირაო სკოლების დაარსება.

პირველის შესახებ კრებამ დაავალა რამდენსამე პირს ცნობების შეკრება და მოხსენება კრებისათვის ერთი თვის განმავლობაში. მეორე და მესამე საგნის შესაფერის გეგმის შესადგენად ამოირჩია ორი კომისია შვიდ-შვიდი ქალისაგან და ამათაც თვე დაუდო ვადათ.

შემდეგი საღამოსათვის მოამზადებენ კრებისაგე დავალებით მოხსენებებს: კნიაჟნა მელანია ვახვახოვისა იმაზე, თუ როგორ და სად მოეწყოს ბავშვთა სათამაშო მოედანი და ქნი სულხანიშვილისა, რომელსაც მოხსენების საგნად ექნება "შრომა და ცუდაობა".

ამ წერილის წამკითხველთ, ქალთა და კაცთა, უმორჩილესად ვთხოვთ, თავისი რჩევა მოგვაწოდონ ყველა ჩვენ მიერ არჩეულ საშუალებათა შესახებ, რომელნიც აქ მოყვანილ მუხლებში ჩამოთვლილია.

გარდა ამისა, ვსთხოვთ ყველა ქალსა და კაცსა, რომელთაც გარემოების გამო აქვთ დამოკიდებულება იმ ადგილებთან, სადაც ხელ-საქმობა არის გაძლიერებული, აგვეინიშნონ და გვაცნობონ დაწერილებით წერილებით, თუ გაზეთით, რა და როგორი იარაღია ხმარებაში, როგორ ხმარობენ და აწარმოებენ ხელთ-საქმეს, სად და როგორ მოვიკითხოთ და შევიძინოთ ისინი.

წერილები ამ ადრესით შეიძლება მიიღოს ამხანაგობამ: "И. Зарафишвили, для передачи товариществу женщин в г. Телави".

პირველის შესახებ კრებამ დაავალა რამდენსამე პირს ცნობების შეკრება და მოხსენება კრებისათვის ერთის თვის განმავლობაში".

ქალთა განათლების დონის ამაღლებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თელავში არსებულმა ე. წ. "ანა ნიკალაევნას სკოლამ" (მესვეურობდა ანა ნიკოლოზის ასული ყაზახაშვილი-ჭავჭავაძისა), ეპარქიულმა სკოლებმა თელავსა და შუამთაში და რამდენიმე კერძო სკოლამ. მათ შორის პოპულარული იყო ჭრა-კერვის სასწავლებლები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ: ბაბე რცხილაძე, თამარ ვახვახიშვილი-აბაშიძისა, რიფსიმე კურდღელაშვილი და თამარ ქობულაშვილი-ბაკურაძისა.

ვფიქრობთ, ამ სკოლების ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა კიდევ უფრო მეტ წარმოდგენას მოგვცემს თელავის კულტურულ-საგანმანათლებლო წარსულზე.

თელავის წმ. ნინოს ძალთა სასწავლებლის მასწავლებლები, შემწენი და მოწაფეები

თელავის წმ. ნინოს სასწავლებელ'ში სხვადასხვა დროს ასწავლიდნენ: ალექსანდრე ჯავახიშვილი (აკადემიკოს იეანე ჯავახიშვილის მამა), სერაფიმოეი, ილია და ქრისტეფორე ზარაფიშვილები, ეასილ ბარნოვი, ნიკო სულხანიშვილი (სიმღერა-გალობის მასწაელებელი), მსახიობი ლადო მესხიშვილი (1878-1881 წლებში ასწაელიდა საბუნებისმეტყველო საგნებს), შიო შიუკაშვილი, მიხეილ ხელაშვილი, მიხეილ ელიოზიშვილი, იეანე როსტომაშვილი, ვალერიან სიდამონ-ერისთავი (პროფესორი, 1914-1919 წლებში ასწაელიდა ხატვას), ზაქარია ჩხიკვაძე, ელისაბედ ქართველიშვილი, ელენე შიუკაშვილი, ამალია აბაშიძე, თამარ ვახვახიშვილი-აბაშიძისა, ზინაიდა კეველიშვილი და სხვები.

ქართულმა პრესამ და ნ. მიტროფანოვას მიერ შედგენილმა აღნიშნულმა წიგნმა შემოგვინახეს ცნობები ამ სასწაელებლის შემწეთა და გამგეობის წევრთა შესახებ (იხ.: **Краткая история Телавского женского учебного заведения Св. Нины**, Тифлис, 1901). აი, მათი არასრული სიაც: ნიკოლოზ მუსხელიშვილი, მიხეილ ანდრონიკაშვილი, კონსტანტინე დომოვი, იეანე ზინგერ-კორნი, სვიმონ მელვინეთუხუცესი, დავით და დიმიტრი ჯორჯაძეები, აბა-მელიქოეი, ვაჩნაძე, ელისაბედ ვახვახიშვილი, ჰენრიეტა ნევსტონოეა, ნატალია ყარანგოზიშვილი, ელისაბედ მარჯანიშვილი, თამარ, ბარბარე, ნადეჟდა, ანა და დარია ჭაეჭავაძეები, მაკა ქობულაშვილი, სალომე ჯანდიერი, ელენე გრუზინსკაია, სოფიო ჩერქეზიშვილი-ვახვახიშვილისა, ანა გრენი, მარია ბეხტერევა, ბარბარე ვახვახიშვილი, ეკატერინე აბელიშვილი, დავით გამყრელიძე (მსახიობი დავით აწყურელი) და სხვები.

ამ თაეში გადმოცემულია თელავის წმ. ნინოს სასწაელებლის პედაგოგთა და შემწეთა ერთი ნაწილის ცხოერებისა და მოღვაწეობის ცალკეული ეპიზოდები, ასეეე გამორჩეულ მოწაფეთა ბიოგრაფიებიც.

"ათანასეანთ სოფიო"

გიორგი ლეონიძესთან ერთ-ერთი შეხეედრის დროს, პოეტი ანაზდეულად შეეკითხა ამ წიგნის ერთ-ერთ აეტორს:

— "გოგი, ეინ იყო თელავში "ათანასეანთ სოფიო?" მისი პირადი წერილები შემხვდა ალექსანდრე ყაზბეგის არქივში. აბა იკითხე, რა საქმიანობას ეწეოდა..."

ცნობილია, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დღესაც რძალს ქალობის გვარით მოიხსენიებენ. თუ ქალს ქმრის ან შეილის სახელით იკითხავდნენ, ესეც, თაეისთავად ღირსებად ითელებოდა... არის შემთხეეეები როცა ქალს მოსაქმეობით ან დამახასიათებელი ნიშან-თეისებებითაც ახსენებდნენ. მაგალითად, მეურმიანთ ქალი, მეაკვნიანთ რძალი, მეფუტკრიანთ მარიამი, კაკაანთ რძალი, მექეეერიანთ ქალი...

"ათანასეანთ სოფიო" – ასე ახსენებდნენ თელავში მცხოვრებ სოფიო ედიშერის ასულ ჩერქეზიშვილს. იგი გარეკახეთის სოფელ თოხლიაურიდან იყო და ცოლად ჰყავდა სახელგანთქმულ თელაველ თავადს, იურისტ ათანასე ლიპარიტის ძე ვახვახიშვილს.

სოფიო თელავში წამოწყებულ მრავალ საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობდა. მისი სახლი თელავში ლიტერატურულ სალონად იყო გადაქცეული. მას სხვადასხვა დროს სტუმრობდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, ვასილ ბარნოვი...

ალექსანდრე ყაზბეგის არქივმა შემოინახა "ათანასეანთ სოფიოს" ორი წერილი, რომელშიც იგი მწერლის "კეთილი ცხოვრების მსურველ დად" იხსენიება...

1913 წლის 2 ივნისს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თელავის ფილიალის ინიციატივით ჩატარდა ილია ჭავჭავაძის ცხოვრება-მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ლიტერატურული დილა. ამის შესახებ ასეთი ანგარიში დაიბეჭდა გაზეთ "ხმა კახეთისაში" (გამოდიოდა ქ. სიღნაღში, 1912-1915 წლებში): "სკოლის დარბაზი კოხტად იყო მორთული: კედლებს ამშვენებდა ქართველი პოეტების სურათები, ხოლო ილიას სურათი ეკლიანი ყვავილებით იყო მორთული... კარებზე გაკეთებული იყო გრეხილი და მწვანე ფოთლები, ხოლო იატაკი მოფენილი იყო ვარდ-ბალახებით".

მასწავლებელმა ნინო გოგნიაშვილმა დამსწრეთ გააცნო ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდები. ზეიმზე მიწვეული იყო სოფიო ედიშერის ასული ჩერქეზიშვილი-ვახვახიშვილისა. მან წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თელავის ფილიალს შესწირა 1500 მანეთი (ოქროთი), საიდანაც 500 მანეთი უნდა გადასცემოდა თელავის წერა-კითხვის გამაერცელებელი სასოგადოების სკოლას, ხოლო დანარჩენი თანხის სარგებელით უნდა აღზრდილიყო ერთი ქალიშვილი თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში.

შემორჩენილია იმ დღეს, თელავის საზოგადოების მიერ ქ-ნი სოფიოსათვის მირთმეული ადრესი, რომელშიც ეკითხულობთ:

"ღრმად პატივცემულო ქნეინა სოფიო!

ქ. შ. წ. კ. გამაერცელებელი საზოგადოების თელავის გამგეობა სიხარულით მოგმართავთ დღეს, მოკლე სიტყვით, რომელიც უნდა შეეხოს თქვენი მხურვალე გულითგან, კეთილ ადამიანობითგან წარმომდგარი საშვილიშვილო საქმეს და ქველმოქმედებას.

უძველესი ხნიდან ჩვენს პატარა ქვეყანას უბედურება კვალში სდევდა და მხოლოდ შეუპოვარი გამჭრიახობით, მამაცური თავის დაცვით და თავგანწირვით, სამშობლოს სიყვარულით შეინარჩუნა თავისი არსებობა. ამ რთულ და გმირულ ცხოვრებას ჩვენი ერისას, რომ დავაკვირდეთ, დავინახავთ, რომ მთელს მის მიმდინარეობაში დედაკაცს დიდი ნაწილი უსიდია ერის არსებობისათვის და ჩვენი სამშობლო ქალებისაგან აყვავებულა...

აი, თქვენ, ქნეინა სოფიო, გასძახეთ ქვეყანას ისევე უკედაი პოეტის უკედავი სიტყვები: "რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია".

ვეცდებით განგებას, მოგანიჭოთ კიდევ ბევრი სიცოცხლე, რათა ჩვეულებრივი ადამიანი ძეგლათ აღიმართო კაცთა წინაშე დიდი მოქმედებისა და საქმის მაჩვენებლად" (ხელნაწერი დაცულია ჩვენთან).

სოფიო ჩერქეზიშვილი-ეახვახიშვილისა იყო დედინაცვალი სოფიო ათანასეს ასულ ეახვახიშვილისა (1855-1928) – დიდი ქართველი მეცნიერის იუანე ჯავახიშვილის დედისა.

მიუხედავად ამისა, სოფიო ჩერქეზიშვილს ჭეშმარიტად დედობრივი გრძნობით უყვარდა თავისი გერი და გამორჩეული ყურადღებით ეპყრობოდა შვილიშვილებსაც, განსაკუთრებით ივანე ჯავახიშვილს, რომელსაც მოფერებით "ვანოს" ეძახდა.

ივანე ჯავახიშვილის არქივმა შემოინახა რამდენიმე წერილი, რომლის ავტორიც არის მისი ხსენებული ბებია. ეს წერილები ფაქიზად შეუნახავს ადრესატს და ამჟამად მათი გაცნობის შესაძლებლობა გვეძლევა.

1900 წლის 5 მარტს დაწერილ წერილში ბებია სოფიო თავის შვილიშვილს წერდა:

"ჩემო სიხარულო, შვილო ვანო! თუ ღმერთი მაღირსებს შენს ნახვას ტკბილად დაგიკოცნი ლამაზ თვალებს, ღმერთსა ვთხოვ შენს ბედნიერს ცხოვრებას.

გენაცვალე, შვილო, როგორა ხარ ამ არევ-დარევის დროს. ამასწინათ წერილი მოგწერე და ჩემი კარტიჩკაც გამოგიგზავნე. მგონი მიიღებდი.

ვანო, რა არის შვილო, ერთხელ დედიშენის სამშობლოც მოიგონო. იმედი მაქვს ამ გაზაფხულს მაინც მოხვალ ჩემთან და გამახარებ.

ვიცი, მომიკითხავ, კარგათა ვარ, შენი მამაც კარგად არის. ხშირად არის ჩემთან, იმის შკოლაც კარგად მიმდინარეობს, ძალიან კარგათ მიიღეს. არ ვიცი, ჩემი კიკო (იგულისხმება ივანე ჯავახიშვილის ბიძა ნიკოლოზ ათანასეს ძე ეახვახიშვილი. გ. ჯ.) მანდ არის, თუ წამოვიდა, ვეღარ გავიგე რა, ან მისი საქმე როგორ გათავდა. ესეც იმისი ბედი, რომ ხელმწიფეს შენთვის აღარ სცალიან. ამ ბუნტაობას სხვაგან ეჩიოდით და თელაველებმაც მიბაძეს, ორჯერ აირიენენ, მაგრამ ჩქარა დამშვიდდნენ. ბოლო არ ვიცი რას მოგვიტანს.

შვილო, ნეტავი წამოხვიდე, გამაერიდო, მეც გამახარო...

ვანო, ორმოც ჩურჩხელას გიგზავნი, ოცი – შენ, თუ კიკო მანდ არის, ათი – კიკოს და ათი – დათას. მე ვიცი, დათა დამემდურება, მაგრამ შენ არ მამიკვდები და კიკოც არ მამიკვდება, ძალიან ბევრი ჩურჩხელა დაგვიობდა, გადავყარე, გაკეთების დროს ავდარმა მომასწრო, ვეღარ გავაშრეთ, დაობდა, ორმოცი ბიძიას გაეუგზავნე. ესღა დამრჩა. მაინც ჩემებური ჩურჩხელა არ არის, გამოსაგზავნათ არ ღირს.

მალე, შვილო, წიგნი მამწერე, შენის კარგი ამბით გაგვახარე. ვანო, ეს კონვერტი ლუარსაბ ანდრონიკოვს გადაეცი, გენაცვალე, მე ადრესი არ ვიცოდი, იმისი ცოლის წიგნი მომივიდა, კარტიჩკაც, ადრესს კი არ მწერდა. ასე ჩემო შვილო, იყავ ბედნიერათ, რუსის ქალი კი არ მომგვარო, ქართველი ბევრია... ბევრს გაკოცებ, აგრეთვე დათას ეკოცნი...

შენი ნახვის მონატრე შენი ბებია სოფიო ეახვახოვისა" (იხ.: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის ფონდი, ხელნაწერი № 1782).

წერილის სტილი ხელშეუხებელი დაგტოვეთ, მხოლოდ რამდენიმე პუნქტუაციური ნიშანი ჩაუმატეთ. წერილიდან აშკარად იგრძნობა მოსიყვარულე ბებიის სიდარბაისლე და ფაქიზი დამოკიდებულება შვილიშვილისადმი.

ბებიას წერილი ივანესაგანაც მიულია. ეს ჩანს სოფიოს 1901 წლის 5 მარტს გაგზავნილი საპასუხო წერილიდან, რომელშიც ვკითხულობთ:

"ჩემო სიცოცხლეო, შვილო ეანო!

ჩემს საყვარელსა და სახსოვარ ლამაზ თვალებს ტკბილად დაგიკოცნი. ღმერთსა ვთხოვ შენს სიხარულით ნახვას. შენი წიგნი მივიღე, დიდად გამახარა შენმა წერილმა და მშვიდობამ. ასე მგონია, დედაშვილობამ, თვალით გნახე. აღარ მინდოდა წერილისთვის თვალი მომეშორებინა...

ეანო, ბოდიშს მწერ უწიგნობაზე, მე დარწმუნებული ვარ თუ დრო გექნებოდა არ დამიგვიანებდი. შენი სწავლა-განათლება ყველაზე მეტად სასიამოვნოა ჩემთვის, მოხარული ვარ, თავიც მომწონს ასეთი შვილიშვილი მყავს. მოსვლას მწერ, ჩემს სიხარულს საზღვარი აღარ აქვს. მალე გაიაროს ამ თვეებმა. იმედი მაქვს შენს პატიოსან სიტყვას აღასრულებ. შენი ჭირიმე შვილო, კიდევ გამახარე შენის კარგი ამბით. შენი მამა აქ არის, ამისმა ნახვამ დიდათ გამახარა, დედაშენი ვერ დაეძარი...

ესე ჩემო შვილო, მეტი წერა აღარ შემიძლია, თორემ აქაურ ამბებს მოგწერდი. ჩემმა დამ ნინომ სიყვარულით ბევრი გაკოცა. მეც კიდევ გაკოცებ. შენი ბებია — სოფიო ეახვახიშვილი" (იხ.: დასახ. ფონდი, ხელნაწერი № 1783).

როდესაც ბებია სოფიომ შეიტყო, რომ მისმა შვილი'შვილმა ცოლად შეირთო ანასტასია ნიკოლოზის ასული ორბელიანი (1883-1970), მოუწონა არჩევანი და ასე მიულოცა:

"გულით გილოცავ, შვილო, შენს დანიშვნას, კარგი ცოლის მოყვანას. ღმერთმა ისე გაბედნიეროს, როგორც შენი სურვილი იყოს.

ეანო, შენთვის უნდა გამომეგზავნა ჩურჩხელა, მაგრამ ვერ მოვახერხე, შენს მაგიერად შენს დანიშნულს გავუგზავნე" (იხ.: დასახ. ფონდი, ხელნაწერი № 1784).

წერილებიდან ჩანს, რომ დიდი ივანე ჯაეახიშვილისათვის სასურველი ნობათი ყოფილა კახური ჩურჩხელები, რასაც ბებია სოფიო მას სისტემატურად უგზავნიდა. ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: "ეანო, ჩურჩხელა მოგართვი, ცოტა დავაგვიანე შენმა გაზრდამ, თორემ ასე ცოტას არ მოგართმევდი, ჩემი ავადმყოფობის მიზეზით ვერ გავაველე. ამ ჩურჩხელას სოფიოს ვუგზავნი, ის გამოგიგზავნის, მე ადრესი არ ვიცოდი. კარგი, რბილი ჩურჩხელა არის, თუ გზაში არ გახმა.

ესე, ჩემო ვანოჯან, ველი შენს წიგნსა და მშვიდობის ამბავს. ჩემმა დამ ნინამ ბევრი გაკოცა. გიორგი სად არის, როგორ არის, გკოცნი, მისწერე ჩემს მაგიერ. შენი მოსიყვარულე ბებია სოფიო ეახვახოვისა" (იხ.: დასახ. ფონდი, ხელნაწერი № 1786).

თანამედროვეთა ცნობით, სოფიო ეახვახიშვილისას ჰქონდა დიდი ზანდუკი, სადაც ის ინახავდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, ივანე ჯაეახიშვილის, ლუარსაბ ანდრონიკაშვილისა და სხვათა წერილებს, მაგრამ შემდეგ ეს

ზანდუკი თვალსა და ხელს შუა გამქრალა. სოფიოს პირადი ბიბლიოთეკიდან გადარჩა მხოლოდ ავტოგრაფებიანი წიგნები და იშვიათი სამკურნალო ხელნაწერი წიგნების კოლექცია, რომლებსაც იგი ყოველდღიურად ჩაჰკირკიტებდა და ამიტომაც ის მთელს კახეთში საუკეთესო მკურნალადაც მიაჩნდათ. სოფიოს პქონია ძველი კარაბადინების ხელნაწერები და თვითონაც შეუდგენია სამკურნალო წიგნი. ისინი დღეს გაფანტულია ეახეახიშვილებისა და ჩერქეზიშვილების პირად კოლექციებში.

თელავში, ძველი თეატრისა და ახალი ბაღის შუაში, დგას სახლი, რომლის მფლობელიც იყო სოფიო ჩერქეზიშვილი-ეახეახიშვილისა. ამ სახლში დაიბადა დიდი იეანე ჯაეახიშვილის დედა.

თამარ ეახეახიშვილი-აბაშიძისა

XIX საუკუნის 90-იანი და XX საუკუნის 20-იანი წლების თელავის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა თამარ ალექსანდრეს ასული ეახეახიშვილი-აბაშიძისა. იგი დაიბადა მწიგნობრულ-ლიტერატურული ტრადიციების მქონე ოჯახში, ხოლო წიგნის სიყვარულს თელავის წმ. ნინოს ქალთა სასწაელებელში ეზიარა.

იმ ქალთა შორის, რომელთაც განათლება მიღებული პქონდათ თელავის წმ. ნინოს სასწაელებელში, იყო თამარ ეახეახიშვილი-აბაშიძისაც.

თელავში, ნადიკვრის უბანში, დღესაც ახსოვთ ეახეახიშვილ-აბაშიძეების ლამაზად მოწყობილი ეზო-ყურე. მიუხედავად ამისა, ბევრმა არ იცის, რომ ეს გარემო საუცხოო ყვავილებითა და დეკორატიული ხეებით დამშვენებული, მოაწყო სახელგანთქმულმა მეყვავილემ, ამ ოჯახის მეგობარმა მიხეილ მამულაშვილმა.

აღნიშნული კარმიდამოს მფლობელი იყო იოანე კახთ აბაშიძის შთამომავალი. ამ სახელოვანი ოჯახის დიასახლისს — თამარ ალექსანდრეს ასულ ეახეახიშვილ-აბაშიძისას 13 შვილიდან, ერთის გარდა, ყველა დაეღუპა.

ჩვენ შევხვდით სახელოვანი კახთ აბაშიძეების რძლის ასულს — გულნარა აბაშიძეს და ეს ნარკვევი მასთან დაცული მასალების მიხედვით დაეწერეთ.

"ობლიაანთ კარი", ასე პქვია ერთ ტილოს, რომელიც ჩვენს სახელოვან მხატვარ ელენე ახვლედიანს შეუსრულებია. ის ნახატი დღეს დაცულია მხატვრის დის — მაკოს კოლექციაში. სწორედ ამ თბილი კერის ლამაზ ეზოში აქვთ გატარებული ბავშვობის წლები ელენე ახელედიანს, ეახვახიშვილებს, აბაშიძეებს, ქართველიშვილებს და სხვებს.

ვინ არ ყოფილა თამარ აბაშიძისას ოჯახის სტუმარი — ილია თუ აკაკი, რაფიელ ერისთაეი თუ ალექსანდრე ყაზბეგი. ვაჟა-ფშაველა თუ ეასილ ბარნოვი, ლადო მესხიშვილი თუ კოტე მარჯანიშვილი. ერთი სიტყვით, ვინც კი ჩამოვიდოდა თელავში ჩვენი ერის რჩეულთაგანი, ის აუცილებლად ამ ოჯახში მოხვდებოდა.

თამარ აბაშიძისას ინიციატივით, ჯერ კიდევ 1894-1895 წლებში, თელავში დაარსდა ჭრა-კერვის სკოლა, სადაც სწავლობდნენ უღარიბესი ოჯახის შვილები და როგორც ერთ წერილობით საბუთში ეკითხულობთ: "აბაშიძე იყო ამ სკოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ასწავლიდა საგნებს სრულიად უსასყიდლოდ 6-7 წლის განმავლობაში".

1903-1915 წლებში თ. აბაშიძე შედიოდა თელავის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში მოქმედი საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობაში. მისი ინიციატივით და ხელშეწყობით ჩამობრძანდნენ: აკაკი წერეთელი – 1911 წელს, ტრადიციულ "ილიაობაზე", ვაჟა-ფშაველა – 1913 წელს, მოეწყო შეხვედრები ახალგაზრდა მგოსნებთან ი. გრიშაშვილთან, გ. ქუჩიშვილთან, ს. ფაშალიშვილთან და სხვებთან.

1909 წელს გაიხსნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თელავის განყოფილება, რომლის დამფუძნებელთა შორის თამარ აბაშიძეც იყო. იმ დამსახურებიდან, რაც ამ განყოფილებას მიუძღვის თელავის კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში, მრავალი ფაქტია დაუნჯებული.

1911 წლის სექტემბერში თელავში გაიხსნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლა, რომელსაც ილია ჭავჭავაძის სახელი მიაკუთვნეს. 1915 წელს თელავის მაზრაში გაიხსნა ხუთი სამკითხველო და წიგნის მაღაზია. ყველა მათგანის სული და გული თამარი იყო. აღნიშნულმა საზოგადოებამ იმდენად გაითქვა სახელი, რომ შემოწირულობანიც გაჩნდა. მაგალითად, ილია ზარაფიშვილმა ამ საზოგადოებას უანდერძა თავისი საცხოვრებელი სახლი, ხოლო სოფიო ვახვახიშვილისამ – 1.800 მანეთი შესწირა. ამ საზოგადოებამ შეისყიდა ყვარელში მდებარე ილიასეული სახლ-კარი 5.344 მანეთად და საპატრონებლად თელავის განყოფილებას გადასცა.

თამარ აბაშიძე ჭეშმარიტი მასწავლებელი იყო. იგი 1912 წელს თელავის ვაჟთა გიმნაზიის დაარსების კომიტეტში შედიოდა. აქ იგი მოღვაწეობდა, როგორც მასწავლებელი და მშობელი. თელავში დაიბადა პირველი ნაბეჭდი გაზეთის გამოცემის იდეა, რომელიც 1919 წელს თამარის ვაჟის – დავით აბაშიძის მესვეურობით განხორციელდა.

1925-1927 წლებში თამარი თელავის შრომის I სკოლაში ხელსაქმე-ხელგარჯილობის მასწავლებლად მსახურობდა. 1927 წელს გაცემულ ერთ საბუთში ეკითხულობთ, რომ "მან მოაწყო სკოლაში სახელოსნო, რომელშიაც მოწაფეები მისი ხელმძღვანელობით დიდი ხალისით და სიამოვნებით აკეთებდნენ სკოლისათვის სხვადასხვა ხელსაწყოებს, სასწავლო ნივთებს და სხვ. გარდა ამისა, თამარი უშუალო მონაწილეობას იღებდა ოთხწლედის ჯგუფების მასწავლებელთა მუშაობაში.

1927 წლის სექტემბრიდან თამარი თავისი ოჯახით თბილისში გადაეიდა. იგი სამი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა თბილისის უსინათლოთა სკოლა-ინტერნატს. მან უსინათლოთა ბედი გულთან ახლოს მიიტანა. ის ამხნევებდა და არწმუნებდა უსინათლოებს: "თქვენ შეგიძლიათ ხალხისათვის სასარგებლო საქმეები აკეთოთო!"

მართლაც, ამ სკოლაში დიდძალ სამუშაოებს ასრულებდნენ: წნავდნენ კალათებს, აკეთებდნენ ჯაგრისებს, ქარგავდნენ ქართულ ასოებს, შოთასა და ილიას პორტრეტებს.

თ. აბაშიძემ უსინათლო ბავშვებისათვის შეადგინა სახელმძღვანელო წიგნი სათაურით "ქართული ანბანი უსინათლოთათვის", რომელიც სახელმწიფო გამომცემლობამ 1930 წელს თბილისში გამოსცა. ეს იყო ერთ-ერთი პირველი წიგნი ქართულ ენაზე, რომელმაც ქართველ უსინათლო ბავშვებს დიდი სამსახური გაუწია. თამარისვე ეკუთვნის საქართველოს რუკა, რომელიც მან სპეციალურად უსინათლოებისათვის შეადგინა.

როცა ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ მიხეილ გედევანიშვილმა დაიწყო ილია ჭავჭავაძის თხზულებათა შედგენა-გამოცემის საქმე, მას თელავიდან ერთ-ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა თამარ აბაშიძე და მატერიალური შემწეობა გაუწია. ამის დამადასტურებელია 1914 წელს, ილიას თხზულებათა მდიდრულად გამოცემული პირველი ტომის ის ეგზემპლარი, რომელიც თელავში ასეთი წარწერით გამოიგზავნეს:

"პატივისცემისა და მადლობის ნიშნად, მიერთვას ეს წიგნი ქ-ნს თამარ აბაშიძისას იმ უანგარო და ენერგიული შრომისათვის, რომლის წყალობით შესანიშნაი მწერლის და დიდებული მამულიშვილის შემოქმედების ნაყოფი მოეფინა საქართველოს ყოველ კუთხეს. მაისსა 1 დღესა. 1914 წ. დავშთები თქვენი პატივისმცემელი მიხეილ გედევანიშვილი".

1931 წელს თბილისში, ჯერ კიდევ მხნედ მყოფი თამარ ვახვახიშვილი-აბაშიძისა გარდაიცვალა. უსინათლო ბავშვებმა მასწავლებლის საფლავზე მიიტანეს თავიანთი ხელით მოწნული ყვავილების გეირგეინი ასეთი წარწერით: "თამარ მასწავლებელს – ჩვენს თვალისჩინს, მადლიერი უსინათლო ბავშვებისაგან". მეორე გეირგეინზე კი ეწერა: "თამარ აბაშიძისას თელაველებისაგან".

სწორედ ასეთი ქალები ქმნიდნენ ჯანსაღ ამინდს თელავის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში.

სოფიო ანდრონიკაშვილი-ლომიძისა

ანდრონიკაშვილების საგვარეულოს ორი შტო ქიზიყის წინა და უკანა მხარეში ცხოვრობდა. წინა მხარეში მათ "მარშალიანთად", "ერასტიანთად", "რამაზიანთად" და "ანა-ხანუმიანთად" მოიხსენიებდნენ. უკანა მხარეში კი ცხოვრობდნენ: "მოურაე-იესიანი", "მალხაზიანი", "მზეჭაბუკიანი" (მათი ოჯახის შთამომავალი იყო ნატო ვაჩნაძე), "ჯამბაზიანი", "ბელიანი", "თომანაანი", "თალიკოჩიანი" და "სპირიდონიანი".

"მოურაე-იესიანი" იყვნენ ქიზიყის პირველი და უკანასკნელი მოურავები, ამიტომაც იესე ანდრონიკაშვილის შთამომაელებს დაემატათ "მოურავიანი".

ქიზიყის მოურავ ზაქარია თამაზის ძე ანდრონიკაშვილს (1740-1802) ცოლად ჰყავდა მეფე ერეკლე II-ის ასული ელენე ბატონიშვილი (1753-1786). აქეე დავსძენთ, რომ ამ ქორწინებამდე ელენე გათხოვილი იყო იმერეთის უფლისწულ არჩილზე (მეფე სოლომონ I-ის ძმაზე), რომლისგანაც მას შეეძინა იმერეთის უკანასკნელი მეფე – სოლომონ II.

ზაქარია ანდრონიკაშვილისა და ელენე ბატონიშვილის ერთადერთი ასული – ხორეშანი, ანუ იგივე ანა-ხანუმი (1786-1833) იყო ის ქალი, რომელსაც უფალმა არგუნა გრიგოლ ორბელიანის დედობა და ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილის ბებიობა.

ზემოხსენებულ ზაქარია ანდრონიკაშვილს ჰყავდა ჯვარდაწერილი ქორწინების გარეშე დაბადებული ვაჟი – იოსები (ნინია), რომელიც ამის გამო ახნაურთა წოდებაში გადაიდა. იოსების ვაჟის – ზაქარია ანდრონიკაშვილის ექვსი შვილიდან თელავის კულტურულ ცხოერებას ღრმა კვალი დაამჩნიეს და-ძმა სოფიო და იოსებ ანდრონიკაშვილებმა.

თელავის თეატრის ფარდა ცნობილმა ინჟინერმა იოსებ ანდრონიკაშვილმა მოხატა. მასვე ეკუთვნის რამდენიმე დადგმის დეკორაციაც.

იოსებთან, ამ იშვიათი მუსიკალური ნიჭის მქონე ადამიანთან არის დაკავშირებული პეტრე ჩაიკოვსკის საქართველოში მოწვევა 1886 წელს და მისი შეხვედრები ჩვენს სახელოვან მამულიშვილებთან.

იოსების და – სოფიო, წმ. ნინოს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, აირჩიეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრად. ის სისტემატურად მონაწილეობდა საქველმოქმედო ღონისძიებებში, გამოდიოდა სცენაზე, მართავდა ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოებს, ლატარიას და შემოსულ თანხებს ახმარდა თელავის წმ. ნინოს სასწავლებელს და ქართული უნივერსიტეტის შენობის მშენებლობას.

შემორჩენილი ცნობებიდან ირკვევა, რომ სოფიოს, მირიან ვახტანგის ძე ორბელიანთან და ნინო ჩოლოყაშვილთან ერთად ჩაუტარებია თეატრალური საღამოები და დრამატული საზოგადოებისათვის 3.000 მანეთი გადაუცია.

სოფიომ მონაწილეობა მიიღო იმ წარმოდგენაში, რომელიც სასტუმრო ვეტცელის სცენაზე მოეწყო და დაიდგა ნ. აზიანის პიესა "გაცრუებული შედეგი". მან ავტორთან ერთად ითამაშა და შემოსული თანხა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა.

ქართული საქმით გატაცებული სოფიო შეუმჩნეველი არ დარჩა რუსეთის იმპერიის მთავრობას და მისი დაპატიმრებაც კი გადაწყვიტეს, მაგრამ მეგობრებმა იგი თბილისიდან მშობლიურ სოფელ მელაანში გააპარეს. მან არც იქ დაისვენა. შეკრიბა 20-მდე ღარიბ-ღატაკი ოჯახის შვილი და წერა-კითხვა შეასწავლა. ის ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე ასწავლიდა ბავშვებს ისტორიას, გეოგრაფიას, მათემატიკას და მოსწავლეთაგან მომღერალთა გუნდიც კი შექმნა.

ამ ფაქტით აღფრთოვანებულმა ილია ჭავჭავაძემ მას გამამხნევებელი წერილი მისწერა და დახმარების გასაწევად გაუგზავნა ცნობილი მუსიკოს-პედაგოგი იოსებ მონადირიშვილი, რომელმაც რამდენიმე ხალხური სიმღერა სპეციალურად მათთვის დაამუშავა.

სოფიო მწერლობის მძიმე ჭაპანსაც ეწეოდა. მაშინდელ ქართველ მწერალ ქალთა რიცხვმცირე წრეში საუბრობდნენ სოფიოს მოთხრობებზე: "მერცხლები", "მკეხარა გოგო" (გამოქვეყნდა "ნაკადულში") და "კვალში" კი დაიბეჭდა მისი ლექსები.

ის თაყდადებით უძღვებოდა წინანდლის საუფლისწულო მამულში გახსნილ სკოლას, ასწავლიდა ყველა საგანს, გარდა საღმრთო რჯულისა. მხოლოდ მისი დიდი მცდელობის შემდეგ, იქ სწავლება ქართულ ენაზე შემოიღეს.

სოფიო დამატებით ასწავლიდა ხატვას და ხელსაქმეს. ყოველ შაბათს კი სარდაფის დიდ შენობაში, სადაც სცენა იყო მოწყობილი, თეატრალურ-ლიტერატურულ წარმოდგენებს მართავდნენ. მანვე შექმნა არითმეტიკის შესასწავლი ხელსაწყო, რომლის გამოცემის ნებართვაც სანკტ-პეტერბურგიდან მიიღო. სამწუხაროდ, ამ წიგნის გამოცემას ხელი I მსოფლიო ომმა შეუშალა. წინანდლის საუფლისწულო მამულის სკოლამ მიიღო სანიმუშო სკოლის სახელწოდება, თეით სკოლის მესვეური კი ოქროს საათით და სიგელით დაჯილდოდა. მანვე შექმნა წინანდალში ბიბლიოთეკა და სამხატერო წრე.

ანდრონიკაშვილის ასული ცოლად გაჰყვა წინანდლის საუფლისწულო მამულის ბუხალტერ ილია ლომიძეს. მათ სამი შვილი შეეძინათ.

მათ ოჯახში ინახება დედის არქივის ერთი ნაწილი, საიდანაც ეცნობით, რომ მათთან დაცული იყო ჯვარცმული ქრისტეს ეერცხლის ჯვარი, ლურჯი ბროლის სურა იაშმის წყლისათვის, მეფე ერეკლე II-ის საბრძოლო დროშა – მტრის ტყვიებით დაფლეთილი, რომელიც ქართული მუზეუმისათვის გადაუცია თ.

სამწუხაროდ, ქართული დროშების შემორჩენილ კოლექციაში ეს დროშა არ ჩანს (იხ.: ს. ბარნაველი, ქართული დროშები, თბ., 1953).

სოფიოს ჩანაწერებში იმაზედაც არის საუბარი, რომ ერმიტაჟში მის მშობლებს უნახავთ ერთი ფერწერული ტილო, რომელზედაც აღბეჭდილი ყოფილა მათი წინაპარი – ქეთევანი. ის ოსმალებთან ერთ-ერთი შეტაკების დროს, კაბის კალთიდან აწვდიდა ტყვიებს ქართველ მეომრებს. აქვეა საუბარი სოფიოს პაპის – იასეს შესახებ, რომელმაც ალექსანდრე გრიბოედოვთან ერთად მოაწერა ხელი თურქმენჩაის სახეო ხელშეკრულებას.

მოგვიანებით, სოფიომ მუშაობა თელავში დაიწყო. მისი ხელმძღვანელობით, თელავის I საშუალო სკოლაში დაიდგა პიესა "სპარტაკი" და "ვოდევილები".

1954 წელს ანდრონიკაშვილთა საგვარეულოს ერთ-ერთმა ღირსეულმა წარმომადგენელმა საქართველოს სააქაო ვალმოხდილმა დატოვა.

ნინო შიუკაშვილი-გოგნიაშვილისა

თელაველი შიუკაშვილების რამდენიმე ოჯახის დედას, შვილებს და შვილიშვილებს სწავლა წმ. ნინოს ქალთა თელავის სასწაულებელში მოუწია. ეს საგვარეულო წარმოშობით სასულიერო წოდებას განეკუთვნებოდა.

შიუკაშვილების ოჯახიდან 5 დამ – ელენემ, თამარმა, მართამ, მარიამმა და ნინომ განათლება თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში მიიღო. მათგან პედაგოგიურ სარბიელს ყველაზე მეტი კვალი დაამჩნია ნინო შიუკაშვილმა-გოგნიაშვილისამ.

ნინომ 13 წლის ასაკში ანა ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდიით დაამთავრა წმ. ნინოს ოთხკლასიანი სასწავლებელი. შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის წმ. ნინოს სახელობის შვიდკლასიანი სასწავლებელში და მუშაობა თბილისში, თავად ჩერქეზიშვილის ოჯახში, პედაგოგად დაიწყო. შემდეგ იგი მიიწვიეს ბოდბის წმ. ნინოს მონასტრის ორკლასიან სასწავლებელში.

ნინო მშობლიურ თელავში დაბრუნდა და კერძო სკოლის გახსნაზე ზრუნვა დაიწყო. კაეკაისის სამოსწავლო ოლქის უფროსმა იანოვსკიმ მას დართო უფლება გაეხსნა სასწავლებელი, რომელიც ატარებდა ასეთ სახელწოდებას: "Частное учебное заведение III разряда Н. М. Шиуковой."

ნინო შიუკაშვილის ამ სკოლაში სწავლება რუსულ ენაზე უნდა ყოფილიყო, მაგრამ კონსპირაციულად თითქმის ყველა საგნის სწავლება ქართულად მიმდინარეობდა. ამ სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის ეს სასწავლებელი ფაქტობრივად პირველ ქართულ სკოლას წარმოადგენდა.

ნინო მეუღლესთან – ალექსანდრე გოგნიაშვილთან ერთად სანკტ-პეტერბურგში გადავიდა. იქ ისინი საზოგადოება "კახეთის" მესვეურები იყვნენ. იმჯერად მათი ოჯახი გადაიქცა საქართველოდან ჩასულ ახალგაზრდობის შეხვედრების ადგილად.

შემონახულია ცნობა, რომ 1907 წელს, როდესაც ილია ჭავჭავაძე სანკტ-პეტერბურგში სახელმწიფო საბჭოს მეორე სხდომაზე ჩავიდა, მან ბინა დაიდო ალექსანდრე დავითის ძე გოგნიაშვილისა და ნინო შიუკაშვილის ოჯახში (ჟუკოვსკის ქ. № 11).

ამ ოჯახში ხშირად სტუმრობდნენ ძმები ივანე და გიორგი ჯაფახიშვილები. ერთ-ერთი სტუმრობის დროს, ივანე ჯაფახიშვილს აქ დარჩენია ჩანახატები, რომლებიც ათეული წლების შემდეგ ნინოს გადაუცია ბატონი ივანესათვის. დიდი მეცნიერისაგან ნინოს ასეთი წერილი მიუღია:

"დიდად პატივცემულო ქალბატონო ნინო!

ავად გახლდით აქამდის და ამიტომ გულითადი მადლობა ვერ მოგახსენეთ იმ ჩემი "ნახატებისათვის", რომელიც თქვენს ოჯახში საამური მეგობრული საუბრის დროს დამიჯღაბნია. გასაოცარია, როგორ გადარჩენილა ეს "ნახატები" ამ სამნახევარი ათეული წლის განმავლობაში!...

პატივისცემით, ივანე ჯაფახიშვილი".

1910 წელს ნინო და მისი ოჯახი დაბრუნდა საქართველოში და სათაეში ჩაუდგა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამაერცელებელი საზოგადოების თელავის განყოფილების მიერ გახსილ სკოლას. ამ განყოფილების გახსნის ორგანიზატორი იყო თამარ ვახვახიშვილი-აბაშიძისა და გამგეობის წევრი იყო ნიკოფორე მამინაშვილი. სკოლის გამგე იყო ნინო შიუკაშვილი, მასწავლებლად კი მუშაობდნენ: ნინო ლაშხაური-მთავრელაშვილისა და ანა ჯაჯანიძე-ზურაბიშვილისა.

თელავში, ამ განათლების კერას, მოიხსენიებდნენ როგორც "გორის სკოლას" (ეს შენობა იყო ვახვახიშვილების გორაზე, შემორჩენილია მისი ფოტო).

სკოლაში ლიტერატურული დილა-საღამოები იმართებოდა. ნიკო სულხანიშვილის ხელმძღვანელობით გამართული ხალხური სიმღერების კონცერტებიდან მიღებული შემოსავლიდან და კერძო შეწირულობიდან – 400 მანეთი ნინო გოგნიაშვილმა თელავის წმ. ნინოს სასწავლებელს შესწირა.

"უფროს თაობას ახსოვს – წერდა მწერალი თინა დონჯაშვილი, – თელავის I ქართული სკოლა, რომლის დაარსებიდან დახურვამდე, შეუნაცვლებელი გამგე და მასწავლებელი იყო ნინო შიუკაშვილი" (იხ.: ჟურნალი "საქართველოს ქალი", თბ., 1963 № 12, გვ. 19).

ქართულ საბავშვო ლიტერატურაში ნინო შიუკაშვილმა შესამჩნევი წვლილი შეიტანა. მისი მოთხრობები ქართულ საბავშვო ჟურნალებში იბეჭდებოდა.

ნინო გოგოლაძე

ნინო გოგოლაძე დაიბადა 1885 წლის 11 მარტს. 9 წლის ასაკში შეიყვანეს თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ, მან მასწავლებლის მოწმობა მიიღო.

1905 წელს თელავში პოეტ სოლო გოშაძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სცენის მოყვარეთა დასი, რომლის აქტიური წევრი ნინო გოგოლაძეც გახდა. 1909 წლიდან მას უხდება მუშაობა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თელავის განყოფილებაში. მაშინ დაუმეგობრდა იგი ცნობილ ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებს: აკაკი წერეთელს, ვაჟა-ფშაველას, შალვა დადიანს, იოსებ გრიშაშვილს, იოსებ მჭედლიშვილს, ნიკო სულხანიშვილს, იოსებ იმედაშვილს, სანდრო შანშიაშვილს, დავით თურდოსპირელს და სხვებს.

ნინო გოგოლაძემ შემოქმედებითი მოღვაწეობა 1910 წელს დაიწყო. მან ჟურნალში "თეატრი და ცხოვრება" (№ 34) გამოაქვეყნა ლექსი "უდაბნოს ეეგდე გულდაკოდილი". ამის შემდეგ, ის საკმაოდ ხშირად აქვეყნებდა "სევდიას" ფსევდონიმით ხელმოწერილ ლექსებს, ნოველებს და კორესპონდენციებს.

1911 წელს შალვა დადიანმა თავისი თეატრალური დასით კახეთში მოგზაურობა დაიწყო. ამ მოგზაურობის შესახებ მან "სახალხო გაზეთში" (№ 381) გამოაქვეყნა შთაბეჭდილებები, რომელშიც ვკითხულობთ: "წლეულს წილად მხვდა ზაფხული მშვენიერ კახეთში გამეტარებინა. რაღა თქმა უნდა, პირველი სტუმრობა ჩემს გულითად მეგობარს ნიჭიერ მსახიობს დავით აწყურელს გაუწიე და აი, მის მშვენიერ ღვინოსთან და მის საამურ მახეილობასთან ერთად ერთგვარი სათეატრო სიხარული განვიცადე. იქ გავიცანი ბ. სევდია, რომელსაც დაუწერია დიდად შესამჩნევი პიესა ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან – "სიბნელის მსხვერპლნი".

როგორც ჩანს, ქართველმა მწერლებმა და თეატრალურმა მოღვაწეებმა, ნინო გოგოლაძის სახით, თელავში ერთგული მეგობარი თითქმის ერთდროულად შეიძინეს.

ნინოს ლექსები იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში: "თეატრი და ცხოურება", "ხმა კახეთისა" და "სახალხო საქმე". საინტერესოა მისი ერთ-ერთი ლექსის ისტორია, რომელიც გამოიკვლია იოსებ გრიშაშვილმა. ავტორს ეს ლექსი დაუწერია 1911 წელს და მიუძღვნია პოეტ იროდიონ ევდოშვილისთვის. იგი გამოსაქვეყნებლად გაუგზავნია გაზეთში "სახალხო საქმე", მაგრამ ცენზურას ლექსის გამოქვეყნების ნება არ დაურთია.

1946 წელს ეს ლექსი არქივში იპოვა იოსებ გრიშაშვილმა, რომელიც დაბეჭდა იმავე წელს, გაზეთში "ლიტერატურა და ცხოერება" (№ 21).

ამის შესახებ ცნობილმა პოეტმა მეგობარ თანამოკალმეს მისწერა:

"ქ-ნო ნინო! თქვენი ლექსი და წერილი მივიღე (ლექსის ამბავი ძალიან გრძელია და ამიტომ შეიძლება გაზეთში არ დაბეჭდონ) თქვენი დაბეჭდილი ლექსისათვის 200 მანეთს გიგზავნით.

პალალ! ი. გრიშაშვილი, 1946. 5. VI" (ეს წერილი დაცულია დავით გოგოლაძის საოჯახო არქივში).

ნ. გოგოლაძის ნიჭი უფრო პროზაში და დრამატურგიაში გამომჟღავნდა. მის ფსიქოლოგიურ ნოველებში: "ბულბულის გოდება", "ჩემი სატრფო", "არწივის ბედი", "ფოთლები კი ცვიოდა... ცვიოდა", "უკანასკნელი სალამი", "მეგობრის წერილიდან", "შროშანის თაიგული" და სხვებში შიო არაგვისპირელის, ნიკო ლორთქიფანიძის და ჭოლა ლომთათიძის ნოველების გავლენა ჩანს.

ნინო გოგოლაძის კალამს ეკუთვნის 10-მდე დრამატული ნაწარმოები, რომელთა ნაწილი სცენაზე წარმატებით იდგმებოდა. მაგალითად, პიესა "მკითხავი" ი. გრიშაშვილის ცნობით, 1910 წელს ნ. გაბუნია-ცაგარელისა და ვასო აბაშიძის მონაწილეობით დაიდგა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ნ. გოგოლაძის "მკითხავს" პირველად შალვა დადიანი შეეხო. იგი "სახალხო გაზეთში" (1911, № 381) მიუთითებდა: "უწინარეს ყოვლისა, მე ის მომწონს, რომ სრულიად უპრეტენზიოდ არის პიესა დაწერილი. ავტორი არ გამოსდგომია თეატრალურ სხვადასხვა ფსიქოლოგიურ ხლართს და სადრამო კვანძებს. სასურველის უბრალოებით, ბუნებრივად არის გადმოცემული სოფლის ცხოერება და დიდის დაკვირვებით, საქმის ცოდნით არის განსახიერებული ყველა მოქმედი პირი პიესისა და თითოეული ფრაზაც კი, მათგან თქმული" (იხ.: გაზეთი "სახალხო საქმე", 1911, № 381).

1914 წლის 31 იელისს, ცენზურამ ნება დართო, რომ დადგმულიყო ნინო გოგოლაძის დრამა "თაისუფალი სიყვარული". იგი თელავში მიხეილ ქორელმა დადგა. პიესაში როლები განასახიერეს: ნუცა ჩახიძემ, კორიშელმა, ალექსანდრე გომელაურმა, ნინო დავითაშვილმა და სხვებმა.

ნ. გოგოლაძის ავტობიოგრაფიაში, რომელიც 1954 წელს ალექსანდრე გეენცაძის თხოვნით დაიწერა, ეკითხულობთ: "დაწერილი მაქვს ორი ახალი პიესა. ერთი მათგანი შალვა დადიანთან არის გაგზავნილი გასარჩევადო". ამ პიესის ერთ-ერთი ეგზემპლარი დაცულია მწერალი ქალის არქივში. პიესაში შთამბეჭდავი ფერებით არის დახატული XX საუკუნის 40-იანი წლების ცხოერება, როგორც შრომის, ასევე ბრძოლის ფრონტებზე.

თავის ახალ ნაწარმოებს ნინო გოგოლაძე ხშირად განსახილველად უგზავნიდა უფროს თანამოკალმეებს შალვა დადიანსა და იოსებ გრიშაშვილს. ისინიც გულოხილად ეკიდებოდნენ ავტორს და რჩევა-დარიგებასაც არ აკლებდნენ, რასაც ადასტურებს მწერალი ქალის არქივში შემორჩენილი epistolური მემკვიდრეობა.

შალვა დადიანის ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: "პატივცემულო ნინო! გამეხარდა, რომ პიესა დაგიწერიათ, რადგანაც თქვენ კარგად იცნობთ ჩვენს ხალხს, მის ზნე-ხასიათს, მის უნარს, მის მომზადების დონეს და სხვა. ეს თქვენ დაამტკიცეთ თქვენი ადრინდელი პიესით "მკითხავი". ცხადია, მას შემდეგ კიდევ მეტი გამოცდილება შეიძინეთ. დღევანდელ ყოფა-ცხოვრებას თქვენი მხატვრული თვალი კარგად განჭვრეტდა. გამომიგზავნეთ, სიამოვნებით წავიკითხავ და, რაკი ჩემი აზრი გნებავთ ამ ახალი პიესის გარშემო, ამასაც მოუფიქრებლად მოგახსენებთ, რადგან თქვენ, ცხადია, მეგობრის პირუთვნელი მსჯელობა გსურთ გაიგოთ. გამომიგზავნეთ ჩემი ოფიციალური მისამართით: თბილისი, მახარაძის № 8, თეატრალური საზოგადოება (ამას და ამას). მხოლოდ ერთია, თქვენი წერილი დიდი ბოდიშებით არის დატვირთული. გთხოვთ მომავალში ეგ არ დაიჭირვოთ. იყავით კარგად. გისურვებთ წარმატებას. შალვა დადიანი" (შ. დადიანის წერილები ინახება დ. გოგოლაძესთან. 1975 წელს ისინი გამოვაქვეყნეთ "მეგზურში", გვ. 239-240).

1949 წელს შალვა დადიანი ნინო გოგოლაძეს წერდა:

"ძვირფასო ნინო! სრულ სიმართლეს სწერთ, რომ პატრიოტული გრძნობის გაღვივება მუდამ საჭირო და საპატიო საქმეა და ამ იდეისათვის შემოქმედება მარადიულია. ამ მხრივ თქვენს პიესას ნაკლი არა აქვს და მე ეს ჩემ წერილში არც დამიწუნებია. მე ისა მგონია, რომ ამჟამად თეატრებს ისევ პატრიოტულ ნიადაგზე აღმოცენებული, მაგრამ სხვა თემები აქვთ საყურადღებოდ ქცეული და ამიტომ შეიძლება ამას ამჟამად ხელი არ მოჰკიდონ მეთქი, რადგან ახლა საჭიროა ბევრი წამოვიდეს, ასე ვთქვათ, შინა მდგომარეობის თემაზე დაწერილი პიესები და როდესაც ასეთები მოხშირდება, მაშინ თქვენი პიესაც მადლიანად გაიელვებს ქართულ სცენაზე. ახლა, კარგი იქნება თუ თქვენს ახალ პიესას "შუქურასაც" წამაკითხებთ. ამ თქვენ უსათაურო პიესას როდესაც მოინდომებთ, შემატყობინეთ და გამოგიგზავნით. გისურვებთ ყოველივე კარგს, ჯანმრთელობას. ნუ უქვიფობთ.

სალამით, შალვა დადიანი, 9. V. 49".

ნ. გოგოლაძის არქივში დაცულია იოსებ გრიშაშვილის 10 წერილი. აქვე ინახება ს. ფაშალიშვილის, ი. მჭედლიშვილის, კიკნა-ფშაველას და სხვათა წერილებიც.

მწერლის საყვარელი ფსევდონიმი იყო "სევდია", მაგრამ იგი წერდა ასევე "შხამისა" და "ნარგიზის" ფსევდონიმებითაც. ამ ფსევდონიმებით იგი ძირითადად პუბლიცისტურ და იუმორისტულ ნაწარმოებებს აქვეყნებდა.

1958 წლის 10 სექტემბერს ნ. გოგოლაძე გარდაიცვალა. იგი თანაქალაქელებმა დიდი პატივისცემით დაკრძალეს თელავში. ამ უპრეტენზიო ქალმოსნის გარდაცვალებას გამოეხმაურნენ შალვა დადიანი, იოსებ გრიშაშვილი, მიხეილ მრევლიშვილი და სხვები.

შალვა დადიანი წერდა: "საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმი თანაგრძნობას გიცხადებთ ძველი საზოგადო მოღვაწის, დრამატურგ ნინო გოგოლაძის გარდაცვალების გამო".

ი. გრიშაშვილი იუწყებოდა: "გული დამიმძიმდა ნიჭიერი მწერლის ნინო გოგოლაძის გარდაცვალების გამო".

"გულწრფელად ვწუხარ, ჩვენი საზოგადო მოღვაწის, ქართული მწერლობის პირუთნელი მოყვარულის, პირადი მეგობრისა და ნათესავის გარდაცვალებას" – წერდა მიხეილ მრევლიშვილი.

ნინო გამყრელიძე-მაჭავარიანისა

თვალწინ გვიდგას 60-იანი წლების თელავი... პედაგოგიური ინსტიტუტის შესასვლელი კახთმეფეთა სასახლის კარი აღმოსავლეთის მხრიდან... გვახსენდება ფუტკრის სკასავით მოზუზუნ-მოფუსფუსე აუდიტორიები, სტუდენტებით, პროფესორ-მასწავლებლებით სავსე. ამ ბებერ კედლებს ეშხს მატებდნენ ჭაღარა მანდილოსნები: ზინაიდა კეცლიშვილი, ნინო გამყრელიძე-მაჭავარიანისა, მარიამ გაჩეჩილაძე, ნინო დიასამიძე, ევგენია კალანდაძე... ისინი ყველანი XIX საუკუნიდან იყვნენ გადმოსულნი და ამიტომაც თავისებური ხიბლი დასდევდათ. ყველა მათგანზე შეიძლება საგაზეთო წერილის კი არა, წიგნის დაწერაც კი, მაგრამ ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილის დაუდევრობის გამო, მათ შესახებ ბევრი რამ თვალს მიეფარა და ზოგიც უკეალოდ გაქრა.

ჭაღარა მანდილოსანი ნინო გამყრელიძე-მაჭავარიანისა ყელმოღერებული დადიოდა, განუყრელი ხელჩანთითა და მოწიწებით გულზე მიკრული წიგნებით, რეეულებით. ის აღელვებული არასდროს გვინახავს. საოცარი, ოლიმპიური სიმშვიდე მეფობდა მის გარეგნობაში, მაგრამ არავინ არ იცოდა თუ იგი რა სულიერ ღელვას დაატარებდა. სწორედ მისი ცხოერების ავბედითობამ გაგვახსენა მიხეილ ჯავახიშვილის რომანი "ქალის ტეირთი", რომელიც ჩვენს წარმოდგენაში ქალის ხვედრთან ერთად აღიქმება.

ნინო არჩილის ასული გამყრელიძე დაიბადა 1890 წელს, თელავის მაზრის სოფელ აწყურში. დედამისი – ეკატერინე ქადაგიძე თუშ ქალთაგან პირველი იყო, რომელმაც განათლება მცხეთის სვეტიცხოველის სამრეელო სასწავლებელში მიიღო.

ნინო – სახელოვან ოჯახში აღიზარდა. იგი ჩოლოყაშვილების, მელვინეთუხუცესების, სულხანიშვილების, ყარანგოზიშვილებისა და ანდრონიკაშვილების გარემოცვაში იზრდებოდა. თვით გამყრელიძეების ეს ოჯახი გამოირჩეოდა მაღალი განათლებისა და თეატრალური ხელოენებისადმი სიყვარულით. მისი ბიძები იყვნენ ქართული თეატრის მშვენებანი დავით და ვიქტორ გამყრელიძეები, რომელთა საშემსრულებლო ხელოვნებით აღფრთოვანებულნი იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იეანე მაჩაბელი, ვაჟა და ყაზბეგი. ძმები გამყრელიძეების შესახებ დიდმა ილიამ პრესაში საგულისხმო აზრი გამოთქვა.

დაეით გამყრელიძემ კალამი მწერლობაშიც სცადა. ცნობილია მისი ნათარგმნი პიესები და ეოდეეილები. ქართულ ორიგინალურ ეოდეეილის ჟანრში დაეით აწყურელის ღეაწღლი სათანადოდ შესასწაელ-შესაფასებელია.

ქალბატონმა ნინომ დიდებული საოჯახო განათლება მიიღო, მაგრამ მისი სასკოლო განათლების მიღება მაინც საჭიროდ ჩათეალეს. 1899 წელს იგი შეიყეანეს თელაეის წმ. ნინოს სასწაელებელში, რომელიც 1905 წელს დაამთაერა. შემდეგ სწაელა განაგრძო თბილისის წმ. ნინოს სასწაელებელში. სწორედ ამ დროს აღინიშნა თელაეში დაეით გამყრელიძის სასცენო მოღეაწეობის 25 წლისთაეი. ნინომ ბიძას მიულოცა საიუბილეო თარიღი და მისგან 1909 წლის 16 აპრილს ასეთი სამადლობელო წერილი მიიღო:

"ჩემო ძეირფასო და საყეარელო ნინა!

გაიხარე სამუდამოდ, როგორც მე გამახარე შენი და ნინიკას წერილების მიღებით, რითაც მიცხადებთ მხურეალე თანაგრძნობას ჩემის 25 წელი ქართულ სცენაზე მოღეაწეობისათეის. საფლაეში ჩავიყოლებ თქეენს გულწრფელ სიტყეებს. გკოცნით ტასო და ლიზა. შენი ძია დ. გამყრელიძე".

1909 წლიდან ნინო გამყრელიძე პედაგოგიურ სარბიელზე მოღეაწეობდა. იგი სხეადასხეა დროს სკოლებში ასწაელიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას, მათემატიკას, რუსულ ენასა და ლიტერატურას. 1940 წლიდან ის ლექციებს კითხულობდა თელაეის სამასწაელებლო ინსტიტუტში, რომელიც დღეს ცნობილია იაკობ გოგებაშეილის სახელობის სახელმწიფო უნიეერსიტეტის სახელით.

ნ. გამყრელიძის მეუღლე იყო სოლომონ ზაალის ძე მაჭავარიანი, რომელმაც გაიარა ცხოერების საინტერესო გზა — სიბირსკის კადეტთა კორპუსიდან და ელიზავეტგრადის საკავალერო სასწაელებლიდან მოყოლებული — 1924 წლის ანტიბოლშეეიკურ აჯანყებამდე.

ს. მაჭავარიანი მსახურობდა უნგრეთის ულანთა მერეე პოლკში კორნეტად (1908) პორუჩიკად (1911) და შტაბს-როტმისტრად (1914). ამ წოდებით მონაწილეობდა I მსოფლიო ომში, სადაც იბრძოდა გერმანიის (1914-1916), ავსტრიის, რუმინეთის (1916-1917) და სპარსეთის (1917) ფრონტებზე. 1917 წლიდან იგი ცხენოსანთა I პოლკში ესკადრონს მეთაურობდა.

1919 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთაერობამ მას პოდპოლკოენიკის წოდება მიანიჭა. გენერალ ჭავჭაეაძის პოლკის ესკადრონის მეთაურის რანგში მონაწილეობდა ბარცაალთან ოსმალებთან მომხდარ ბრძოლაში.

ქალბატონი ნინო განსაკუთრებული სისათუთით და სიფრთხილით საუბრობდა ხოლმე 1924 წლის სახალხო აჯანყებაზე, ქაქუცა ჩოლოყაშეილსა და თელაეში საშა დაეითის ძე გამყრელიძის ჩაშლილ ქორწილზე.

1924 წელს აგეისტოში დათქმული იყო აჯანყების დღე. საქართეელო დაყოფილი იყო სამოქმედო უბნებად და რაიონებად. როცა ყეელაფერი გამომყღაენდა, ხელისუფლებამ რეპრესიებს მიმართა. თელაეის მაზრაში შედგენილი იყო განსაკუთრებული ოფიცერთა რაზმი, რომელსაც პოლკოენიკი სოლომონ მაჭავარიანი მეთაურობდა. მისი თანაშემწენი იყენენ კაპიტანი ირაკლი გამყრელიძე და კაპიტანი დათა სულხანიშეილი.

მდგომარეობა დაძაბული იყო, – იგონებდა ქალბატონი ნინო, – ასეთ დროს ეის ექორწილებოდა, მაგრამ საშა დავითის ძე გამყრელიძემ ქორწილის დღე დანიშნა და დაჰპატიჟა ნათესაობას, თავადაზნაურობას... ჩვენც წავედით და ვხედავთ, რომ ქორწილი არ ჰგავს ქორწილს... აი, მიზეზიც, შუაღამისას მოვიდნენ ჩეკას წარმომადგენლები და მოითხოვეს ქორწილის შეწყვეტა. ამაო იყო ყოველი ცდა და გათენების ჟამს ჩეკისტებმა დააპატიმრეს მექორწილე ყველა მამაკაცი.

ამ არეულობაში მეორე ოთახში ტახტზე ქეშაგებში ქალებმა დამალეს სულხან სულხანიშვილი, 17 წლის ყმაწვილი, ცნობილი ალექსანდრე სულხანიშვილის ბიძაშვილი. ამ სასწაულებრივად გადარჩენილ კაცს 10-15 წლის წინ მე ეხედებოდი თბილისში და მისგანაც ვიწერდი მოგონებებს. ისე, რომ ეს მოგონებებიც ელოდება დღის სინათლეს. ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს 1924 წლის აჯანყებაზე გამოსაელინებელი.

და ისევ იმ ჩაშლილი ქორწილის ირგვლივ. დაპატიმრებული მექორწილენი მიიყვანეს თელავის პოლიტბიუროში. აი, სწორედ იმ ღამეს მოხდა ინციდენტი ციხის უფროს ჯაფარიძესა და კომკავშირში შესულ ყმაწვილ ჯორჯაძეს შორის.

ჯორჯაძემ ციხის უფროსს სთხოვა, რომ დაპატიმრებული მამის სიცოცხლე მისთვის ეჩუქებინა. მაგრამ ჯაფარიძემ პირიქით, შვილს დაატყვევა მამის დახვრეტა. მაშინ ჯორჯაძემ მამის ნაცვლად ესროლა ჯაფარიძეს... სასიკეთილოდ განწირულმა ჯაფარიძემ გასცა განკარგულება ყველა დაპატიმრებულის დახვრეტისა. ეს ასეც მოხდა...

ქალბატონი ნინო იხსენებდა, რომ პატიმრებს მთელი ღამე ხვრეტდნენ. არ ეძინა თელავის მოსახლეობას, ყველა შეშინებულ-შეძრწუნებული იყო. სისხლის ღვარი მოედინებოდა და უერთდებოდა ნაკადულებად კაკლის ხევს. იმავე ღამეს თელავის 64-ე პოლკის ფურგონებს გაჰქონდათ "გიგოს გორაზე" დახოცილთა გვამები, რომლებსაც სასწრაფოდ ამოთხრილ ორმოებში ჰყრიდნენ. ხოლო ციხიდან "გიგოს გორამდე" გაელილ გზაზე დარჩენილ სისხლის კვალს ფურგუნებიდან ჩამოყრილი ქვიშით სპობდნენ.

ნინო გამყრელიძის ასული – ეკატერინე მაჭავარიანი მოგვითხრობდა: "მეორე დღეს გამოაკრეს დახვრეტილთა სიები, მაგრამ მასში არ აღმოჩნდნენ მამაჩემი და საშა გამყრელიძე. იმედი მოგვეცა, იქნებ გადაურჩნენ დახვრეტასო, მაგრამ მოვტყუვდით. რამდენიმე დღის შემდეგ, დედასთან მოვიდა ვინმე მაღრაძე, რომელსაც ზედმეტსახელად "ტრუბეცკოის" ეძახდნენ. მან მოგვიტანა მამის ხის პორტსიგარი, რომელშიც მუნდშტუკი და ქაღალდის 5 კაპიკიანი იდო. ასე გვითხრა: "სოლიკოსთან ერთად ვიჯექი ოთახში და რადგან ძალიან ბევრნი ვიყავით, ზოგნი სარდაფში გადაგვიყვანესო. სოლიკომ ეს ნივთები მომცა და მთხოვა თუ ცოცხალი გადარჩი, ნინოს გადაეციო".

ქალბატონმა ეკატერინემ ცრემლებით საუსე თვალები შემოგვანათა და გულისტკივილი დაამატა: "იმ საბედისწერო ღამის შემდეგ, რომ გათენდა, მე და ჩემი ძალო ნატაშა წავედით გიგოს გორაზე. გადათხრილ მიწაყრილზე ვიპოვნეთ მამაჩემის პერანგის ნაგლეჯი, რომელსაც დიდხანს ვინახაედი ისე, რომ დედასთვის არ მიჩვენებია. შემდეგ იგი დედას ჩავატანე საფლავში და ასე შევახვედრე ისინი უკანასკნელად".

ნინო მაჭავარიანისგან გაგეცნობინა ისიც, თუ როგორ დაარბიეს სოფელ აწყურში მცხოვრები თავადაზნაურობა. მათი ძარცვა-გლეჯა სოფელ ჩაბინიანიდან დაუწყიათ. შეშინებულ ქალებს თავი ცლეხების ოჯახებში შეუფარებიათ.

გამყრელიძეებიც შეეცდებიან ხარატიშვილებს, მაგრამ მეზობელი ოსური სოფლიდან ჩამოსულთ გაუტაცებიათ ლიზიკო გამყრელიძე და ჯგუფურად გაუუპატიურებიათ. ამის შემდეგ, იგი სახლში წაუყვანია არჩილ გამყრელიძის მეზვერეს სოლია ამუხაშვილს, მაგრამ სასომიხდილი ქალი სულით დაეცადებულა...

ბევრის მომსწრე და მნახველი იყო ქალბატონი ნინო გამყრელიძე-მაჭავარიანისა. ორი შვილის ობლად გამზრდელ დედას, 60 წლის პედაგოგიური შრომით დამაშვრალს, წილად ხვდა ქედუხრელად ეტარებინა ქალის ტვირთი, იმ თაობის თავადაზნაური წარმოშობის მანდილოსნებისათვის დამახასიათებელ ხვედრთან ერთად.

სოფიო ვახვახიშვილი-ჯავახიშვილისა

სამცხის ფეოდალები – ვახვახიშვილები, კახეთში გადმოსახლების შემდეგ, თელავში დამკვიდრდნენ. ამ ქალაქში მათ 1743 წელს ააგეს ციხე-კოშკებითა და გალავნით დამშვენებული სასახლე.

1857 წელს სახელგანთქმული მოსამართლის ათანასე ვახვახიშვილის ოჯახში დაიბადა ასული, რომელსაც სოფიო დაარქვეს.

რვა წლის სოფიო შეიყვანეს თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში. მას სწავლა ამ სასწავლებლის მოსწავლეთა პირველ შემადგენლობაში მოუწია.

1864 წელს თელავის სამაზრო სასწავლებელში მასწავლებლად დანიშნეს 19 წლის ჭაბუკი თავადი ალექსანდრე ივანეს ძე ჯავახიშვილი (1844-1912). მოგვიანებით მან ცოლად შეირთო თელაველი ასული სოფიო ათანასეს ასული ვახვახიშვილი (1855-1928), რომლის შესახებაც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

სოფიომ კალთა გაიბედნიერა და ჯავახიშვილთა სახელოვანი გვარი ექვსი შვილით გაამრავლა. მათ შორის ერის წინაშე გამორჩეული ღვაწლი მიუძღვის ივანე ჯავახიშვილს.

თანამედროვეთა დახასიათებით, სოფიო იყო "მაღალი, ლამაზი, ნაზი, თავმდაბალი და დარბაისელი მანდილოსანი. მისი ჭკვიანი და თვინიერი თვალები, დროდადრო სევდით მონისლული, კიდევ მეტად ზრდიან სულიერ სითბოსა და მიმზიდველობას" (პოეტ კოტე მაყაშვილის მოგონება).

ქალბატონ ნათელა ივანეს ასეულ ჯავახიშვილის სიტყვებით, მისი ბებია სოფიო იყო: "ჭკვიანი, გონიერი, დიდი ნებისყოფის ადამიანი. თავისი შვილების მესაჭე და ამავე დროს – მეგობარი. ერთი თვის განმავლობაში, თითქმის უგრძნობელ მდგომარეობაში იმყოფებოდა და საშინელი ტკივილები ტანჯავდა, მაგრამ საკმარისი იყო, მამა კარში გამოჩენილიყო,

თუმცა თვალდახუჭული იყო, მყისვე ღიმილი გადაურბენდა და სახეზე ტანჯვის ნატამალი არ ჩანდა" (იხ.: "ნეკერი", № 2-4, თბ., 1990, გვ. 21).

ივანე ჯავახიშვილის არქივში დაცულია დედა-შვილის სათნოებით საესე მიმოწერა. დედის წერილებში ეკითხულობთ: "თვალები დამაწყდა ლოდინში შენი წერილისა", "დაგკოცნი უანგარიშოდ" და სხვ.

1928 წელს სოფიო ეახვახიშვილი-ჯავახიშვილისა გარდაიცვალა. პროფესორების მიხეილ და ლევან რჩეულიშვილებისაგან ხშირად გამიგონია, რომ სოფიო დიდი სიფაქიზით იგონებდა თელავის წმ. ნინოს სასწავლებლის მასწავლებლებს და ამაყობდა, რომ ის სასწავლებელი ორი წლის განმავლობაში ნადიკვარზე, მათ სახლში იყო მდებარეობდა.

ელენე ახვლედიანი

თელავში 1990 წლის ივნისში სათავე დაედო "ელენეობას". საეკლესიო დღესასწაულს "ელენეობას" საერო ხასიათი მიეცა და იგი დიდი ქართველი მხატვრის ელენე ახვლედიანის სახელს დაუკავშირდა.

ექიმ დიმიტრი თომას ძე ახვლედიანის ოჯახი თელავში მოღვაწეობდა. აქ იკრიბებოდნენ ჩვენი ხელოვნებისა და ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლები: აკაკი, ვაჟა, ვასილ ბარნოვი, ნიკო სულხანიშვილი, ლადო მესხიშვილი, ნიკო შიუკაშვილი და სხვები. ისინი საუბრობდნენ ერის საჭირბოროტო საკითხებზე, ლიტერატურაზე, თეატრზე, მუსიკაზე. ამ თაყვანისცემულ ლიტერატურულ-თეატრალური შეკრება-საღამოების მასპინძლები იყვნენ დიმიტრი ახვლედიანი და მისი მეუღლე ერისთავის ასული ლიზა.

დ. ახვლედიანმა სამედიცინო განათლება დაიწყო ოდესაში, შემდეგ გააგრძელა ხარკოვში და 1892 წელს პეტერბურგის სამხედრო-საექიმო აკადემიაში დაამთავრა. 1897 წელს დიმიტრი ჩამოვიდა თელავში და მისი ინიციატივით აქ გაიხსნა ამბულატორია, რომელშიც 10 წლის განმავლობაში 60.000-მა ავადმყოფმა იმკურნალა. მაშინ კახეთში მძვინვარებდა მალარია, ტუბერკულიოზი, ეგზემა. ნიჭიერმა ექიმმა დიდი მუშაობა გასწია, რომ ამ მტანჯველ სნეულებებს პრაქტიკულად და თეორიულად წინ აღსდგომოდა. მან პირველად გამოიყენა ეგზემის მკურნალობაში ნაფტალინი და შედეგები გამოაქვეყნა სამხედრო-სამედიცინო ჟურნალში (1899, № 7).

ახვლედიანების ოჯახმა თელავში 1898 წელს აპრილში გოგონას დაბადებით გაიხარა. ასულს სახელად ელენე დაარქვეს. იგი იზრდებოდა ეახვახიშვილებისა და ყორჩიბაშ-რუსიშვილების ციხე-კოშკებით დამშვენებულ უბნებში. ბოლოს ამ ოჯახმა ბინა დაიდო სიდამონ-ერისთავების უბანში (ამჟამად ელენე ახვლედიანის ქუჩის № 19-ში მდებარე სახლს მემორიალური დაფა ამშვენებს).

ე. ახელედიანის სახლ-მუზეუმში დაცულია ძვირფასი საარქივო მასალები, ძველი თელავის ჩანახატები. ისინი ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ მა'შინდელი ქალაქ თელავის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაზე.

პატარა ელენე თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში შეიყვანეს. აქ მას ასწავლიდნენ ვასილ ბარნოვი, ნიკო სულხანიშვილი, მიხეილ ელიზბარაშვილი, ნინო ალექსანდრეს ასული ჩოლოყაშვილი, თამარ ნიკოლოზის ასული მაჩაბელი და სხვები.

ელენე ბავშვობიდანვე შეეჩვია ოცნებას, ხატვას. მისი თანაკლასელი თიკო ელიოსიძე იგონებდა, რომ ამ ცელქ, მაგრამ კეთილშობილებით სავსე გოგონას ვასილ ბარნოვმა ზედმეტ სახელად — "ალი" შეარქვა.

თვითონ ქალბატონი ელენე იგონებდა: "ხატვა ბავშვობიდანვე მიყვარდა. მამაჩემმა, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ე. ბარნოვთან, ერთხელ თურმე შესჩივლა ჩემი გატაცების ამბავი და ნათლიაჩემ მიხეილ ელიზბარაშვილთან ერთად გადასინჯეს ჩემი ბავშვური ნაცოდვილარები. მათ ასეთი დასკვნა გამოუტანიათ — მიეცით გზა ელენეს, ხატოს, ეგების მისი სახით საქართველოს მოელინოს პროფესიონალი ქალი მხატვარიო. მეორე დღეს, როდესაც კლასში შემოვიდა ე. ბარნოვი, ფეხზე ამაყენა და მითხრა: "ქართველი ქალი ბუნებით მხატვარია. აბა, დააკვირდით ჩვენი წინაპრების ნაქსოვ-ნაქარგებს, მათი შემქმნელნი დიდებული მხატვრები იყვნენ, მაგრამ ისე გაქრნენ, რომ ვინაობა მხოლოდ ნაქსოვზე ამოქარგულითღა ვიცით, ზოგი სალომე იყო, ზოგი თებრო, მაკო, ლელა, მზია და სხვები. შენ კი ელენე, ხშირად ხატე, თელავი და ალაზნის ველი თავის მხატვარს ელოდებაო".

ელენეს თელავი უყვარდა, როგორც მშობლიური ქალაქი და როგორც ფუნჯის შთაგონება. ამ კოლორიტული ქალაქის ყოფის არაერთი დეტალი აისახა მხატვრის დიდებულ ტილოებზე. მათ შორისა არის მაგალითად — "თელავის ძველი სახლის აივანი" (1921), "კახელი გლეხი" (1912), "თელავი" (1927), "თელავი, ზამთარი" და სხვ. ერთ-ერთი მათგანი გამოსახულია წინამდებარე წიგნის გარეკანზე.

მხატვრის ნიჭის თაყვანისმცემელი შალვა ალხაზიშვილი წერდა: "მახსოვს, ჯერ კიდევ 1919 წლის მაისში, როდესაც ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა გაიხსნა, ჩემი ყურადღება მიიქცია ელენე ახელედიანი ორმა პეიზაჟმა (სულ მას ჰქონდა 18 სურათამდე ექსპონირებული) — "თელავი" და "თელავში"... მაშინ ელენე 21 წლისა იქნებოდა და, წარმოიდგინეთ, რა მტკიცე და ურყევი მხატვრული სიმპატიები უნდა ჰქონოდა, რომ მთელს მის სიცოცხლეს გამოჰყვა "თელავის" თემა" (იხ.: ჟურნალი "მნათობი", 1976, № 2).

ელენე ახელედიანი თელავს ხშირად სტუმრობდა. იგი ჩამოდიოდა ხან სახელმწიფო თეატრის დადგმების გასაფორმებლად, ხან კი შემოქმედებითი მიელინებით თავისი მეგობრებისა და ნაცნობების სანახავად.

არასდროს დაგვაეიწყდება მხატვრის ერთ-ერთი სტუმრობა თელავში. ეს იყო 1969 წლის ივნისში. მაშინ თელავის თეატრის დადგმებს სპეციალური კომისია სწავლობდა. კომისიაში შედიოდნენ: ელენე ახელედიანი, ნათელა ურუშაძე, გურამ ბათიაშვილი, დაით კეჭერაძე და ამ სტრიქონების ერთ-ერთი ავტორი.

თელავის თეატრის დადგმებიდან ჩვენ მაშინ ვნახეთ ბ. ნუსიჩის "ფილოსოფიის დოქტორი". რ. მამულაშვილის "თორტიწელი ქალიშვილი" და სხვები. ბოლოს მათი განხილვაც მოვწყო. ნ. ურუშაძის ამომწურავი საუბრის შემდეგ, ის საღამო ელენე ახვლედიანის სიტყვამ დაამშვენა.

ქალბატონი ელენე მაშინ შეახსენებდა თელაველებს – მომაყალ სეზონში თეატრის ერთერთ დადგმას გასამრჯელოს გარეშე მე გაეფორმებო... მართალია, ეს დანაპირები იმხანად ვერ განხორციელდა, მაგრამ უფრო ადრე, მისი მხატვრობით იქნა წარმოდგენილი თელავის თეატრის 1948-1949 წლის სეზონში ვიქტორ ჰიუგოს "პადუის დესპოტი".

ელენე ახვლედიანი თითქმის ერთ თვეზე მეტხანს მუშაობდა რეჟისორებთან თ. მაღალაშვილთან და ნ. ხატისკაცთან ერთად. როგორც გადმოგვცემენ, თიზბეს მონოლოგი ელენემ მოამზადებინა საქართველო სახალხო არტისტს თინათინ ბურბუთაშვილს. ეს ორი ხელოვანი სწორედ მაშინ დამეგობრდა.

1975 წელს ელენე ახვლედიანმა ერთდროულ გაზეთში "ქართული თეატრის დღე" გამოაქვეყნა ასეთი შინაარსის წერილი: "თინა ბურბუთაშვილი ბუნებისაგან უხვად დაჯილდოებული ადამიანია, რომელსაც ძალუძს სრულად ამოხსნას გმირის სახე, მისი არტისტული ბუნება აღსავსეა უშუალობით და მომხიბლელობით... ის უდიდესი განძის მფლობელია – ეს განძია სისადაეის ხელოვნება... უაღრესად პლასტიკური და ქალური, ის ატყვევებს მაყურებელს და შემოქმედებითი აღზევების სიხარულით საავსებ ტოვებს"...

"პადუის დესპოტისათვის", როგორც რეჟისორი ნანა ხატისკაცი წერს: "საჭირო იყო მხატვარი, ოსტატი, რომელიც შექმნიდა ზუსტ გარემოს, კონკრეტულსა და განზოგადებულს, ამაღლებულსა და ამავე დროს რეალურს, ფერწერულსა და სადას".

სწორედ ასეთი იყო ელენე ახვლედიანი, რომლის დახატულმა კოსტიუმების ესკიზებმა ჩვენამდე მოაღწია. 24 ჩანახატში გათვალისწინებულია ეპოქა (XVI საუკუნე), ხასიათი და მათი ჩაცმულობის ყველა დეტალი, მაგალითად ესკიზებზე მხატვრის მიერ წარწერილია, თუ რა მასალისგან უნდა ყოფილიყო "ინგლისური ფარჩა", "ინგლისური კრეპი", "დიადემა", "თეთრი მაქმანი", "ხავერდი", "ბეწვი", "ძვირფასი ქვები" და სხვა.

"განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ელენე ახვლედიანის მხატვრობა – წერდა მაშინ თელავის რაიონულ გაზეთში ცნობილი თეატრალი დავით კვეერაძე, – ნიჭიერი ოსტატის ჯადოსნური ფუნჯი არა მარტო ხელს უწყობს მსახიობს, უქმნის მოქმედების ასპარეზს, არამედ უბიძგებს შემოქმედებითი წვეისა და უნარის ბოლომდე გასაშლელად. სპექტაკლი მაღალგემოვნებიანმა შემოქმედმა ე. ჰიუგოს ეპოქისათვის დამახასიათებელ ჩარჩოში ჩასვა და ამ მხრივ სპექტაკლის წარმატება უზრუნველყო".

ხშირად გვახსენდება ქალბატონი ელენეს დიალოგი თელაველ მეგობრებთან ელენე და დარია აბელიშვილებთან. სწორედ მაშინ აჩვენეს სახელოვან მხატვარს თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში სწავლისას, მის მიერ დარია აბელიშვილის უბის წიგნაკში ჩახატული "ზამთარი", რომელიც ელენე ახვლედიანის ერთ-ერთ პირველ ნამუშევრად უნდა ჩაითვალოს. მას ბავშვობისდროინდელი, სახუმარო წარწერა ჰქონდა, რაზედაც გულიანად იცი-

ნეს. შემდეგ ქალბატონმა ელენემ ფანქარი გადაუსვა წარწერას და ნახატის კიდეზე მიაწერა "ა. ე." ეს ნახატი ჩვენ გამოვაქვეყნეთ (იხ.: გაზეთი "სახალხო განათლება", 1990, № 3).

ისიც გვახსოვს, რომ ელენე ახელედიანმა მხატვარ ქეთევან მაღალაშვილის გასვენების დღეს დაიჩივლა: "ჩემს ბინაზე ბავშვების ნახატების გამოფენა მაქვს და თელაველი პატარების ნამუშევრები კანტი-კუნტად მხედება. სადა ხართ თელაველებო, გამომიგზავნეთ ნახატები, გამაცანით მომავალი მხატვრებიო".

ე. ახელედიანის არქივში დაცულია მშობლიურ ქალაქში 1929 წელს მოწყობილი მისი პერსონალური გამოფენის ამსახველი მასალები. თელაველ მეგობრებთან გადაღებულ ფოტოებს შორის არის მასწავლებელ ნინო ყაზახაშვილთან გადაღებული ფოტოებიც. არქივში დაცულია ერთი წერილი, რომელზედაც ლიზა ვახვახიშვილის ხელმოწერა გეხედება. მასში ვკითხულობთ, რომ "კულტურის მინისტრის მიმართ ჩემს განცხადებაზე თელავში ვახვახიშვილების ციხე-გალავნის აღდგენითი სამუშაოების ჩატარებისათვის, გამოყვეს 15.000 მანეთი, რაც თქვენი უშუალო მონაწილეობით მოხდა, რაზედაც მადლობას მოგახსენებთო".

ელენეს ყოველთვის ახსოვდა თელავი და თელაველები, ფიქრობდა და ოცნებობდა მათზე. მის პალიტრაზე ყოველთვის იყო შეუმხმარი ფერები მათ დასახატად.

მართებულად წერდა ნანა ხატისკაცი: "მარად ცოცხალი ელენე ახელედიანის ძვირფასი სული ცხოვრობს თელავის ქუჩებში და "ახალი თეატრის სცენაზეო" (იხ.: გაზეთი "ქართული თეატრის დღე", 1983).

სარა და ლელა ბარნაველები

სახელოვანი მწერალი ეასილ ბარნოვი (ბარნაველი) თელავში 25 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა. იგი ასწავლიდა სასულიერო და წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლებში.

საავსებით მართებულად ბრძანებდა გიორგი ლეონიძე, რომ ეასილ ბარნოვისათვის თელავი "ბედნიერებისა და სიყვარულის ქალაქი იყო".

თელავში დაიბადნენ მისი შვილები: სარა, ლელა, თეიმურაზ და ანდრია ბარნაველები. მათთან ნაცნობობა ბედმა გვარგუნა. განსაკუთრებით აღფრთოვანებულნი ვიყავით სარა და თეიმურაზ ბარნაველების მეცნიერული ნაღვაწით.

სარამ და ლელამ თელავის წმ. ნინოს სასწავლებელი დაამთავრეს. მათთან ჩვენი შეხვედრა თელაველი ქალბატონის დარია აბელიშვილისა და დიდი იეანე ჯაეახიშვილის ასულის – ნათელა ჯაეახიშვილის წყალობით მოხდა.

სარა ბარნაველის (1902-1984) მეცნიერული მოღვაწეობიდან ცნობილია მონოგრაფია "ქართული დროშები" (1953), რისთვისაც მას ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ხარისხი მიენიჭა. ამაეე დარგში მან დოქტორის ხარისხი მოიპოეა ნაშრომისათვის: "საბეჭდაეები და ბეჭდები XVII საუკუნიდან XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე".

ს. ბარნაველის სახელთან არის დაკავშირებული ბევრი ისტორიული წყაროს შესწავლა-გამოცემა. მაგალითად, მან შეისწავლა მზითვის წიგნები, ატენის ტაძრის წარწერათა ჯგუფები, სამთავისის ტაძრის "მეორედ აღმაშენებლის" ვინაობა, ჯრუჭის მეორე კოდექსის ორი წარწერა, ნინოწმინდელი ეპისკოპოსის საბა ტუსიშვილის "ანდძერისებრნი ღუწანი".

მისი სამეცნიერო მოღვაწეობა დაკავშირებული იყო ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტთან. იგი აქ 10 წელი ხელმძღვანელობდა მცირე და დეკორატული ხელოვნების განყოფილებას. ერთხანს ინსტიტუტის სწავლული მდივანიც იყო.

1962 წელს, ხელოვნების ინსტიტუტში სარა ბარნაველს გადაეცი თელავის წმ. ნინოს სასწავლებლის მოსწავლეთა ვასილ ბარნოვთან ერთად გადაღებული ერთი ჯგუფის ფოტო. ერთობ გაიხარა და მითხრა – მადლობა გადაეცი დარია აბელიშვილს, რომ დიდი ხნის შემდეგ შემახედრა მამას, ჩემს დას ლელას, თელაველებსა და ბავშვობასაცო...

ს. ბარნაველს გაუხარდა, რომ ეიცნობდი მის წიგნს "ქართული დროშები" და მისი ძმის – თეიმურაზ ბარნაველის ნაშრომებს: "საქართველოს კულტურის ძეგლები, აყვანილი სახელმწიფო დაცვაზე" და "კახეთის ისტორიული წარწერები".

როგორც ზემოთ მოტანილი ცნობებიდან ჩანს, ჩვენი სახელოვანი მწერლის ვასილ ბარნოვის შთამომავლები თავიანთი ღვაწლით იმსახურებენ ისეთ ყურადღებას, რომ მათზე შეიქმნას ცალკე წიგნი სახელწოდებით: "ბარნაველების საგა".

სალომე და ნინო ავალიშვილები

ავალიშვილთა ერთი შტო სოფელ კონდოლში ცხოვრობდა. მათ საგვარეულო ეკლესიაში, რომელიც ხატიმუხის სახელით არის ცნობილი, დაცული იყო ხელნაწერი სახარება და ოქროთი შემკული ღვთისმშობლის ხატი. ხელნაწერი "ევფხისტყაოსანი" კი მზითვში მოიტანა სოფელ ვაჩნაძიანელმა ევგენია ჯანდიერმა, ავალიშვილების პატარძალმა.

დიმიტრი (ავალო) ავალიშვილის ოჯახიდან სამი და – მარიამი, სალომე და ნინო სწავლობდა თელავის წმინდა ნინოს სასწავლებელში. უფროსი დები – მარიამი და სალომე აქ XX საუკუნის დასაწყისში სწავლობდნენ, მესამე და ნინო კი – ათიან წლებში.

სალომე ავალიშვილის, როგორც ექიმი-პარაზიტოლოგის სახელი კარგად არის ცნობილი. მას დიდი შრომა მიუძღვის აჭარაში პარაზიტული დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ შესანიშნავი მეცნიერისა და მოქალაქის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ ი. თოფურიამ და ჯ. ქორჩილაძამ გამოსცეს წიგნი "სალომე ავალიშვილი" (თბ., 1976 წ.).

1922 წელს, როდესაც გალაკტიონ ტაბიძემ კახეთში იმოგზაურა, სალომე ავალიშვილის სილამაზემ მას შთააგონა ლექსი "წინანდალელი ნათელა". კერძოდ, როდესაც გალაკტიონმა დაათვალიერა კახეთის მშენება – წინანდალი, ალექსანდრე ჭავჭავაძის საუფლოში მას შემოეფეთა ავალიშვილის ასული, რომელსაც პოეტმა ასეთი სტრიქონები მიუძღვნა:

"წინანდალელი ნათელა
ულამაზესი ქალია,
ო, ჩემო ციცინათელა,
ჩემო ციხე და გალია.
მთელი საღამო შეეჯერდი,
რა არის ქალის სინაზე,
მაგრამ უცრად შეეჩერდი
მშენიერ თინათინაზე.
ბრწყინაედა საარაკო ცა,
მთვარე დაბრუნდა ბინაზე,
როს შუქმა ღრუბელს აკოცა,
ყველა ქალების ჯვინაზე".

"წინანდალელი ნათელას" ლექსის ერთ-ერთ ვარიანტში იმ ადგილას, სადაც სწერია "მშენიერ თინათინაზე" პოეტს დაუწერია "ავალიშვილზე თინაზე" და შემდეგ პირვანდელი სტრიქონი გადაუხაზავს, შეუცვლია სიტყვებით "მშენიერ თინათინაზე" (იხ.: გ. ტაბიძე, თხზულებათა II ტომი, თბ., 1966, გვ. 352).

მართებულად წერდა პროფ. დიმიტრი ბენაშვილი, რომ "გალაკტიონის ქალები რეალურნი არიან თავიანთი ცოცხალი ბუნებით". მაშასადამე, გალაკტიონის "წინანდალელი ნათელა" — ს. ავალიშვილი რუსთაველის თინათინის მსგავსად, პოეტის შთაგონება გახდა.

სალომე ავალიშვილის უმცროს დას, ნინო ავალიშვილს კარგად ეიცნობდით. მან ჩვენი თხოვნით დაწერა მოგონებები, რომლის ერთი ნაწილი, ჩვენი შესავალით გამოვაქვეყნეთ თელავის რაიონულ გაზეთში (იხ.: გაზეთი "ალაზნის განთიადი", 1990, №№ 61, 103, 105, 146, 147, 148, 149, 151). ამავე გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა მისი მოგონებები ილია ჭავჭავაძეზე, ოლღა გურამიშვილსა და კოტე მარჯანიშვილზე. მოგონებების ის ნაწილი, სადაც მოთხრობილია საქართველოს ეროვნული გმირის, ლეგენდარული ქაქუცა ჩოლოყაშვილის შესახებ, გამოქვეყნდა გაზეთში "სამშობლო" (1991, № 15).

თავისი მოწაფეობის პერიოდს ნინო ავალიშვილი ასე აღწერდა: "1914-1915 სასწაელო წელს მშობლებმა მიმაბარეს თელავის წმ. ნინოს სახელობის პანსიონში. უნდა გითხრათ, რომ იქ, იმ დახურულ კედლებში მე ბევრი კარგი და ცხოვრებისათვის საჭირო თვისებები შეეიძინე, ე. ი. იქ ჩვენ გვასწაელიდნენ ეთიკასა და ესთეტიკას. თუ როგორ უნდა მიეესალმოთ უფროსებს, ჯდომას, წოლას, ჭამას, ლამაზად სიარულს და სხვ. სწავლის დონე ხომ მაღალი იყო. ბევრი რამ მომცა აქ სამი წლის განმავლობაში ყოფნამ. ჩემთან ერთად იქ იმყოფებოდნენ ჩემი ტოლები: პატკია გიჟიმყრელი, ლელიკო ჯანდიერი, ქენია ჭავჭავაძე. უფრო მახსოეს უფროსი თაობა: მაყაშვილი ნინო (ტიციანის მეუღლე), მაყაშვილი მარუსია, რჩეულიშვილი ელენე, ხახე ანდრონიკაშვილი (მხატვარ ყუბანეიშვილის დედა), თამარა ჭავჭავაძე (თეატრის ცნობილი მსახიობი), თამარი და ნინო ეაჩნაძეები და სხვანი.

ამ პანსიონის "ნაჩალნიცა" იყო ეროვნებით გერმანელი – გუარად ფონ კრიტი, რომელიც ძალიან სასტიკი, მომთხოვნი ქალბატონი იყო.

მასწავლებლებიდან დამამახსოვრდნენ რუსული ენის მასწავლებელი ნატალია ჩოლოყაშვილი, ეკატერინე კასრაძე, თამარა მარტაშვილი და ჩვენი საღმრთო რჯულის მასწავლებელი, მღვდელი მიხეილ ელიზბარაშვილი. ხსენებული მასწავლებლები იმიტომ უფრო დამამახსოვრდნენ რომ, იმ სასტიკ რეჟიმში, როგორშიც ვყავდით ფონ კრიტს, ისინი გვიადვილებდნენ ცხოვრებას თავიანთი კეთილშობილი ხასიათებით. თვითონ ფონ კრიტი კი ძალიან კაცთმოძულე ადამიანად დამამახსოვრდა. საშინლად სძულდა ქართული ენა და მგონი ქართველებიც. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს. ჩვენ "პანსიონერკებს", როგორც გვეძახდნენ, არა გვქონდა უფლება ქართულად ლაპარაკისა.

ჩემი და – სალომე ავალიშვილი "ნაჩალნიცას" ყოველდღე დასჯილი ჰყავდა. კუთხეში დგომას არ აკმარებდნენ და ხშირად მოწაფეების წინდებს აკემსინებდნენ. ასევე სჯიდნენ იზა ტყავაძეს, თამარა კიკნაძეს და სხვა ქართველ მოწაფეებს. მეც გადამხდა სასჯელი მისელის პირველ დღესვე. საშინლად დარდიანი ვიყავი, როდესაც მშობლების კერას მომწყვიტეს და ამ უშველებელ კედლებს შუა დამტოვეს, ატირებული კუნჭულში ვიდექი და ეზოში ვიყურებოდი იქნებ ვინმემ მომაკითხოს მეთქი. ამ დროს დავინახე ჭიშკარში შემოვიდნენ პატარა გოგონა და მისი დედა. ახლო რომ მოვიდნენ, ვიცანი ჩვენი შორეული ნათესავი გოგონა ლელიკო ჯანდიერი. გახარებული გავიქეცი მათკენ, კარებში შევეგებე და ქართულად ვუთხარი: "ვაი, როგორ მიხარია, რომ შენც აქ იქნები მეთქი".

ჩემი სიხარული ხანმოკლე გამოდგა. იქვე აღმოჩნდა ჩვენი "коридорая дома", ასე ეძახდნენ (და ჩემს მეხსიერებაშიც ასეთი სახელით შემორჩა) მოჰკიდა ლელიკოს ხელი განზე გასწია, მე კი კუთხეში დამაყენა, სახით კედლისაკენ. 7 წლის ბალღი ვიყავი, მიჩვეული არ ვიყავი კუთხეში დგომას და ძალიან დიდი ხმით ავტირდი. მაშინ მან მე უფრო დამსაჯა, მუხლებზე დამაყენა და თან მითხრა: "Эсли не перестинет плакать, я тебя к началнице отэду".

ასე დამრჩა სიძულვილი და შიში ამ ქალისადმი. ის კი დაგეშილი ძაღლიეით სულ უკან დაგვდევდა, რომ ქართულად არ გველაპარაკნა. ჩვენ, პატარებს კი მაინც წამოგვცდებოდა ხოლმე ქართული და ისევ შთაგონება რომ, არ გაქეთ თქვენ უფლება ქართულად, ესე იგი, "ძაღლის ენაზე". ლაპარაკით, უნდა ილაპარაკოთ რუსულად.

ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩვენმა მამებმა დაწერეს განცხადება პეტროგრადში განათლების სამინისტროს სახელზე, რომ მათ იმპერატორ ნიკოლოზ მეორისათვის მოეხსენებინათ ფონ კრიტის თავაშვებულობა. და მართლაც, იქნებ იმიტომ, რომ რუსეთში უკვე რევოლუციის წინა პერიოდი იყო, მოვიდა პასუხი, რომ თუ ფონ კრიტი არ შეწყვეტდა ასეთ მოქმედებას, მაშინ მას სამსახურიდან გაათავისუფლებდნენ. მართლაც, ის დამამცირებელი სიტყვები, როგორც ჩემს, ისე სხვათა მიმართ, აღარ განმეორებულა".

ნინო ავალიშვილი XX საუკუნის პირველი მესამედის თელავის უტყუარი მემატიანე იყო. სასურველია, რომ მისი საყურადღებო მოგონებები ცალკე წიგნადაც გამოიცეს.

კახეთის ძირძველი და სახელგანთქმული თავადური საგვარეულოს – მაყაშვილთა წარმომადგენლები ძირითადად ერთმანეთის მეზობლად მდებარე სოფლებში იყალთოსა და რუისპირში ცხოვრობდნენ. იქ მათ ჰქონდათ ციხე-კოშკები, ეკლესიები და საგვარეულო სამკვიდრო. მაყაშვილთა თითო-ორორლა კომლი კახეთის სხვა ადგილებშიც სახლობდა.

ნინო მაყაშვილი – იყალთოდან იყო. მაყაშვილების ეს ოჯახი ილია ჭავჭავაძის საუფლოში – ყვარელში გადასახლდა. ისინი დიდი ილიას ნათესავები იყვნენ და "ეს ახლო ნათესაობა ეამაყებოდათ. პოეტი რეეზა მარგიანი წერდა, რომ "კახური სიდარბაისლე და ბედთან შეურიგებლობა მტკიცედ ჰქონდა ქ-ნ ნინოს გამჯდარი სულსა და სისხლში".

ნ. მაყაშვილი გეაუწყებდა, რომ ის სასწავლებლად თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში მიაბარეს. იგი მშობლებმა პანსიონში დააბინავეს, თუმცა თელავში ბევრი ნათესავი და მეგობარი ჰყავდათ. მათგან გამოირჩეოდა ეახვახიშვილებისა და ღვინიაშვილების ოჯახები. ვახვახიშვილები ნათესავები იყვნენ, ხოლო ღვინიაშვილის ქალები – მეგობრები.

თაეის მემუარებში ნ. მაყაშვილი წერდა: "რა დამაეიწყებს თელაეის სილამაზეს: ბაღებში ჩაფლულ უმშვენიერეს ალაზნის ველს, უსიერი ტყით დაფარულ ნაპირებს" (იხ.: ნ. ტაბიძე, ტიციანი და მისი მეგობრები, თბ., 1985, გვ. 10).

მისი თაობის თელაველები პოეზიითა და თეატრით სუნთქავდნენ. მათ კარგად ახსოვდათ 1919 წელი, როცა ალაეერდობაზე თელავში ჩამოვიდნენ: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, დაეით კლდიაშვილი, დუტუ მეგრელი და სხვები. ის პოეზიის საღამო თელავში დაუეიწყარი გამოდგა.

ნინო მაყაშვილი მოგეითხრობდა: "ალაეერდობის შემდეგ, თელავში პოეზიის საღამო გავმართეთ. ამ საღამოს ორგანიზატორი გახლდათ ახალგაზრდა თელაველი პოეტი დათუნა აბაშიძე" (იხ.: ნ. ტაბიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 24). სწორედ ამ უკანასკნელის სახელთან არის დაკავშირებული თელავში პირველი გაზეთის "ახალგაზრდა ქართველის" გამოცემა. მაშინ დათუნას "თელაველი ცისფერყანწელი" შეარქეეს...

წმ. ნინოს სასწაველებელში გატაცებული იყვნენ ცისფერყანწელთა თაობის პოეზიით.

ქ-ნი ნინო იგონებდა: "გამოეიდა ჟურნალი "ცისფერი ყანწები". არ ვიცი, გული აგრეროდა რამ ამიტოკა. გადავწყვიტე, ჟურნალი მეშოენა. ძალიან გამიჭირდა, რადგან პანსიონიდან გარეთ არ გვიშვებდნენ და ხალხს იშვიათად ეხედებოდი" (იხ.: ნ. ტაბიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 10). და აი, მოხდა საოცრება, ნინოს კბილი ასტკივდა და წაიყვანეს ექიმთან, სადაც თვალი მოჰკრა ამ ჟურნალს. "სიხარულისაგან შეეკივლე და ზეზე ისე წამოეხტი, კინაღამ ექიმმა კბილი მომტეხა. ექიმი ძალიან გამიჯავრდა, მაგრამ ჩემმა მუდარამ გასჭრა და ჟურნალი ხელში ჩაეიგდე, ეიღას ახსოვდა კბილის ტკივილი" – იგონებდა ნ. მაყაშვილი (იხ.: ნ. ტაბიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 10).

ეინ იფიქრებდა მაშინ, რომ ცისფერყანწელების ერთ-ერთი მშეენება – ტიციან ტაბიძე გაუმიჯნურდებოდა ნინო მაყაშვილს, რომელიც ამ თაობის მეხეაშიადე გახდებოდა.

ნ. მაყაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობიდან ცნობილია, რომ მან თარგმნა ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის და სხვათა ლექსების პ'კარედები რუსულ ენა'ზე.

ნინოს მეუღლისაგან მემკვიდრეობით ერგო მეგობრობა სახელოვან რუს და სომეხ მწერლებთან: სერგეი ესენინთან, ანდრეი ბელისთან, ალექსი ტოლსტოისთან, ეიქტორ გოლცევთან, კონსტანტინე ფედინთან, ალექსეი ფადაევთან, პაველ ანტოკოლსკისთან, ნიკოლოზ ტიხონოვთან, ბორის პასტერნაკთან, ელი'შე ჩერენცთან, ოვანეს თუმანიანთან და სხვებთან. სწორედ მათთან ურთიერთობის ამსახველი მოგონებები დაწერა და გამოაქვეყნა ნინომ XX საუკუნის 50-60-იან წლებში ჟურნალ-გა'სეთებში. შემდეგ კი ეს მასალა ერთ წიგნად შეიკონა და გამოიცა ქართულად, რუსულად. მისი წიგნი სახელწოდებით: "ტიციანი და მისი მეგობრები" მიჩნეულია ქართული მემუარული ლიტერატურის მ'შენებად.

1965 წლის 17 აპრილს, ნინო მაყა'შვილი-ტაბიძისა სამოცდახუთი წლის ასაკ'ში გარდაიცვალა. იგი დაკრძალეს დიდუბის მწერალთა და მოღვაწეთა პანთეონ'ში.

საყვარელი დადნაფიცის საფლავთან გიორგი ლეონიძემ წარმოთქვა ასეთი მჭევრმეტყველური სიტყვა: "შენ მართლაც ისტორიული ქალი ხარ. ჩვენი ასეთი მწერლობის ამაგდარი, ახალი სიტყვის მქადაგებელ პოეტებთან ერთად თანამებრძოლი და თანამოსაგრე, ჩვენი ზვარაკის ტიციანისა და მისი ცხოერების ერთგული თანამგზაერი. შენი სუსტი მხრებით რამდენი სიმძიმე ასწიე, რამდენი სიმწარე ნახე, როცა უბედო ბედმა გარგუნა ძაძა, ცრემლი და ნაცარი. ქართველი ქალის კეთილშობილება ბოლომდე მოიტანე. მართლაც რომ რკინის ქალამანი ჩაიცვი, სად არ იარე და ჩვენი დიდი პოეტის ტიციანის მემკვიდრეობა დააბინაე და მოკა'სმე, როგორაც მას ეკადრებოდა. ამ ამაგს ჩვენი ქართული მწერლობა არასდროს არ დაიეიწყებს.

...მახსოვს, სიცოცხლით სავსეს, გულ'ში ალმოკიდებულს როგორ შეგძახოდა ჩვენი საყვარელი ტიციანი:

"გამომიქროლე, როგორ ალალი,
და გადამაგდე მართალი გ'სიდან.
ქალო, ქალი ხარ თუ ქარიშხალი,
გულმა აქამდე ან როგორ გ'სიდა".

შენ ტიციან ტაბიძის უღლის გამწევი იყავი, იმ პოეტისა, რომელმაც ახალი სიბასრე შემოიტანა ქართულ პოეზია'ში და ურომლისოდაც წარმოუდგენელია ჩვენი ახალი პოეზია.

...არ ვიცი, სად წევს ტიციანი, თუმცა მისი საბოლოო მამული უნდა დიდუბის მიწა ყოფილიყო და ამიტომაც შენ წევი ამ მიწაში ტიციანის მაგივრადაც და იმ უდროოდ გათხრილ ერთ საფლაეში ამიერიდან ჩვენთვის ორი სამარე იქნება – ნინოსი და ტიციანის" (იხ.: ტიციან ტაბიძე, შემდგენელი დავით ბუზუკა'შვილი, თბ., 1985, გვ. 107-108).

პოეტის სიტყვამ განსაკუთრებულ ზენიტს მაშინ მიაღწია, როდესაც ბრძანა:

– "შენ ახლა ყინულის კაბა ჩაგაცვა სიკვდილმა, ფიფქი დაგიდო სარ'ულად".

მგლოვიარეებს გმინვა აღმოხდათ...



ვახტანგ ბარნოვი

ილია ჭავჭავაძე

ნიკო მთვარელიშვილი (სტუდენტობისას)

დეკანოზი მიხეილ ხელაშვილი

იოანე როხეთმაწმედლი ოჯახთან ერთად

ნიკო ხელხანიშვილი

ვალერიან სიდამონ-ერისთავი

დავით გამსრდლიძე („ალვისელი“)

ზაქარია ჩხეიძე

თამარ შიუკაშვილი

მარცხნიდან: ტასო აბაშიძე,
მაკო საფაროვა-აბაშიძისა და ოლია ჩერაბაშვილი

თამარ გაეგზავაძე სასკოლო სპექტაკლის „ქონდრისკაცების“
მონაწილეთა შორის (თელავი, 1905 წ.)



მელანია ქარალაშვილი

სალომე ავალიშვილი

თამარ ეახვახიშვილი-აბაშიძისა, მარიამ ვახვახიშვილი-წერეთლისა (მიხეილ წერეთლის მეუღლე), ელენე ეახვახიშვილი-რუსიშვილისა

თიკო ლეონიაშვილი

ეკატერინე შიუკაშვილი

ნინო გამყრელიძე-მაჭავარიანისა

ვაჟა-ფშაველას ყაყის – ლევან (ლენკო) რაზიკაშვილის ჩანაწერი
(დარია აბელიშვილის უბის წიგნაკიდან)

კიკნა-ფშაველას ჩანაწერი (თიკო კახიშვილის უბის წიგნაკიდან)

Ⴁლაგის მაგნის მნრკვლებლთა

კომიხმა გაგმრჩყვრა ხლო მაძაგლში

მაკრყან საბედგაგრა კაჩნები ქართალ

ნებე. ხაგან კომიხს ა ძალაძს

აწახჩიხან გრა დაკგრაცალს ხნებნალ

კომიხან გაგნებლება, ხრიგრ ნახნხან

მნაკვებლად გაგმრჩყვრა გმართან სალმა

გ აგვიკრ. გაკრჩყნთ ხ მმ გთხვთ

გლნთ აჩხთგ საღმგნგ გნრჩნებთ

შეხვრხალება მიიღება ან ქაქაჟაძეზე

ТЕЛАВСКОЕ ПРАВЛЕНІЕ

ЖЕНСКАГО БЛАГОТВОРИТЕЛЬНАГО ОБЩЕСТВА

СВ. НИНЫ

что воспитывавшаяся въ Телавскомъ женскомъ учебномъ заведеніи Св. Нины, имѣющемъ прогимназическій курсъ, при [illegible] преподаваніи оказала успѣхи: въ

[illegible]

Въ удостовѣреніе чего данъ дѣвицѣ [illegible] сей аттестатъ этотъ за подлежащимъ подписаніемъ и приложеніемъ печати Правленія Телавъ, Мая 30дня 1875 года.

[illegible]

Завѣдывающій учебною частью

Члены Правленія Управляющій дѣлами [illegible]

წმ. ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების
თელავის მმართველობის მიერ
1875 წლის 30 მაისს გაცემული ატესტატი

ჭრა-კერვის

თვით მასწავლებელი 128 ნახატებით

ახალი მეტოდა.

№ 30,804
3

ძმის ხსოვნად: ქართულია, აშერულია, ცრობაულია ცხინახშახა და ოცორეულია ძხდალახხინთაის და ბაყმაოთაის: ჯერეთვე ყურსასმენის შახხარეა.

შედგენილი და გამოქვეყნებული

სოფიო. ი. სიმონოვის-მიერ.



ქ. ბაღდათის

1909 წ

სოფიო სიმონიშვილის მიერ შედგენილი წიგნის თაეფურცელი (1909 წ.)

მარჯვნიდან პირველი – სოფიო სიმონიშვილი

ტელევიზიის თანამშრომლები ოპერატორ ვასილ ბაქრაძესთან ერთად ფილმის გადაღების პროცესში

ორჯერ ორჯერ ალექსანდრე და ანტონინა ალექსანდრეს ასული ჟუკოვები. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ჟუკოვი (1896-1974)

ეფექტიანად მუშაობა დაიწყო ტრანსპორტის სამსახურის ახალმა ხელმძღვანელობამ

ομάδα φοιτητών από τη Σμύρνη στο Αμερικανικό Κολλέγιο (1925 ε.)

თელავის ქ№ ნინოს სახ№ვალებლის კურსდამთავრებულთა შეხვედრა
თელავის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში

შეხვედრა თელავში თამარ ჭელიძესთან.
მარცხნიდან პირველი – ნინო დვინიაშვილი, მეოთხე თამარ ჭელიძე (1969 წ.)

ივანე შიუკაშვილის ოჯახი თელავში მწიგნობრობით იყო განთქმული.

ამ საგვარეულოს ერთ-ერთი ფუძემდებელი – სოფელ ქვემო ხოდაშენში მცხოვრები შიუკა ლალიაშვილი განთქმული ბერიკა-მესალამურე ყოფილა. ერთხელ, ბერიკაობას შესწრებია მეფე ერეკლე II, რომელსაც სალამურზე საუკეთესო დამკვრელის ვინაობა უკითხავს. მას შიუკა თაყვისთან მიუხმია და კოდეც დაუკრეინებია. შემდეგ კი ის სასახლეში წაუყვანია ეკლესიის მგალობლად და სასულიერო სასწავლებელშიც მიუბარებია. ასე გამხდარან ქვემო ხოდაშენელი ლალიაშვილები – შიუკაშვილები.

შიუკაშვილების ერთ-ერთი შთამომავალი – ივანე, ცნობილი პედაგოგი და მწიგნობარი ყოფილა. მას ახლო ურთიერთობა ჰქონია ექვთიმე თაყაიშვილთან და ხელნაწერი წიგნების შეკრებაში დიდ დახმარებასაც უწევდა. დიდი მეცნიერის არქივში დაცულია ერთი ასეთი წერილი:

"დიდად პატივცემულო ექვთიმე!

ამ წერილის მომტანი გახლავთ ის მდედელი, რომელმაც ჩემის შეგონებით დაგითმოთ უფასოდ პატარა ტანის ქართული შესანიშნავი ხელნაწერი სახარება ამ ორი წლის წინათ. ზემოთ ნათქვამი იმისთვის დამჭირდა, რომ დღეს ამ წერილის მომტანს სჭირდება თქვენი შემწეობა" (1916 წლის 26 მარტი).

ივანე შიუკაშვილის შთამომავლები ჩვენი ეროვნული კულტურის სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობდნენ. მაგალითად, ცნობილია ქართველი პედაგოგი და დრამატურგი ნიკო შიუკაშვილი, პედაგოგები თამარ და ეკატერინე შიუკაშვილები, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორები ვანდა და ლეო შიუკაშვილები და სხვათა სახელები.

ამ გვარის ერთ-ერთი გამოჩენილი მწიგნობარი ქალი იყო თამარ შიუკაშვილი (1876-1954). მან დაამთავრა თელავის წმ. ნინოს სასწავლებელი. 1903 წელს კი ჩაირიცხა პრაქტიკანტად თელავის სასულიერო სასწავლებელში, სადაც 1904 წლიდან მასწავლებლის წოდება მიიღო.

თამარ შიუკაშვილი 50 წლის მანძილზე ასწავლიდა თელავის სკოლების დაწყებით კლასებში. იგი იყო დაწყებითი და საშუალო სკოლების სახელმწიფო სამეცნიერო კომიტეტის მეცნიერ-კონსულტანტი. მისი საინტერესო ნაშრომი თემაზე: "ანბანის წინა პერიოდი" 1941 წელს გამოიცა. თამარს, თელავში ერთ-ერთ პირველს, 1939 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება და ორდენით დაჯილდოვდა.

თამარს თეატრის მშფოთვარე ცხოვრებაც იტაცებდა. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ლადო მესხიშვილთან, ვალერიან გუნიასთან, ალექსანდრე სუმბათაშვილთან, მიხეილ ჯაჯანიშვილთან და სხვა. თელავის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივში დაცულია მიხეილ ჯაჯანიშვილის ოთხი წერილი, რომლის ადრესატიც იყო "მოდპიკის" საზოგადოების თელაველი რწმუნებული თამარ შიუკაშვილი.

აი, ეს წერილებიც:

"მოდპიკის აგენტს ქ. თელავში ქალბ. თამარ შიუკაშვილს!

ამასთან ერთად გიგზავნით ქართველი დრამატურგებისა და კომპოზიტორთა საზოგადოების წევრთა სიას და გაუწყებთ, რომ მოდპიკის გამგეობის თანხმობით მათი ინტერესების დაცვა მინდობილი გვაქვს მე და თქვენ – მოდპიკის აგენტებს.

დაცვის ფორმაც და შინაარსიც ისეთივეა, როგორც მოდპიკში, ოღონდ ერთი განსხვავებით: ქართული საზოგადოების ანგარიშები უნდა ცალკე შეადგინოთ.

მოდპიკის რწმუნებული მიხ. ჯავახიშვილი".

"ქალბატონო თამარ!

გაუწყებთ, რომ თარგმანი პიესისა "ქარიანი ქალაქი" (კირშონის), "სამი მსუქანი" (ოლეშასი) და "პროტესტს ეაცხადებ" (სლავინსკის) ეკუთვნის მოდპიკის წევრს ა. ბოკერიას, ამიტომ გთხოვეთ, იგი წევრთა სიაში აღნიშნოთ.

პატივისცემით,

მოდპიკის რწმუნებული მიხ. ჯავახიშვილი".

12. X. 29" (იხ.: თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერები, №6973).

ზემოთ მოტანილი წერილებიდან კარგად ჩანს, თუ როგორი ნდობითა და პატივისცემით ეპყრობოდა მიხეილ ჯავახიშვილი თამარ შიუკაშვილს.

აქვეა დაცული ეალერიან გუნიას ერთი წერილი, რომელშიც ვკითხულობთ:

"ქალბატონო თამარ!

ეს არის ეხლა ჩამოველ ქუთაისიდან და ვესწრაფი გიპასუხოთ თქვენს წერილზე. დიდად დამავალებთ, თუ შემატყობინებთ – ვის ვიშოვნით მანდ მოთამაშეთ "მეგობრობისათვის". ამას წინათ, აქ კოტე ჭელიძე იყო და მირჩია, რომ თელავში მარტო ჩამოდიო.

ეხლა თქვენი რჩევა მეჭირვება – მართლა მარტო ჩამოვიდე, თუ სხვა ვინმე ჩამოვიყვანო. ამას გარდა, ერთი წარმოდგენა იკმარებს, თუ მეტი!

რა თქმა უნდა, მე უფრო მესიამოვნება ჩამოსვლა მაშინ, როცა თქვენი ძმა მანდ იქნება ჩამოსული.

დათიკო აწყურელს და კოტე ჭელიძეს რომ ნახავდეთ, იმათაც რომ მოელაპარაკებოდეთ და საერთოდ გადაწყვეტავდეთ რასმე, უკეთესი იქნება. იქნებ თვითონ მანდაურ სცენისმოყვარეებმა იკისრონ საქმის მოწყობა.

ყოველივე ამის გადაწყვეტა თქვენთვის მომინდვია და ამიტომ ძლიერ დამავალებთ თუ დროით შემატყობინებთ თქვენს დასტურს და რჩევას.

მიიღეთ ჩემი გულწრფელი სალამი და უღრმესი პატივისცემა.

ეალერიან გუნია.

1909 წ. 22 ივნისი" (იხ.: თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ეკატერინე შიუკაშვილის ფონდი, № 6973).

ეკატერინე შიუკაშვილმა დაამთავრა ჟენევის უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტი. ჟენევაში კაფე "ჰანდვინგში" იგი ხშირად დასწრებია პაექრობას, სადაც გამო-

დიოდნენ: ე. ლენინი, გ. პლეხანოვი, ა. ლუნაჩარსკი და სხვ. მას ახლო ურთიერთობა ჰქონია მიხეილ ჯაფახიშვილთან და დავით სულიაშვილთან.

სტუდენტობის პერიოდში, 1916 წელს, მოსკოვში ეკატერინეს და თამარს გაუცნიათ ალ. სუმბათიშვილი. იმ დროს მოსკოვის მცირე თეატრში "ночной туман"-ის პრემიერა იყო.

"ბილეთები არსად არ იშოვებოდა – გადმოგვცემს ეკატერინე, – მე და ჩემი და იძულებული გავხდით მივსულიყავით ალ. სუმბათაშვილთან და დახმარება გვეთხოვა. მიველით კიდეც. კარგად მიგვიღო და დიდხანს გვესაუბრა, როდესაც გაიგო, რომ მე ევროპაში ვსწავლობდი, ვიცოდი ფრანგული ენა, შემეკითხა – შეგიძლიათ თუ არა ფრანგულიდან თარგმნაო და გადმომცა ჟიულ ლემეტრეს წიგნი თეატრზე".

ეკ. შიუკაშვილს აღნიშნული წიგნი უთარგმნია ფრანგულიდან რუსულ ენაზე, რისთვისაც "ღალატის" ავტორს მისთვის დიდი მადლობა გადაუხდია და მალე ასეთი წერილიც გაუგზავნია:

"დიდად პატივცემულო ეკატერინე ივანეს ასულო,

ძლიერ მადლობელი ვარ თქვენი, ჩემი დავალების თანახმად, ჟიულ ლემეტრეს თეატრის საკითხებზე დაწერილი ფრანგული სტატიების თარგმანისთვის. ეს შრომა გადმოთარგმნილია ჩინებულად, მშვენიერი რუსული ენით, ზედმიწევნით სწორად. მე იმედი მაქვს, თქვენ უარს არ იტყვით შემდეგშიც ასეთივე თარგმანები გააკეთოთ ჩემი თხოვნით.

გულწრფელად თქვენი პატივისმცემელი იუჟინი თავ. სუმბათოვი.

24 დეკემბერი, 1916 წ. მოსკოვი".

ე. შიუკაშვილი, როგორც ევროპული ენების საუკეთესო მცოდნე, კონსულტაციებს უწევდა უცხო ენებით დაინტერესებულ ახალგაზრდობას. აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოში გამომავალ ინგლისურ და ფრანგულ პრესაში. გაზეთში "The Georgian Messinger" 1919 წელს (№ 5) დაიბეჭდა მისი საყურადღებო წერილი სათაურით: "საქართველოს ქალები". მომდევნო ნომერში კი დაიბეჭდა მიმართვა ინგლისელი ქალებისადმი.

ეკატერინე ინგლისელ ქალებს წერდა:

"თქვენ, ბრიტანეთის კუნძულის ქალებო,

გიგზავნით სალამს კავკასიონის მწვერვალებიდან, ნაზი იების სურნელს შაავი ზღვის დაფნის გვირგვინოვანი სანაპიროდან".

წერილი დიდი პათოსით არის დაწერილი და კარგად ჩანს მისი მიზანდასახულობაც.

ეს ის დრო იყო, როცა ჯერ კიდევ არ იყვნენ დამცხრალნი იმპერიალისტური წრეები და ახალი საშიშროების წინაშე აყენებდნენ მსოფლიოს. ამიტომ წერილის ავტორი ინგლისელ ქალებს შეახსენებს: "დაიმახსოვრეთ, რომ ომი როგორც ფიზიკური ძალადობის უმაღლესი ფორმა, სამარცხვინოა ქალთა უფლებებისა, ჩვენ ვერ ვიქნებით იმათ გვერდით, ვისაც ომი სჭირდება. დიდი ომების პერიოდში ქალი შეფასებული იყო, როგორც ჯარისკაცთა წარმოშობის წყარო".

სწორედ იმჟამად, როცა ე. შიუკაშვილის წერილი გამოაქვეყნეს, პარიზში მიმდინარეობდა საზავო კონფერენცია. ამიტომ ის ურჩევდა ინგლისელ ქალებს:

"ჩვენთვის, ქალებისათვის უფრო შესაფერისი ხომ არ იქნებოდა, მიგვემართა თხოვნით მშვიდობის კონფერენციისათვის, შეიმუშაონ და დაიცვან პრინციპები, რომლებიც მომავალში ბოლოს მოუღებენ ომის ყოველგვარ შესაძლებლობას". უფრო მეტიც, ე. შიუკაშვილი მოითხოვდა, რომ ამ კონფერენციაზე ქალებს საგანგებო ადგილი დათმობოდათ.

საგანგებით მართალი იყო პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ქალი, როცა წერდა, რომ კონფერენციაზე:

"ძლიერნი ამა ქვეყნისანი იქ იმაზე კი არ უნდა მსჯელობდნენ, თუ ვის ეკუთვნის დედამიწის ორი ნახევარსფეროს ჰეგემონობა, არამედ იმაზე, რომ ანგარიში გაუწიონ პატარა ერებს და მისცენ მათ შესაძლებლობა თავისი საკუთარი წარმომადგენლობით ამცნონ ქვეყანას სატკივარი, მისცენ შესაძლებლობა აღიდგინონ დაკარგული, ფეხქვეშ გათელილი უფლებები და ამ გზით საფუძველი ჩაუყარონ ხალხთა ნამდვილ ლიგას საზოგადო განიარაღებასა და მშვიდობისათვის მთელს მსოფლიოში".

ეკატერინე შიუკაშვილის სახელთან არის დაკავშირებული თელავში საბავშვო თეატრალური დასის ჩამოყალიბება. მას ეკუთვნის რამდენიმე წერილი თეატრის საკითხებზე და პიესები, რომელთა გარკვეული ნაწილი იდგმებოდა თელავის თეატრში.

1972 წლის 29 მაისს თელავში გამართულ თავის შემოქმედების საღამოზე საქართველოს სახალხო არტისტმა მარინე თბილელმა განაცხადა: "ყოველთვის სიამოვნების გრძნობით ვიგონებ ჩემს საყვარელ შიუკაშვილების ოჯახს, სადაც პირველად ვიგრძენი ხელოვნებისადმი სწრაფვა, სიყვარული. 8 წლისა ვიყავი, როდესაც თელავის თეატრის სცენაზე ქალბატონ ეკატერინეს დაწერილ პიესაში "ბებია ზამთრის გასამართლება", ციყვის როლი შევასრულე. მას მოჰყვა პიესა "ყაბიდონა" და ასე გავხდი "ცნობილი" მსახიობი.

მე სცენაზე ფეხი ამადგმევინეს თამარ და ეკატერინე შიუკაშვილებმა. შიუკაშვილების შესანიშნავი ოჯახის წარმომადგენელი დრამატურგი ნიკო შიუკაშვილი კი შემდეგში მასწავლიდა სამსახიობო სასწავლებელში. მედლობა მათ, ვინც მე მაპოვნინა თეატრისაკენ მიმავალი გზა."

ე. შიუკაშვილი მრავალმხრივ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა. ის წერდა პიესებს, მოთხრობებს, ნოველებს, ლიბრეტოებს, ნაკვესებს, ასცენირებდა ზოგიერთ პოპულარულ თხზულებას და სხვა. მის კალამს ეკუთვნის ოთხმოქმედებიანი პიესა "ატომის მეფე", "ყაფლანის განძი", "ოცნება", "ყაბახი", (ნ. ბარათაშვილის ცხოვრება), კომედიები "მთავარე და მისი ჩრდილი", "კონკურსი", "უკანასკნელი მაკენდორფი", "ძალად გმირი", "ბუნების იდუმალება", "ჩვენი დროის გმირები" (დიდი სამამულო ომის თემაზე) და სხვა.

მან პიესად გადააკეთა ლევ ტოლსტოის ცნობილი რომანი "ანა კარენინა", დაწერა პასტორალი "მზე გვიცინის", "ყვაიილნარში". საბავშვო პიესები: "მართას შვილიშვილები", "ყაბადონა", "ბებია ზამთრის გასამართლება". ნოველები: "მარიკოს ოინი", "ქობულეთში", "ჯიბგირი", "ღალატი", "ეაი-ორატორი" და სხვები.

მას გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე პუბლიცისტური წერილი, განსაკუთრებული სიყვარულით წერდა თეატრზე.

1964-1965 წლებში ე. შიუკაშვილისაგან ჩაიწერეთ მოგონებები, საიდანაც მკითხველს ეთაყვასობთ სამ ეპიზოდს:

"ჩვენი საუკუნის დასაწყისში უნივერსიტეტში ესწავლობდი. ჩემთან ერთად ლექციებს ისმენდნენ შემდეგში ცნობილი მწერლები მიხ. ჯავახიშვილი, დავით სულიაშვილი და გიორგი პლეხანოვის ქალიშვილები.

არასოდეს დამავიწყდება 1909 წლის გაზაფხული, როდესაც აღინიშნა უნივერსიტეტის დაარსების 350 წლისთავი. ყველა ერის სტუდენტთა ჯგუფს, ვინც კი აქ სწავლობდა, თავიანთი ეროვნული ცეკვები თუ სიმღერები უნდა წარმოედგინა. საუკეთესო პროგრამით წარესდექით ქართველი სტუდენტები. მაშინ აქ სწავლობდა დაახლოებით 100-მდე ქართველი.

ზეიმს განსაკუთრებული ელფერი მისცა ქართველთა საჩუქარმა. ეს იყო ქართველიშვილისეული მდიდრულად გამოცემული "ეფხისტყაოსანი", რომელიც უნივერსიტეტის რექტორს პროფ. შოდას გადაეცით.

სხვათა შორის, ეს წიგნი მე მქონდა თელავიდან წაღებული. მოვილაპარაკეთ ამხანაგებმა და ასეთი კარგი შემთხვევისათვის გამოვიყენეთ ეს ძვირფასი წიგნი.

სტუდენტები ხშირად ვიკრიბებოდით "პანდეინგის" დარბაზში, სადაც ხშირად იმართებოდა შინაარსიანი საღამოები.

ახლაც დიდი ინტერესით ვიხსენებ ერთ საოცარ ამბავს. 1910 წელს ლოზანის შტატში, საკურორტო სოფელ კლეჟორში (სუფთა ჰაერს ნიშნავს, როგორა ჰგავს ჩვენს კოჯორს) ვისვენებდი.

დილა იყო, მე წყლის ასაღებად გამოვედი. აი, გამოჩნდა ჩემი დიასახლისი, რომელიც პირდაპირ ჩემსკენ გამოემართა, დასვედიანებულმა ცრემლიანი თვალები მომაპყრო და თითქოს მომისამძიმრა:

— "გუშინ რუსული მწერლობის მზე ჩაესვენა, ოო..., როგორ მიყვარდა ტოლსტოი"...

— ნეტავ როგორ გაიგო ასე მალე რუსეთში მომხდარი ამბავი კლეჟორელმა დიასახლისმა? — ვფიქრობდი მე.

იმავე დღეს საქართველოში მამაჩემთან წერილი გამოვგზავნე და ეთხოვდი ლეო ტოლსტოის შესახებ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მასალები გამოეგზავნა. მართლაც, მალე მომივიდა ქართული ჟურნალ-გაზეთები და მამის წერილი, რომელშიც მწერდა: "ბედნიერია მამა ეორსონოვი (ოპტინის სავანის მოძღვარი), რომელსაც ტოლსტოის საიდუმლო ზიარება შეუსრულებიაო". მამა მღვდელი იყო და თავისი კოლეგის ამ ბედნიერი შემთხვევით კმაყოფილი".

მრავალის მომსწრე და მნახველმა ე. შიუკაშვილმა სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში თავისი საოჯახო ბიბლიოთეკის უნიკალური ფონდი (ხელნაწერებთან ერთად) გადასცა თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს.

თელავში, ლეონიძეთა ნაფუძვარ'სე, აღი'სარდნენ ანა, ელენე და დარია აბელი'შვილები. მათ პირველდაწყებითი განათლება წმ. ნინოს სასწავლებელ'ში მიიღეს.

სახელოვანი მწერლის ვასილ ბარნოვისგან დამოძღვრილმა დარიამ კალამოსნობა ბავშვობის ასაკიდან დაიწყო. მისი შეკრებილი ქართული ხალხური სლაპრები და გამოცანები ხშირად ქვეყნდებოდა ჟურნალ "ნაკადულ'ში". ამიტომაც, პროფ. მიხეილ ჩიქოვანმა "ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორიაში" მისი ღვაწლი საგანგებოდ მოიხსენია (იხ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956, გვ. 307).

XX საუკუნის ათიანი წლებიდან დარია აბელი'შვილი (1893-1976) აქტიურად ჩაება თელავის კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში. იგი "ილიაობის" მოწყობის საინიციატივო ჯგუფში იყო და როდესაც სასწავლებლად თბილისში გადაეიდა, დაუახლოვდა ჩვენი ლიტერატურისა და თეატრის ქურუმებს: აკაკის, ეკას, ეკატერინე გაბაშვილს, კოტე მაყაშვილს, ლადო მესხი'შვილს და სხვ.

თბილისში არსებულ ერთ-ერთ ლიტერატურულ წრეში დ. აბელი'შვილის მონაწილეობის შესახებ მწერალი ბაბილინა ხოსიტაშვილი (იროდიონ ევდო'შვილის და) წერს, რომ მას დიდხანს ახსოვდა "აბელი'შვილის ქალი დარიკო, რომელმაც კარგი რეფერატი წაიკითხა ბარათაშვილის შემოქმედებაზე" (იხ.: ბ. ხოსიტაშვილი, მშობლიური სოფლიდან დედაქალაქში, თბ., 1964, გვ. 163)

მდიდარი და საინტერესოა დარია აბელი'შვილის არქივი და წიგნადი ფონდი. მათი ერთი ნაწილი მას შთამომავლობით გადაეცა, ხოლო ნაწილიც თვითონ შეკრიბა. მის არქივში დაცულია თვალსაჩინო ქართველი კომპოზიტორის ნიკო სულხანი'შვილის სიმღერის ნოტები და ქიზიყელი ქალის ახუას მიერ მუფე ერეკლე II-ის დატირების ტექსტი, რომელსაც მკვლევარები საუკუნენახევარ'ზე მეტხანს ეძებდნენ.

ცნობილმა პოეტმა სიკო ფა'შალი'შვილმა თავისი ლექსების კრებული დარია აბელი'შვილს ასეთი წარწერით უძღვნა:

"მე მახსოვს შენი კაი ქალობა,
ნურც დამავიწყოს ის ტკბილი დღენი,
როს გულ'ში გაჩნდა გარდუვალობად
ეს ძმური გულით მოძღვნილი ძღვენი.
9. XII. 59".

დარია აბელი'შვილმა უმაღლესი ეკონომიკური განათლება მიიღო. ერთხანს იგი მუშაობდა აზერბაიჯანის დედაქალაქში, ხოლო შემდეგ საქართველო'ში დაბრუნდა. ის სამტრესტის ორგანიზაციაში ცნობილ ეკონომისტად ითვლებოდა, მაგრამ მისთვის ყველაზე ძვირფასი იყო მ'შობლიური ლიტერატურა, თეატრი და განსაკუთრებით – პოეზია. მან ზეპირად

იცოდა ა. პუშკინის, ნ. ბარათაშვილის, ილიას, ეაჟას, გ. ლეონიძის, ს. ესენინის და ანა კალანდაძის ლექსები. ამის გამო ხშირად იტყოდა ხოლმე: "Душой поет, судьбой монах" და მართლაც მისი საქმიანობა, სადაც არ უნდა ყოფილიყო, სამტრესტში, თელავის რუსულ საშუალო სკოლაში თუ საბუღალტრო სასწავლებელში, ყველგან პოეტურ-მამულიშვილური საქმიანობით გამოირჩეოდა.

დ. აბელიშვილმა დიდი შრომა გასწია თელავში ხელოსნური ამქრების საქმიანობის შესწავლის საქმეში. მის არქივში დაცულია ძვირფასი მასალები, რომლებშიც გადმოცემულია ცნობები XVIII-XIX საუკუნეების თელავის შინამრეწველობის შესახებ. ნაშრომი შეიცავს თერძობის, დაბაღობის, ხარაზობის, სირაჯობის, ჭონობის, მენახშირეობის, მანჯანიკობის აღწერილობას.

მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა შეკრიბა ხელოსნობის ამსახველი ეთნოგრაფიული ნიმუშები, ფოტოები და გადასცა თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების შეკრება-შესწავლის დროს, იგი მხარში ედგა თავის სიძეს, თელავის მუზეუმის ამაგდარს სანდრო მამულაშვილს. ხოლო თავის დროზე, როცა ვასილ ბარნოვი მუშაობდა "ამქრის მშვენებაზე", უხვად ისარგებლა თავისი მოწაფის დ. აბელიშვილის ჩანაწერებით.

დარია აბელიშვილმა დაგვიტოვა მ'შვენიერი მოგონებები აკაკი წერეთლის, ეაჟა-ფშაველას, ვანო სარაჯიშვილის, ლადო მესხიშვილის, გიორგი ლეონიძის და სხვათა შესახებ. ამათგან ზოგიერთი მასალა გამოქვეყნებული იყო თელავის რაიონ'ული გაზეთის "ალაზნის განთიადის" ფურცლებზე.

აი, რას სწერდა მას 1968 წელს საქართველოს ტელევიზიის ლიტერატურულ-დრამატულ გადაცემათა რედაქცია:

"პატივცემულო ქალბატონო დარია!

გვაპატიეთ, რომ დაგვიანებით გიპასუხეთ. თქვენმა წერილმა ძალიან გვასიამოვნა. ქართულ თეატრსა და ქართველ მოღვაწეთა შესახებ ბევრი წაგვიკითხავს, მაგრამ ის, რაც თქვენ გაგვიზიარეთ, კიდევ უფრო აესებს ჩვენს ცოდნას ამ სახელოვანი ადამიანების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. სრულიად მართალი ბრძანდებით, როდესაც "დალატის" შესახებ წერთ. ენანობთ, რომ ჩვენ არ გექონდა შესაძლებლობა გეენახა ნუცა ჩხეიძის ზეინაბი და ვალერიან გუნიას ოთარ-ბეგი. საგულისხმოა აგრეთვე, თქვენი ნაამბობი ეაჟა-ფშაველაზე, აკაკი წერეთელზე, ვასო აბაშიძეზე და სხვებზე. კარგი იქნება, თუ თქვენს მოგონებებს უფრო ერცლად გადასცემთ თეატრალურ მუზეუმს".

კარგად გვახსოვს ქალბატონ დარიკოს დრამატულად მოყოლილი ამბაეი 1893 წელს განჯაში ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლაეის მიკვლევის შესახებ.

დ. აბელიშვილს ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა, რომლითაც სარგებლობდნენ ნათესაეები, მეზობლები, კოლეგები და თეალსაჩინო მოღვაწეები: იოსებ გრიშაშვილი, სიკო ფაშალიშვილი, იოსებ მჭედლიშვილი, მიხეილ საყვარელიძე, ლეონ მელიქსეთ-ბეგი და სხვა.

მწიგნობარი ქალის არქივში ინახება ი. გრიშაშვილის რამდენიმე წერილი. ერთ-ერთ მათგანში ვკითხულობთ:

"ძვირფასო დარიკო!

მივიღე შენი გამოგზავნილი თელავში დაბეჭდილი წიგნები. კარგია, დიდი ჯილდოა ჩემთვის. კარგი იქნება თელავში დაბეჭდილ (1890) "ჯიბის ლექსიკონსაც" თუ მი'შოვნი. რამდენიც უნდა დაგიფასონ მიეცით, მე აგინაზღაურებთ. მანამდე კი გიგზავნი ჩემს "ლიტერატურული ნარკვევების" წიგნს. ჰალალი იყოს, შენს ა'სრსაც თუ მომწერ, გაახარებ მოხუცი პოეტის გულს.

ძმური სიყვარულით, შენი სოსო. 1957 წელი, 17 ოქტომბერი".

ი. გრიშაშვილი მეორე წერილში ქალბატონ დარიას ასეთი თხოვნით მიმართავდა:

"დაო და ტკბილო მოგონებავ!

რატომ არა მწერ წერილებს. აქ რომ იყავი გთხოვე ლიტერატურული ბოჰემის შესავსებად გამოგეგზავნა თელავის ლიტერატურული ცხოვრების ამბები. განსაკუთრებით ა'შუღები მაინტერესებს. რა იქნება პაზირას ლექსების ხელნაწერები, რომლებიც საზზე დამკვრელ გაუარაშვილს ჰქონია. იქნება ვარიანტებია ცნობილი ლექსებისა? ჩაიწერე თუ ზეპირად ახსოვთ და გამომიგზავნე. მალე დაიბეჭდება ჩემი მესამე ტომი და გამოგიგზავნი.

ალერსით და ძმური სიყვარულით,

შენი სოსო გრი'შაშვილი".

80 წელს გადაცილებული დარია აბელი'შვილი ძველებური ეშხით დადიოდა თელავის ქუჩებში. გულში ინახავდა თბილ მოგონებებს გარდასულ დღეებზე და მისი გადარჩენილი საგანძურიდან სათუთად მოელილ წერილებს, ფოლიანტებს.

დები როსტომაშვილები

როსტომაშვილების ოჯახი თელავში მამული'შვილური საქმიანობით განთქმული იყო. ოჯახის უფროსს ივანე როსტომაშვილს მწიგნობრულ-პედაგოგიური საქმიანობა სპეციალური კვლევის საგანი გახდა. მის შესახებ საინტერესო ნაშრომები დაწერეს პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ლამარა იანვარაშვილმა და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა შალვა მარკო'ზაშვილმა.

ივანე როსტომაშვილს მრავალმხრივ მოღვაწეობაში მხარში ედგნენ ღირსეული მეუღლე ელისაბედ ჩოლოყაშვილი და შვილები. თითოეულ მათგანს თავიანთი საყვარელი საქმე ჰქონდა და გატაცებით ემსახურებოდნენ, მაგრამ ყველას ფიქრი თავს დასტრიალებდა ქართულ წიგნს და მწიგნობრობას. როსტომაშვილების ოჯახის მესვეურის საფლავზე დიდუბეში ადგას ორიგინალური ძეგლი, ქვაში გამოკვეთილი წიგნების დიდი წყება, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს იმ დიდი მამული'შვილის მწიგნობრულ საქმიანობას (ძეგლის ავტორია იაკობ ნიკოლაძე).

ელისაბედ ჩოლოყაშვილს მზითევში მოჰყვა "ვეფხისტყაოსნის" და "ეისრამიანის" ხელნაწერი წიგნები. მას ჩააბარეს საპატრონოდ თავიანთი თხზულებების ხელნაწერები ალ. ყასბეგმა და ი. დაეითაშვილმა. შემორჩენილია ჩვენი ხალხის ერთგული მეგობრის მარჯორი უორდროპის წერილები, რომელთა ადრესატია ელისაბედ ჩოლოყაშვილ-როსტომაშვილისა. მან დაგვიტოვა საინტერესო მოგონებები გარდასულ დღეებსა და შეხვედრებზე.

ცნობილია, აგრეთვე როსტომაშვილების ქალიშვილების — ბაბილინა და ანასტასია როსტომაშვილების დამსახურება ქართული თეატრისა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში.

ტასო როსტომაშვილი თელავის თეატრალური დასის წევრი იყო. ჯერ კიდევ პატარა ბავშვმა იყნოსა სცენის საოცარი სურნელება და თავისი ბედი დაუკავშირა სახელოვან რეჟისორს სანდრო ახმეტელს. გათხოვების შემდეგ იგი პედაგოგიურ სარბიელზე იმყოფებოდა და ყველგან წიგნის ჭეშმარიტი პროპაგანდისტი იყო.

ბარბარე როსტომაშვილი-ეორონოვისა იყო იეანე როსტომაშვილის უფროსი ქალიშვილი. იგი დაიბადა 1883 წელს.

თელავში წმ. ნინოს სასწაულებლის დამთავრების შემდეგ იგი ჩაირიცხა მოსკოვის სამხატვრო სტუდიის მოწაფედ, სადაც სათეატრო ხელოვნებას ასწაულიდნენ სტანისლავსკი და ნემიროვიჩ-დანჩენკო. ბ. როსტომაშვილი 1905 და 1917 წლების რევოლუციის მშფოთვარე დღეებში მოსკოვში ცხოვრობდა და ბუნებრივია, პროგრესული იდეების მჭონე ოჯახურ წრეში გაზრდილ ქალიშვილზე, ამაზე დიდი შთაგონება რაღა უნდა ყოფილიყო. აქ მაშინ პოლიტიკა და თეატრი გადაჯაჭვული იყო.

1905 წელს ბ. როსტომაშვილი მოსკოვში ცხოვრობდა პროფ. გერეანის ბინაში, რომელიც იმ ქარიშხლიან დღეებში პარიზში გაიქცა და მისი სახლი რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობის საკრებულო ადგილად გადაიქცა. აქ ხშირად დაიარებოდნენ მოსკოვში მცხოვრები ქართველი სტუდენტები: ოლღა მირზაშვილი, ტასო კანდელაკი, ძმები ალიოშა და სამსონ წუწუნავები, ილიკო ხირსელი, შალვა შოთაძე და სხვები.

ბარბარე როსტომაშვილი და მისი თანამებრძოლები თავდადებით იბრძოდნენ მოსკოვში, ბოგოსლავსკის შესახვევში, სადაც ბარიკადების აღსამართავად ბაბომ თავისი ბინის აეეჯიც გამოიყენა. ხოლო წითელი დროშისათვის დაჭრეს მისი წითელი აბრეშუმის კაბა.

ბარბარე მონაწილეობას იღებდა 1905 წელს მუშა-რეეოლუციონერის ნ. ბაუმანის დაკრძალვაში. ცარიზმის სულის შემხუთველი პოლიტიკის დროს კი ბაბო თაყის მეუღლესთან, რეჟისორ ს. ეორონოეთან ერთად სოხუმში გაემგზავრა, საიდანაც მათ თან წამოიღეს რევოლუციური ლიტერატურა და გააერცელეს აქაურ მუშებს შორის.

არანაკლები თავდადება გამოიჩინა საცხოვრებლად მოსკოვში დაბრუნებულმა ბ. როსტომაშვილმა 1917 წლის რევოლუციის დროს.

პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ლამარა იანუარაშვილი ასე აღწერს ერთ ეპიზოდს: "შეიარაღებული ბრძოლის დროს, ბ. როსტომაშვილის ბინის ფანჯრებზე რევოლუ-

ციონერებმა დადგეს ტყეიამფრქეევი. თვით ბაბო მონაწილეობდა ბრძოლებში, რეეოლუციონერებს ამარაგებდა ტყეია-წამალით, დაჭრილებს უხვეედა ჭრილობებს".

ბ. როსტომაშვილის ხელმძღვანელობით თელავში 1904 წელს დაიდგა აკ. წერეთლის "პატარა კახი". პიესაში ერეკლე II-ის როლს თამაშობდა თვით ბარბარე, ხოლო ტურფას როლში გამოდიოდა ტასო როსტომაშვილი.

თითქმის სამოცი წლის მანძილზე ბ. როსტომაშვილმა საქართველოსა და რუსეთის თეატრის სცენაზე შეასრულა ას'ზე მეტი როლი. სოფელ ლალისყურისა და ფშაველის მცხოვრებლებს ახლაც კარგად ახსოვთ 50-იან წლებში ბ. როსტომაშვილის ხელმძღვანელობით სოფლის კლუბებში დრამატული წრეების გამართული წარმოდგენები აგიტმხატვრული ბრიგადების კონცერტები, წიგნების გამოფენები, მისი მიზანი იყო მშრომელ ხალხში თეატრისა და მხატვრული ლიტერატურის სიყვარულის დანერგვა.

პერსონალური პენსიონერი ბ. როსტომაშვილი გარდაიცვალა 1968 წელს სოხუმში. მადლიერმა სოფელ ლალისყურელებმა გადმოასვენეს იგი და დიდი პატივით დაკრძალეს სოფელში, სადაც დღესაც მოედინება ბარბარეს რუდუნებით გამოყვანილი წყაროს წყალი, რომელსაც "ბარბარეს წყაროს" ეძახიან.

სოფიო ჩიჯავაძე-კედიასი

სოფიო ჩიჯავაძე-კედიამ თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის უდიდესი ნაწილი უცხოეთის ცის ქვეშ გაატარა. ერთობ ძნელი იყო ეს ხვედრი, მაგრამ ნოსტალგიის გასაქარვებლად იგი მოგონებების წერას შეუდგა.

მართალია, ქ-ნი სოფიო ფიზიკურად ცხოერობდა მსოფლიოს ულამაზეს ქალაქში – პარიზში, მაგრამ სულიერად საქართველოში იყო. ამიტომაც, მისი მოგონებების წიგნში "ნასმენ-ნახულში" დაუნჯებულია XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის კახური დიალექტური ლექსიკა. წიგნში მისი სისხლსავსე ცხოერების ეპიზოდებია გადმოცემული. ამიტომაც, მისი მემუარები პარიზის ქართულ-ეეროპული ინსტიტუტის ჩატარებულ კონკურსში ილია ჭავჭავაძის საერთაშორისო პრემიით დაჯილდოვდა (1990).

სოფიო ჩიჯავაძისადმი არც პარიზის საზოგადოება დარჩა გულგრილი. მისი დაბადების 100 წლისთავზე, პარიზის მერმა ჟაკ შირაკმა, როგორც პარიზის უხუცეს მოქალაქეს, საგანგებო მედალი და დიპლომი გადასცა (იხ.: გ. შარაძე, ფრანგული დღიური, თბ., 1990).

მაინც ბედით დატანჯულ სოფიოს მის ირგელივ მყოფთა დიდი სიყვარული ღმერთისაგან ერგუნა. ისინი იყვნენ ნამოწაფრები თუ კოლეგები, ემიგრანტებისა თუ პოეტებისა. ამათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა იოსებ გრიშაშვილი, რომელმაც საუკეთესო ლექსები: "ლერწამი ხარ", "ცრემლის კრიალოსანი", "ნუ სწევ თუთუნს", "გენაცვალე", "ვინც რა უნდა თქვას", "სძინავს დედოფალს", "ტრფობა", "არც ჰოს ამბობ, არც არას", "მოღალატეს", "დამიბრუნეთ, დამიბრუნდი" სოფიოს უძღვნა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ იოსებ გრიშაშვილის ტრფობა სოფიოსადმი საუკეთესო მასალაა ერთი კარგი მოთხრობისათვის.

აი, როგორი გულწრფელობით წერდა სოფიოს იოსებ გრიშაშვილი:

"არავის ეეტრფი, არაყის. გაგიცანი თუ არა, ესთქვი, ჩემი გული სამგოსნო ტახტია და ამ ტახტზე მხოლოდ სოფიო უნდა დასვას მზიურ დედოფლად მეთქი. როგორც ზღვის ფსკერიდან ქვები არ გამოელევა, ისე ჩემს გულს აღარ გამოილევა შენს საქებრად სამგოსნო შაირები.

მე ისე ვარ თქვენი სიყვარულით გატაცებული, ისეთი სიყვარულით გცემთ პატივს, თვით სიკედილსაც კი, ხელს გაეუწედიდი".

შეწუხებული პოეტი სოფიოს ატყობინებდა, რომ "ხომ ხედავ, შენს შემდეგ, როგორ ცუდ ლექსებს ვწერო".

სოფიოს ერთ-ერთ ფოტოზე პოეტს მიუწერია: "1914 წელს გაეიცანი – 1919 წელს გადაეიცანი".

ს. ჩაჯავაძე თავის მემუარებს იწყებს მშობლიური სოფლის კისისხევის და ახლო-მახლო სოფლების – კონდოლისა და წინანდლის შთამაგონებელი სურათების აღწერით.

მდიდარი ისტორია აქვს თავად ჩიჯავაძეების საგვარეულოს. ერთხელაც ახალგაზრდა ისტორიკოს იეანე ჯავახიშვილს ქალბატონ სოფიოსათვის უთქვამს: "შეგიძლიათ თქვენი გვარიშვილობით იამაყოთო".

ჩიჯავაძეები, ისე როგორც კახეთში მცხოვრები სხვა წარჩინებული საგვარეულოების ქალიშვილები, პირველ დაწყებით განათლებას იღებდნენ თელავის წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელში.

სოფიო თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში შესვლის დღეს ასე აღწერდა: "დანიშნულ დღეს, დილაადრიან გაუდექით თელავის გზას. რასაკვირველია ურმით, რომ დროზე მიესულიყავი სასწავლებელში. დედამ ჩემი თავი ერთ ქართველ მასწავლებელს – ვარო წულუკიძეს ჩააბარა.

ეს ქალი ძალიან ლამაზი და მოსაწონი იყო. როცა დაიღუნა და ჩუმად რაღაც მკითხა, მე ვერ გავიგე. ჩემის მხრივ გავაგებინე, რომ პირველი კლასისათვის ვარ მზად.

...მასწავლებელმა შემიყვანა იმ თაღებიან პატარა ოთახში, სადაც ერეკლე მეფე გარდაიცვალა, იმჟამად ის ბიბლიოთეკად იყო გადაცემული" (იხ.: ს. ჩიჯავაძე, ნახულ-ნასმენი, თბ., 2001, გვ. 41).

"კვირაში ერთი საათი დათმობილი ჰქონდა ქართული ენის გაკვეთილს – იგონებდა ქ-ნი სოფიო, ისიც მეხუთე საათს, როდესაც მოწაფეები უკვე დაღლილები ეიყვაეით. მასწავლებელი ქართული ენისა იყო ქრისტეფორე ზარაფიშვილი, ხანშიშესული კაცი, დიდი პატრიოტი და კარგი მასწავლებელი... გვასწავლიდა "ბუნების კარიდან" ამოღებულ მასალას, ქართულ ლექსებს, გრამატიკას, ისე რომ ერთ საათში ბევრს ასწრებდა, საბოლოოდ შედეგებით კმაყოფილიც კი იყო" (იხ.: დასახ. წიგნი, გვ. 46).

ქრისტეფორე მასწავლებელს "უყვარდა ჩემი გამოძახება: "ჩიჯავაძე, აბა ერთი კარგად მითხარი, ვახტანგ ორბელიანის "კახეთისადმი". მისმენდა სევდიანი სახით, ხშირად ცრემლიანიც, შემაქებდა და დამსვამდა" – იგონებს ქ-ნი სოფიო.

თელავის წმ. ნინოს სასწავლებლის შესახებ სოფიო ჩიჯავაძე მოგონებებში მოთხრობილი ყოველი მცირე ცნობაც პირველწყაროს მნიშვნელობისაა და ამიტომ ასე ხშირად ვახდენთ წიგნიდან ციტირებას.

"ჩვენს სასწავლებელში წლის ბოლოს რომ იმაროებოდა მშობლების თანდასწრებით საჩუქრებისა და დიპლომების დარიგება, მაზრის უფროსის მეუღლე განსვეჩისა ამ დღეს თავმჯდომარეობდა. ორკესტრი სასიმო მარშს უკრავდა, ავდივართ ესტრადაზე და მიესალმებით ამ "დედოფალს" და მისი ხელიდან ვღებულობთ ჩვენს მიერ დამსახურებულ "ქების ფურცელს", ან უფრო დიდ, პირველხარისხოვან საჩუქარს, მაგალითად რომელიმე რუსი ავტორის ნაწარმოებს, კარგ ყდაში ჩასმულს" (იხ.: დასახ. წიგნი, გვ. 47).

სოფიო ჩიჯავაძის ცნობით მისი თანაკლასელები ყოფილან: ლიზიკო აბელიშვილი, სალომე ყარანგოზიშვილი, თამარ ჩოლოყაშვილი, ნინო როსტომაშვილი. მასწავლებლები კი იყვნენ: ელენე შიუკაშვილი (რუსულ ენას ასწავლიდა), მღვდელი ი. შიუკაშვილი (საღმრთო რჯულს ასწავლიდა) და სხვები.

"მესამე კლასის მოწაფემ, – იგონებს ქ-ნი სოფიო, – 13 წლისა ვიყავი, რუსული ენის მასწავლებელს (მასწავლებელი იყო ზუბკოვი, ინსპექტორი მაკნიკოვი. გ.ჯ.), რომ შევები და ძალიან მკაცრადაც.

ამ მასწავლებელმა გაკვეთილის დროს სხვათაშორის სთქვა:

– "ეს ცნობილია, რომ ქართველები ზარმაცები არიანო" და ლერმონტოვის ნათქვამით დაადასტურა ეს აზრი.

საშინლად ვიტკიცე მისი სიტყვები, ეელარ მოვითმინე, წამოვხტი და მივახალე:

– "ეს არ არის მართალი".

– "როგორ თუ არ არის მართალი", – მიპასუხა, – "დაჯექი, ჩიჯავაძე და გაჩუმდიო".

მე ვიჯიუტე და სხაპასხუპით მივაყარე:

– "როდესაც ქართველები თეითონ უვლიდნენ თავიანთ ქვეყანას, მაშინ იმათ სიზარმაცეზედ ზედმეტი იქნებოდა ლაპარაკი, მაგრამ როდესაც ეს საქმე სხვამ ჩაიბარა, რასაკვირველია, უსაქმოდ დარჩენილი კაცი გაზარმაცდება".

გაკვეთილს ყოველთვის კლასის დამრიგებელი ესწრებოდა, იმჟამად სონა სიდამონერისთავის ასული, რომელიც ჩემს მახლობლად იჯდა, ჩუმად წამჩურჩულა:

– "молодетъ соня".

დავჯექი გაჯარხლებული" (იხ.: დასახ. წიგნი, გვ. 47).

ქ-ნ სოფიოს აღწერილი აქვს თელავის წმ. ნინოს სასწავლებლის მოსწავლეების ჩაცმულობაც (ანუ ფორმა). "ეცვათ ლურჯი ფერის კაბა, თავისაევე პელერინათი, რასაც თეთრი საყელო ამშვენებდა. ლურჯ კაბას წინსაფარი შავი ჰქონდა, მხოლოდ სადღესასწაულოდ როგორც პელერინა, ისე წინსაფარი თეთრი გვქონდაო".

საინტერესოა აგრეთვე ს. ჩიჯავაძის მიერ მოწვდილი ასეთი ცნობაც: "IV კლასში ვიყავი, რომ თელავში თავის ბინაზედ (სიძის ვასილი კახიძის ბინაზე. ავტ.) გარდაიცვალა ჩვენი ცნობილი მწერალი რაფიელ ერისთავი, რომლის ლექსები ჩემთვის უცნობი არ იყო.

უფროსები წაგვიყვანეს ჯერ საღამოს პანაშვიდზე, სადაც ენახე თბილისიდან საგანგებოდ მოსული დელეგაციები, მათში ჩვენი მხატვარ-მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, რომელმაც იმ საღამოს მიცვალებულის სახის ნიღაბი აიღო".

აქვე მოთხრობილია პოეტის მშობლიურ სოფელ ქისტაურში გადასვენების ცერემონია და ისიც, თუ როგორ აღნიშნავდნენ სასწაულებელში ყოველ წელს ნინოობას.

14 წლის სოფიომ სწავლა გააგრძელა თბილისის წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელში, რომელსაც შემდეგში თავად ხელმძღვანელობდა.

დები ღვინიაშვილები

თელავში, ბუმბერაზი ჭადრის დასწვრივ მდებარე აიენიანი ლამაზი სახლი ღვინიაშვილებს ეკუთვნოდათ. ვინ არ ყოფილა სტუმრად ამ სახლში: ლადო მესხიშვილი თუ ვასო აბაშიძე, ნუცა ჩხეიძე თუ ნიკო გოცირიძე, შალვა დადიანი თუ ნიკო შიუკაშვილი, კოტე მარჯანიშვილი თუ სანდრო ახმეტელი, "ცისფერყანწელები" თუ "არაფიონელები".

ამ სტუმართმოყვარე ოჯახს სათავეში ედგნენ სოფელ ვანთის ხელთუქმნელის სახელობის ეკლესიის დეკანოზი ლევან ღვინიაშვილი და სოფელ კაკაბელი მატაცაანთ ქალი ნატო. ამ ოჯახის მშვენებანი იყვნენ ოთხნი დანი ღვინიაშვილები, რომელთაც თავიანთი ცხოვრება ქართულ თეატრს დაუკავშირეს.

კარგად ცნობილია საქართველოს სახალხო არტისტის თიკო ღვინიაშვილის ქართულ თეატრში 60-წლიანი მოღვაწეობა. ალექსანდრა ღვინიაშვილის შესრულებული საუკეთესო როლები მოზარდმაყურებელთა ქართული თეატრის სცენაზე (მის მიერ "სურამის ციხეში" შესრულებული ეარდოს როლი ახლაც ახსოვს მაყურებელს), ქეთევან ღვინიაშვილი კი თელავის თეატრის მემატიანე, კულისებსა თუ მოკარნახის ჯიხურში დაყუდებული მლოცველი იყო.

ღვინიაშვილების ოჯახის უფროსი ქალიშვილი — ნინო შოთა რუსთაველი თეატრში მოღვაწეობდა. იგი სანდრო ახმეტელის საუკეთესო მეგობარი, მისი ჭირისა და ლხინის მოზიარე იყო. მათი მეგობრობა თელავში დაიწყო. სანდრო ახმეტელზე ბევრი საინტერესო ცნობაა შემორჩენილი ქალბატონ ნინოს მოგონებებში, რომლის ხელნაწერიც დაცულია ღვინიაშვილების საოჯახო არქივში. მოვიტანთ რამდენიმე ეპიზოდს, რომლებიც უშუალოდ სანდრო ახმეტელისა და თელავის წმ. ნინოს სასწავლებლის მოსწავლეების ურთიერთობას ასახავს.

თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში სწავლისას გადახდენილ ამბავს ქ-ნი ნინო ასე იგონებდა: "მაშინ მესამე კლასში ვიყავი. დიდი დასვენებისას (დასვენება ნახევარ საათს

გრძელდებოდა), გატაცებული თამაშის დროს ქართულად დაეილაპარაკე. უცებ სასწაელებლის უფროსი გაჩნდა იქ და გააფთრებული თავს დამესხა:

"რამდენჯერ უნდა გითხრათ, რომ მაგ ძაღლის ენაზე ნუ ლაპარაკობთ...

ძნელია სათქმელად რა დამემართა! მთლად ავცახცახდი, ნიკაპი მომეღრიცა, ამიკანკალდა და ცრემლმორეულმა მივახალე: სრულიად მივარდნილ-გადაკარგულ სოფელში, სადაც რუსული სრულებით არ იციან, ძაღლის გაგდება თუ უნდათ, ეუბნებიან "პოშოლ"-ო...

ამ სიტყვების თქმის შემდეგ რაც მოელოდა ნინოს, ყველა კარგად წარმოიდგენს, მაგრამ ფაქტია, ღვინიაშვილების ოჯახში სტუმრად მყოფმა სანდრო ახმეტელმა იგი სასწაელებლიდან გარიცხვას გადაარჩინა. იმ დღიდან დაიწყო მათი მეგობრობაც.

სანდრო ახმეტელი ოციიან წლებში თელავის საზოგადოების წინაშე ხშირად კითხულობდა ლექციებს თეატრსა და ლიტერატურაზე. მისი ხელშეწყობით თელავის სასულიერო და წმ. ნინოს ქალთა სასწაელებლებში ჩამოყალიბებულ ლიტერატურულ წრეებში ეკითხულობდით მოხსენებებს.

ღვინიაშვილის მოგონებებში ეკითხულობთ: "დამავალა სასწაელებელში მომეწყო ქართული ენის შემსწაელელი და სხეა სახის წრეები. ამ წრეებში უნდა გეესწაელა და გაგეერჩია ქართეელი მწერლების ნაწარმოებები, გეეწერა რეფერატები ლიტერატურისა და ისტორიის თემებზე. სანდროს გაეაცანი ჩემი ამხანაგები. მაოაც გაეუზიარეთ სახელდახელოდ შედგენილი ჩეენი სამოქმედო გეგმა და მსურველი საკმაო აღმოჩნდა. ამ დღიდან გაეაჩაღეთ მუშაობა.

სანდროს თელავი უყვარდა და ორ-სამ კეირაში ერთხელ გეესტუმრებოდა ხოლმე. მისი ჩამოსელით ხალისი, ენერგია გეემატებოდა და მუშაობაც მრაეალფეროვანი ხდებოდა.

ეაწყობდით ნაწარმოებთა გმირების გასამართლებას, ეწერდით ინსცენირებებს ქართეელი მწერლების ცნობილი მოთხრობებისა და პოემების მიხედეით. უპირატესობა შოთას, ილიას, ეაეას და აკაკის ენიჭებოდათ. ასე იყო ჩეენს სასწაელებელში, მაგრამ სხეა სასწაელებლებიც ტოლს არ გეიდებდნენ და იყო გაჩაღებული შეჯიბრი".

XX საუკუნის ათიანი-ოციანი წლების თელავში ხშირად იწეეედნენ ცნობილ ქართეელ მწერლებს და თეატრალურ მოღეაწეებს. ეწყობოდა მათთან შეხეედრები და იკითხებოდა ლექციები სხეადასხეა საინტერესო საკითხზე.

6. ღვინიაშეილი იგონებდა: "დიდი აღფრთოვანება გამოიწეია ჩეენში, როდესაც თელაეის საზოგადოებამ ლექცია-მოხსენებებისათეის გადაწყეიტა სანდრო ახმეტელისა და ეექილ იოსებ მაჭაეარიანის მოწეეეა. როგორც კი აფიშაზე მათი გეარი გამოცხადდებოდა, ხალხი ზღეასაეით აწყდებოდა დარბაზს. ლექცია-მოხსენებებზე უამრავი საკითხი შუქდებოდა, რომელთა უმრაელესობა თითქმის მიწის და გლეხთა საკითხებს ეხებოდა, რაზედაც ახლო-მახლო სოფლების: კურდღელაურის, შალაურის, ეარდისუბნის გლეხობა ესწრებოდა. და დიდად კმაყოფილი რჩებოდა. რამდენჯერ გამიგონია გლეხთა წამოძახილები:

"ჰაი, შენი გულისა შენი, თითქოს ჩეენს გულში ჩაიხედა მაგ მამაცხონებულმაო", ანდა "ოხ, შენ კი გენაცვალე მაგ ენის ძარღეებშიო".

სანდრო გლეხებს, ხშირად, კერძო საუბარშიც ჩაითრეულა ხოლმე. ეკითხებოდათ, რა აწუხებდათ მათ, რა უჭირდათ. უნდა გენახათ, როგორ უბრალოდ, შინაურულად ეჭირა თავი მათთან. როგორი გულისხმიერებით ეკიდებოდა ყოველ მათ მკაცრეულ საკითხს. ხშირად მათ მატერიალურ დახმარებასაც კი უწევდათ".

ს. ახმეტელი ლექციებში ხშირად ეაჭრობა-მრეწველობის საკითხებსაც ეხებოდა, მაგრამ უმთავრესი მაინც თეატრი იყო, ქართული ეროვნული თეატრის საკითხი. თელაიის მაშინდელ სა'სოგადოებას ძლიერ უყვარდა თეატრი და სანდროს დიდი ინტერესით უსმენდა ხოლმე.

სამწუხაროდ, მაშინ სტენოგრაფისტები იშვიათად იყვენენ, თორემ შეიძლებოდა ბევრი ჩანაწერი შემორჩენოდა ქართულ თეატრს, რაც დღესაც საინტერესო იქნებოდა" (კარგი იქნება ამ საინტერესო მოგონებების სრული პუბლიკაცია მოხდეს).

საყურადღებო მასალებია შემორჩენილი სანდრო ახმეტელის ურთიერთობაზე თელაველი როსტომაშვილებისა და შიუკაშვილების თეატრალურ ოჯახებთან. სწორედ იქ გაიცნო სანდრომ ცნობილი ქართველი დრამატურგი ნიკო შიუკაშვილი, რომელმაც მისი პირველი დადგმები ერთ-ერთმა პირველთაგანმა მიმოიხილა პრესაში (იხ.: გაზეთი "ტრიბუნა", 1923, № 480; 492). მაშინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გამოცდილი თეატრალური მოღვაწის ნ. შიუკაშვილის ამ სიტყვებს:

— "ახმეტელმა მიიქცია ჩემი ყურადღება თავისი სასცენო გემოვნებითო".

ცალკე შესწავლის თემაა ნიკო შიუკაშვილის შემოქმედებითი დამოკიდებულება რუსთაველის თეატრთან. სანდრო ახმეტელი მეგობრობდა ნიკოს დებთან, ცნობილ პედაგოგებთან და თეატრალებთან — თამარ და ეკატერინე შიუკაშვილებთან.

მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ თელაიისა და სიღნაღელი მოღვაწეების წრეში დაიბადა ქიზიყ-კახეთის სააქციო საზოგადოების "ალზიორას" ჩამოყალიბების იდეა. ამ სა'სოგადოების საორგანიზაციო კომიტეტში შედიოდნენ: კოტე ტყავაძე (გაზეთ "ხმა კახეთის" რედაქტორი), სანდრო ახმეტელი, კოტე აფხაზი, კოტე ჯაფარიძე, გიორგი ხატისკაცი, ეასილ სიფრაშვილი და სხვ.

1914 წელს გაიხსნა ამ სა'სოგადოების მიერ სიგარეტის ქარხანა "ალზიორას" სახელწოდებით. კოლოფზე გამოსახული იყო სანდრო ახმეტელის ფოტოპორტრეტი სიგარეტით ხელში. კოლოფში მოთავსებული იყო 100 ღერი სიგარეტი. ეს პოეტური სახელწოდება დაანათლა დიდმა გალაკტიონ ტაბიძემ 1922 წელს კახეთში დაწერილი ლექსების ციკლს.

ნინო და თიკო ღეინიაშვილების მოგონებებში საინტერესოდ არის მოთხრობილი თელაიის წმ. ნინოს სასწავლებლის მასწავლებლებისა და მოსწავლეების შესახებ, ასევე თელაიის ახალგაზრდულ კლუბში 1919 წელს გამართული დავით კლდიაშვილის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, გიორგი ლეონიძისა და სხვათა ლიტერატურული საღამოების თაობაზე.

ცალკე შესწავლის თემაა ნინო ღეინიაშვილის ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ურთიერთობის ამსახველი მასალები. ნინო პირველად 1922 წელს დააპატიმრეს. როგორც თეატრთ-

მცოდნე ვასილ კიკნაძე წერს, ის "ხუთი თვე აწვალეს, მაგრამ ეერაფერი ათქმევინეს და გამოუშვეს ციხიდან" (იხ.: ვ. კიკნაძე, წამებული რაინდები (თეატრი — სუკის არქივში), თბ., 1992, გვ. 113).

1936 წლის 21 ნოემბერს, სანდრო ახმეტელის საქმესთან დაკავშირებით, ნინო კვლავ დააპატიმრეს. 19 წლის პატიმრობის შემდეგ, ის ხეიბარი, ერთი თვალით დაბრმავებული დაბრუნდა. მას თელავის სახლის ეზოში მოფუსფუსე მეზობელი ქალი ასე შეეხმიანა:

— ქალბატონო ნინო, არა ნანობთ, რომ ცალი თვალის სინათლე შესწირეთ სანდრო ახმეტელს?

ნინომ მარცხენა თვალზე ხელი აიფარა და მეზობელს ასე უპასუხა:

— რასა ბრძანებთ, ოღონდაც სანდრო ახმეტელი ცოცხალი გადარჩენილიყო და მეორე თვალსაც დაუფიქრებლად შეეწირავდიო...

ლიტერატურულ საქმიანობას ნინო ბავშვობიდან ეწეოდა. ის თანამშრომლობდა ჟურნალ "ნაკადულში". მან დაწერა საყურადღებო მოგონებები სანდრო ახმეტელზე. ამ მოგონებების ერთი ნაწილი გამოქვეყნდა 1956 წელს, დიდი რეჟისორისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში (იხ.: ვ. კიკნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 199-203).

ნინომ გადასახლებაში ყოფნის დროს თარგმნა რემარკის "სამი ამხანაგი" და ე. შიშკოვის "უგრიუმ მდინარე".

გადასახლებიდან დაბრუნებულმა ნინო ღვინიაშვილმა და მისმა დებმა თბილისის და თელავის სახლები ლიტერატურულ-თეატრალური შეხვედრების სალონებად აქციეს. განსაკუთრებით დაუვიწყარი იყო მათ მიერ გამართული შეხვედრები რეპრესირებული მამულიშვილების მეუღლეებთან: თამარ წულუკიძესთან, ნინო ანდრონიკაშვილთან, ნინო ტაბიძესთან, მარიამ მუჯირთან, ქეთევან გაბუნიასთან და სხვებთან.

ზინაიდა მკეელიშვილი

ჩვენთვის დაუვიწყარია შეხვედრები სახელგანთქმულ პედაგოგებთან ზინაიდა და გიორგი მელითაურებთან. თელავში მდებარე მათ მყუდრო ბინაში ყოველთვის იყო განწყობა ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებზე საუბრებისა. ქალაქში ჩამოსული ყველა სტუმარი აუცილებლად მათთან ხვდებოდა, რადგან ისინი ჭკუის საკითხავ პიროვნებებად ითვლებოდნენ.

ზინაიდა მკეელიშვილი (მას გვარის ეს ფორმა რუსეთში სწავლის დროს დაუმკვიდრეს) დაიბადა 1889 წლის 12 დეკემბერს, სოფელ შილდაში, დიაკვნის ოჯახში. 3 წლის ასაკში მას მამა გარდაეცვალა და ძმის შვილების აღზრდა ბიძამ იტვირთა.

პირველდაწყებითი განათლება ზინაიდამ თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში მიიღო. შემდეგ მან თბილისის ქალთა III გიმნაზია დაამთავრა.

1908 წელს იგი სწაელის გასაგრძელებლად გაემგზავრა სანკტ-პეტერბურგში, სადაც ჩაირიცხა პ. კ. ლესგაფტის სახელობის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. აქ მას ლექციებს უკითხავდნენ სახელგანთქმული პროფესორები: ტარლე, კოგანი, კოვალევსკი, ანდრეევი და სხვები.

1911-1912 წლებში, ზინაიდა სანკტ-პეტერბურგში, ბესტუჟევის სახელობის ქალთა უმაღლეს კურსებზე, ქ-ნ ქეთევან ბაქრაძესთან (შემდგომში — პაელე ინგოროყვას მეუღლე) ერთად ისმენდა ივანე ჯავახიშვილის ლექციებს საქართველოს ისტორიაში. აი, სწორედ მაშინ მწიფდებოდა აზრი ქართული უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე.

ზ. კეცელიშვილი მონაწილეობდა პეტერბურგში დიდ ქართველ პოეტ-მამულიშვილთან აკაკი წერეთელთან გამართულ შეხვედრებში. მაშინ პეტერბურგის ქართველთა სათვისტომომ აკაკის საღამოზე მოიწვია სახელგანთქმული რუსი მომღერალი ლეონიდ ვიტალის ძე სობინოვი.

1917 წელს ზინაიდა კეცელიშვილი თელავში დაბრუნდა. ის მასწაელებლად მიიწვიეს მშობლიურ წმ. ნინოს სასწაელებელში. 1918 წლიდან — 1921 წლამდე ის ამ სასწაელებელს ხელმძღვანელობდა. იყო მისი პირველი ქართველი ხელმძღვანელი. ამ სასწაელებლის ბაზაზე შეიქმნა თელავში ქალთა ტექნიკუმი, რომლის გამგედაც იგი 1923-1924 წლებში მსახურობდა. 1924-1928 წლებში ის თელავის შრომის IV სკოლის გამგედ მუშაობდა.

1939 წელს თელავში გაიხსნა პედაგოგიური ინსტიტუტი, რომლის პროფესორ-მასწაელებელთა პირველ შემადგენლობაში ზინაიდაც ითვლებოდა.

ზ. კეცელიშვილმა თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე (ას წელს მიაღწია) განცდილი და გაგონილი, მოგონებების სახით დაწერა. მასში განსაკუთრებით საინტერესოდ არის მოთხრობილი თელავის წმ. ნინოს სასწაელებლის მასწაელებლების იქანე როსტომაშვილისა და ნიკო სულხანიშვილის ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები.

ქეთევან იაშვილი

"და არის ქეთევანი, არც დედოფალი, არც წამებული, დიდი ბუნების ადამიანი, ქველმოქმედი, მომადლებული, საამაყო მამულიშვილი — მადლობა და დიდება მას! სამშობლო, გეიმრაელე ასეთი მოაზროენენი!" — ეს გულიდან წამოსული სიტყვები ქეთევან იაშვილის კეთილშობილური საქციელით მოხიბლულ, მისი სურათების კოლექციის ნახვით აღფრთოვანებულ პედაგოგს ეკუთვნის.

დღეს თელავში სტუმრად მოსული, ისე როგორ წავა აქედან, თუ ჩვენი ქალაქის სხვა ღირსშესანიშნაობასთან ერთად ქეთევან იაშვილის სურათების გალერეა არ ნახა? შთაბეჭდილება აღზევებული დარჩება, განწყობილება — ამაღლებული.

აქ თავმოყრილი ჩვენი ეპოქისა თუ წარსულის ფუნჯის გამოჩენილ ოსტატთა ნაწარმოებები ქ. იაშვილის მიერ სხვადასხვა დროს საკუთარი დანაზოგით შეძენილი და თელა-

ეის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუსეუმისათვის საჩუქრად გადაცემული მოწონებას, დაინტერესებას, აღტაცებასა და გაოცებასაც ერთად იწვევს მნახველში, რომელიც მადლიერების გრძნობით აღსავსე უთუოდ იფიქრებს, რომ ქვეყნად სიკეთე მარადიულია...

ვინც ქ. იაშვილს პირადად იცნობდა, ეხსომება მისი ნათქვამი: "ჩემი ცხოვრების მთავარი აზრი გაცემაში დავინახეო".

სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა. თავად მაინც შეძლო მხატვრობისადმი თავისი გაუნელებელი ინტერესი და სიყვარული თავისებურად გამოხატა – დაიწყო საკუთარი დანაზოგით სურათების შეგროვება.

პირველი სურათი, რომელიც მან შეიძინა, იყო ფრანც რუბოს "აულის აღება".

ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე... მსოფლიო ფერწერის ნიმუშებმა ზღაპრულ სამყაროს დაამგვანეს ქეთევანის ბინა და მასთან, როგორც ექიმ-კოსმეტოლოგთან სამკურნალოდ მოსულნი იმაზე მეტ ხანს ჩერდებოდნენ მის ბინაში, ვიდრე ეს საჭირო იყო. განა შეიძლებოდა ერთი გულგრილი შეხედვით დაშორება ქართული, რუსული თუ ევროპული მხატვრობის აღიარებული ოსტატების შედევრებთან?

რა საოცნებო სიმშვიდე და ოჯახური მყუდროების სითბო იღვრებოდა ჯ. მაკოვსკის "ოჯახური პორტრეტიდან", თანაგრძნობას ითხოვდა იაკობინელებთან ტყვედმყოფი შემკრთალი ლუდოვიკო XVII პილოტის სურათიდან, ელენე ახელედიანის სურათებში ძველი თელაჟი იწონებდა თავს და ვინ მოსთვლის რამდენ ადამიანურ გრძნობებს იტევდა მის ბინაში თავმოყრილი გუდიაშვილის, თოიძის, კრამსკოის, აივაზოვსკის, პოლენოვის, კლოდტის, დიურერისა, ბუნინის და სხვათა შედევრების ორიგინალები.

ქეთევანი სიკეთით სავსე თვალებს პაციენტებთან ერთად კიდევ ერთხელ შეავლებდა თავის "შვილობილებს", არასოდეს დაიზარებდა გაეხსენებინა რომელი, სად, როგორ, როდის შეიძინა... ატყობდა როგორ უჭირდათ ადამიანებს მისი ბინიდან გასვლა, ამ სურათებთან განშორება და ფარული სიამაყე იპყრობდა, როცა ხედავდა უკვე არავის შეეძლო მათი ხილვით გამოწვეული აღტაცების დაფარვა. იმასაც მიხვდა, პაციენტებს მის უნიკალურ კოლექციაში დატეული დიდი ხელოვნება სულს სინაზით უვსებდა, გრძნობებს უფაქიზებდა და ექიმის კოსმეტიკურ საშუალებებზე ნაკლებ როდი ჰკურნავდა. ასე გრძელდებოდა წლობით.

ქეთევანმა იწამა თავისი განძის სასწაულმოქმედი ძალა და ასე თანდათანობით მიიდა იმ დასკვნამდე, რომ სხვებიც ეზიარებინა ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშების ხილვით გამოწვეული სიხარულისათვის – გაუნაწილო ადამიანებს შენი სიხარული, მოჰგვარო მათ ბედნიერება – აი, რა სურვილი გამიჩნდა – წერს იგი.

მშობლიურ კუთხეზე უკეთეს ადგილს სად მოძებნიდა თავისი კოლექციისათვის. ასე გადმოინაცვლა მშვენიერების სამყარომ თბილისური ბინიდან თელავის მუზეუმში, რათა ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველასათვის, ვისაც ხელოვნება უყვარს. მკითხველისათვის უინტერესო არ უნდა იყოს ამ ღირსეული მანდილოსნის მოგონებების და ზოგი ბიოგრაფი-

ული დეტალის გაცნობა, რომელსაც გთავაზობთ მის მიერ დაწერილი ერცელი ავტობიოგრაფიიდან (დაცულია ჩვენთან – ავტორები).

"ჩემი წინაპრები რაჭიდან, სოფელ სომიწოდან გადმოსახლებულან კახეთში დიდი ხნის წინათ. დასახლებულან ურიათუბან'ში (ამჟამად – სოფელი ეზისუბანი). მამას მანაეელი ქალი შეურთავს, გვარად მახარობლიძე და შალაურში დასახლებულან, მაგრამ მალე დაქერიებულა. დაერჩენილვართ ობლები სამი და, უფროსი თოთხმეტი წლის, შუათანა – რვის და მე – სამი წლის.

მამას მარტოს გასძნელებია ჩვენი მოვლა-პატრონობა და გადაუწყვეტია ცოლის შერთვა. განგებ ისეთი ქალი შეარჩია, რომელსაც არც შვილი და არც ახლობლები არაყვინ ჰყავდა – გერები უფრო ეყვარებოდაო. ასეც მოხდა დედინაცვალი ჩვენ კარგად გეექცეოდა. მე დედა სულ არ მახსოვდა და ის დედა მეგონა, ყველას მერჩიენა. როგორც უმცროსი, მე მას განსაკუთრებით ეუყვარდი...

ერთხელ, შვიდი წლის ვიქნებოდი, მე და ჩემი ამხანაგები სოფლის რიყეზე წყალში ეჭყუმპალაობდით. ამ დროს მომიახლოვდა ერთი სოფლელი დედაკაცი და მკითხა: დედინაცვალი როგორ გექცევაო?

მე ეს ძალიან მეწყინა – რას ამბობთ, მე დედინაცვალი როდის მყავს მეთქი?... ტირილით გავიქეცი სახლში და დედას ვუამბე ეს ამბაყი.

მან გულში ჩამიკრა, დამამშვიდა – ეგ როგორ დაუჯერე, შენ ჩემი ღვიძლი შვილი ხარ და მე შენი ალალი დედაო – მარწმუნებდა თვალცრემლიანი...

ამ შემთხვევამ გულში მაინც დაღი დამიტოვა, თუმცა ჩვენს დამოკიდებულებაში არაფერი შეცვლილა. ახლაც მწყინს მას დედინაცვლად რომ მოვიხსენიებ".

ქეთევანის მამა – მერაბ იაშვილი მეტად მშრომელი კაცი ყოფილა, ამასთან მკაცრი და თავმოყვარე. ქალიშვილების პატრონს სულ ეშინოდა – შვილები წინდაუხედავად არ მოქცეულიყვნენ. ჩვენ მას დიდ პატივს ვცემდით და თქვენობით ველაპარაკებოდით. მის დაუკითხავად ნაბიჯს არ გადავდგამდით. მამას სოფლელებიც დიდ პატივს სცემდნენ, მის დარიგებას ანგარიშს უწევდნენ. სოფელში ოჯახი არ იყო, რომ მისთვის შვილი არ მოენათლინებინა. მთელი სოფელი მას ნათლია მერაბს ეძახდა.

ქეთევანი 1883 წელს დაიბადა. 8 წლისას მამამ წერა-კითხვის სწავლა დააწყებინა, შემდეგ წაიყვანა თელავში და საცხოვრებლად უფროს დებთან ერთად თელაველი ცნობილი საზოგადო მოღვაწის ეანო პაატაშვილის ოჯახში მოაწყო. აქ ემსადებოდა თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში შესასვლელად.

ახლანდელ დროს რომ ვადარებ, გული მტკივა, – იგონებდა ქალბატონი ქეთევანი, – სად იყო ამდენი გასართობი, ასეთი თავისუფლება... თუმცა, მაინც ვახერხებდით მოწყენილობისაგან თავის დაღწევას.

ზაფხულის არდადეგებზე სოფელშიც ვაზისუბანსა და შალაურში ბევრი ამხანაგი მომდიოდა, ემართათვით წარმოდგენებს. მახსოვს, ერთხელ შალაურში დიდი მარანი ხალხით

გაიესო. დაედგით პიესა რაფიელ ერისთავისა. სოფლელები ძალიან კმაყოფილები დარჩნენ და გვთხოვდნენ კიდევ დაგეედგა რამე.

1963 წლიდან დაწყებული, 14 წლის მანძილზე, ქ. იაშვილმა თელავის მუზეუმს თავისი ფერწერული კოლექციის უმეტესი ნაწილი გადასცა.

1977 წლის 23 აპრილი ზეიმის დღედ იქცა თელაველებისათვის — ამაგდარმა ქალმა თელავის საზოგადოებას საჩუქრად უძღვნა მთელი თავისი უნიკალური კოლექცია.

"ქეთევან იაშვილის გადაწყვეტილება არ შეიძლება მოთავსდეს ქველმოქმედების ფარგლებში. არა, ეს უფრო მეტია, ეს არის მშობელი ხალხისათვის უანგარო გარჯა, ხალხისადმი კამკამა სიყვარულის გამოჟღაენება!" — აღტაცებას ვერ მალავდნენ მადლიერი თელაველები.

თელაველებმა უდიდესი სიყვარული გამოუცხადეს ჭეშმარიტ მამულიშვილს, ყვავილების ზღვაში ჩაძირეს ძვირფასი სტუმარი. იგი თელავის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

ბუნებით თანდაყოლილი კეთილშობილებით და სიკეთით სავსე, უანგარო უნდა იყოს ადამიანი, რომელიც ამ ჭეშმარიტად მამულიშვილური საქციელის შემდეგ იმ დაუვიწყარი ზეიმადქცეული დღის შემდეგ სიხარულისა და ბედნიერებისაგან თავბრუდახვეული გაოცებული ჩაწერს თავის დღიურში: "ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო ის ზეიმი და პატივისცემა, რომლითაც კახელები გაგვიმასპინძლდნენ გალერეის გახსნის დღეს მეც და ჩემს სტუმრებსაც. იშვიათი სილამაზით ჩატარდა ეს დღე. ძალიან ბევრი ხალხი დაესწრო ამ ზეიმს.

ყველას გაგვიხარდა. მოხარული ვარ, რომ ეს განძი ჩაბარდა შესაფერის ადგილს, სადაც დიდი ყურადღებით მოუვლიან და გაუფრთხილდებიან, ასევე კარგად ჩააბარებენ მომავალ თაობებს".

განძი საიმედო ადგილსვა, მნახველი არასოდეს ილევა. გალერეის ხილვით გამოწვეული მშვენიერი განცდა დიდხანს არ სტოვებს ადამიანს. რაღა გვეთქმის მადლობის მეტი ადამიანისადმი, რომელმაც თავისი ხანგრძლივი, ადამიანების სამსახურში გალეული სიცოცხლე 1980 წელს დაასრულა, და კახთმეფეთა სასახლის ეზოში, ე. წ. თელავის პანთეონში ჰპოვა განსასვენებელი. მაგრამ დასრულდა კი მისი სიცოცხლე?

ასეთი ადამიანები დავიწყებას არ ეძლევიან. ასე დაისაკუთრა მარადიულმა ხსოვნამ ქ. იაშვილიც, რადგან ვიდრე იქნება ხელოვნება, მანამ იქნება ის მარად ცოცხალია, მის სახელს ყოველთვის მადლიერებით მოიხსენიებენ თაობები. მისი დათესილი სიკეთის მარცვალი კი დროთა განმავლობაში უფრო გაღვივდება, როგორც სიმბოლო ადამიანთა კეთილშობილებისა, საფუძველი ჩვენი ყოფისა და სიცოცხლის აზრისა. განძი განძად და მისი მამულიშვილური გამოვლინების ეს მშვენიერი მაგალითი დარჩება მომავალი თაობები, როგორც ნიმუში აღმზრდელობითი ძალისა.

საინტერესო და საგულისხმო ბიოგრაფიული ამბები ხელს უწყობს მომავალი თაობების აღზრდას. იმ ფაქტებს, მაგალითად რომ გამოდგება, მრავლად მოუყრია თავი მისი ცხოვრების მანძილზე. მისი ბიოგრაფიის რა ნაწილსაც არ უნდა შეეხოთ, იგი ყველგან

წარმოგეიდგება იშვიათი თვისებებით შემკული თავმდაბალ, უბრალო, უაღრესად სათნო ადამიანად, რომელიც ყოველთვის მზად იყო სხვათა საშველად, ხელის გასაწვდელად, მოეალედ რომ სთელიდა თავისთვის იკითხა – "აბა დღეს მე ვის რა ვარგეო".

რამდენს დახმარებია უანგაროდ ქ-ნი ქეთევანი, რამდენი კეთილად გამხსენებელი დატოვა ამქვეყნად...

"თავს ბედნიერად ვთელი, რადგან მწამს, არაფერი შეედრება ქვეყნად იმ გრძნობას, როცა იცი, რომ ადამიანებისათვის სასრგებლო, საჭირო ხარ..." ამიტომ, ხშირად ვიმეორებ პიუგოს სიტყვებს: "მე მიყვარს პოპულარობა, ეს ბედნიერებაა, მაგრამ მე მინდა სასარგებლო ვიყო – ეს მოვალეობაა" და ძალზე საპატიო მოვალეობაც, რომელსაც ერთგულად იტეირთა თავისი ხანგრძლიეი სიცოცხლის მანძილზე ქეთევან იაშვილმა.

სახელოვანი ქართველი კოსმეტოლოგი ქალი ერთ-ერთი პირველი ექიმი-კოსმეტოლოგი და ერთი იმ დიდბუნებოვანი ადამიანთაგანი იყო, რომლებმაც მთელი გულით შესთავაზა ადამიანებს ის სიხარული და ბედნიერება, რომელსაც მნახველს ფერწერული ტილოების მისეული კოლექციის გაცნობით აზიარა.

სოფიო კონჭოშვილი-ყულოშვილისა

"სოფიო ჩონ დედაა, ჩონ მხსნელია" – ასე მოიხსენიებდნენ ინგილოები მასწაელებელ სოფიო კონჭოშვილ-ყულოშვილისას. იგი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ასწაელიდა სოფელ კახის საეკლესიო სამრეელო სკოლაში (შემდეგ გადაკეთდა საქალებო პირეელდაწყებით სკოლად).

კონჭოშვილები სოფელ საბუიდან არიან. ამ საგვარეულოს წარმომადგენლების დამსახურება სამღვდელოებასა და საგანმანათლებლო საქმიანობაში კარგად არის ცნობილი. მაგალითისთვის კმარა სოფიოს ბიძის – პეტრე კონჭოშვილის (1836-1909) დასახელება, რომელიც ერთხანს გორის და შემდეგ ალაეერდის ეპისკოპოსი იყო. მან დაწერა წიგნი პალესტინასა და ათონის მთაზე მოგზაურობის შესახებ (დაკრძალულია ალაეერდის ტაძარში).

პეტრე კონჭოშვილის ხელშეწყობით, სოფიო შეიყვანეს თელავის წმ. ნინოს სასწაელებელში, რომლის კურსის დამთავრების შემდეგ, 1896 წელს იგი კახის საქალებო დაწყებით სკოლაში მასწაელებლად დანიშნეს.

სოფიომ საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში – საინგილოში (ისტორიულ პერეთ'ში), ისე გაითქვა სახელი, რომ მას "ჩონ დედას" ეძახდნენ. იგი სკოლაში შესასწაელი საგნების გარდა, ასწაელიდა მეფუტკრეობას, მებოსტნეობას, მეოჯახეობას და როგორც მისიონერი – მართლმადიდებელ ქრისტიანობას ქადაგებდა.

ქართველი ერის სახელოვანი შვილების: ილიას, იაკობ გოგებაშვილისა და ეკატერინე გაბაშვილის დახმარებით, სოფიომ საინგილოში პირეელი ბიბლიოთეკა დააფუძნა.

სოფიო საინგილოში დაოჯახდა. ის ცოლად გაჰყვა ინგილო მღვდლის მიხეილ ყულოშვილის ვაჟს — ნიკოლოზს.

1926 წლის 17 დეკემბერს სოფიოს პედაგოგიურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 30 წლისთავის იუბილე აღნიშნეს და მას საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიანიჭეს.

1946 წელს სოფიო კონჭოშვილი-ყულოშვილისა გარდაიცვალა. საინგილოს ქართველობამ იგი დიდი პატივით დაკრძალა კახის წმ. გიორგის ეკლესიის ეზოში. ანდერძის თანახმად, მისი ოთხთვალიანი სახლი თოფახის შეიდწლიან სკოლას გადაეცა.

არასდროს დაგვავიწყდება აწ განსვენებული ალექსანდრე გვენცაძის ხელმძღვანელობით, 1963 წლის 23 ნოემბერს, საინგილო'ში მოწყობილი ექსკურსია. მან სტუდენტები მოწიწებით მიგვიყვანა სოფიო კონჭოშვილი-ყულოშვილისას საფლავთან, სადაც წარმოეთქვით საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის სიტყვები:

"კესანე, შენი კენესა მე,
სევდა შეგატყე კილოში,
პატარა, მომცრო ყვაეილო,
გაზრდილო საინგილოში."

ფატი აღნიაშვილი

სოფელი შილდა ცნობილია თავისი ისტორიული წარსულით და დღევანდელობით. ამ სოფელში დაიბადა ბევრი სახელგანთქმული ქართველი მამულიშვილი.

შილდაში მცხოვრები საგვარეულოებიდან გამორჩეული ადგილი უკავია აღნიაშვილების საგვარეულოს, რომელის ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ეთნოგრაფი და ფოლკლორისტი ლადო აღნიაშვილი (1860-1904).

თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში სწავლა-განათლება აღნიაშვილების საგვარეულოს ათეულობით წარმომადგენელმა მიიღო. მათ შორის ერთ-ერთი იყო ფატი აღნიაშვილიც. იგი რვა წლის ასაკში შეიყვანეს აღნიშნულ სასწავლებელში, რომელიც 1921 წლიდან — ქალთა გიმნაზიად, ხოლო 1922 წლიდან — ჰუმანიტარულ ტექნიკუმად გადაკეთდა.

1923 წლიდან ფატი აღნიაშვილმა მასწავლებლად დაიწყო მუშაობა მშობლიურ სოფელში, ხოლო 1928 წლიდან მასწავლებლად გადავიდა თელავის შრომის V სკოლაში. იგი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ასწავლიდა მათემატიკას IV საშუალო სკოლაში, რომელსაც ერთხანს ქალთა I სკოლის სახელით მოიხსენიებდნენ.

ფ. აღნიშვილის მიერ 1955 წლის 16 სექტემბერს დაწერილ ავტობიოგრაფიაში ვკითხულობთ, რომ მან მათემატიკა შეაყვარა ბევრ ახალგაზრდას, რომლებმაც თავიანთი ცხოვრე-

ბის გზად მათემატიკური მეცნიერებანი ამოირჩიეს. მაგალითისათვის დავასახელებთ მის ეკუს — ალმასხან ნიკოლოზის ძე ალბუთაშვილს, რომელმაც მოსკოვის მიხეილ ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ასპირანტურა დაამთავრა. იგი იყო ცნობილი მათემატიკოსი და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ასწავლიდა.

ფაქტი აღნიშვნილი თავის მეუღლესთან — ნიკოლოზ მათეს ძე ალბუთაშვილთან ერთად, პედაგოგიურ სარბიელზე 40 წელზე მეტხანს მოღვაწეობდა.

თინათინ ლომიძე-ქაშაკაშვილისა

თელავში დავით ლომიძის ოჯახი ხელოსნობით იყო განთქმული. მას ამქრის წევრები პატივისცემით ეპყრობოდნენ. მის ოჯახში 1894 წლის 10 ნოემბერს დაიბადა ქალიშვილი, რომელსაც თინათინი შეარქვეს.

თინათინ ლომიძემ თელავის წმ. ნინოს სასწავლებელი დაამთავრა. შემდეგ მან სწავლა განაგრძო თბილისის ქალთა IV გიმნაზიაში. ეს სასწავლებელი მან მათემატიკის განხრით დაამთავრა.

1914 წლიდან თინათინი პედაგოგიურ სარბიელზე მოღვაწეობდა. ის მასწავლებლად მუშაობდა ზემო მაჩხაანში, ყვარელსა და ენისელში.

1917 წლიდან იგი დაუბრუნდა მშობლიურ თელავს, სადაც მუშაობას შეუდგა წმ. ნინოს სასწავლებელში. იყო სახელგანთქმული მასწავლებელი-მათემატიკოსი.

თინათინი სწავლობდა თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, საიდანაც 1937 წელს, მეუღლის — ნესტორ ქაშაკაშვილის დაპატიმრების გამო დაითხოვეს.

თინათინმა აღზარდა ერთი შვილი — ლია ნესტორის ასული ქაშაკაშვილი, რომელიც ცნობილი მათემატიკოსი იყო და დიდხანს მოღვაწეობდა თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მათემატიკის კათედრის გამგედ.

ტასო აბაშიძე

ტასო — დამსახურებული მსახიობების ვასო და მაკო აბაშიძეების ასული იყო. საქართველოს სახალხო არტისტს თელავთან გამორჩეული სიყვარული აკავშირებდა. აქ იგი წმ. ნინოს სასწავლებლის დახურული პანსიონის საანბანო განყოფილებაში სწავლობდა.

1951 წელს ტასო აბაშიძე თელავში სტუმრად ჩამოვიდა. კახთ მეფეთა სასახლე მან კიდევ ერთხელ, კრძალვით დააოვალიერა. მაშინ თელავში გაიმართა ვასო აბაშიძის მოგონების საღამო, რომელზედაც ქალბატონი ტასოც დაესწრო. სწორედ მაშინ მუშაობდა იგი

თაეის მემუარების წიგნზე, საიდანაც რამდენიმე საინტერესო ეპიზოდი მან თელაველებს წაუკითხა.

ტასო მოხიბლული იყო თელაველების სითბოთი. იგი ისტუმრეს ისტორიული სტუმარ-მოყვარეობით განთქმული ძმების გიორგი და სანდრო ჩხუბიანიშვილების ოჯახებმა. მსახიობი მაშინ დაუმეგობრდა მათ ასულებს: მათიკოს, ცისიასა და ლილის. ისინი უხვად დაასაჩუქრა ფოტოებით, რომლებზედაც იგი გამოსახული იყო მის მიერ სხვადასხვა დროს განსახიერებულ როლებში.

ერთ-ერთ ასეთ ფოტოზე ეკითხულობთ:

"ჩემს პატარა ცისოს, საყვარელ ციცუნიას, რომლის ხსოვნასაც მუდამ გულში ვატარებ. იყავი გენაცვალე მუდამ ასეთი მხიარული და ხალისიანი. მუდამ შენი მოსიყვარულე კნ. ზუმბულაძისა" (ტასომ 1917 წელს შექმნა კნეინა ს. ზუმბულაძისას სახე).

მსახიობის პორტრეტზე ასეთი სევდანარევი წარწერა გეხვდება:

"ჩემო ცისო!

გაეიდა ბედნიერი წლები. ჩემი სახე შეიცვალა, აღარა მაქვს ის იერი. ტასო".

ცისია ჩხუბიანიშვილი დღეს ცნობილი ბიოლოგია, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ის იგონებს, რომ ტასო აბაშიძეს თელავში თბილ შეხვედრებს უწყობდნენ, ხოლო ცნობილი მსახიობი კი თაეის მასწავლებლებზე ფრიად საინტერესო ამბებს ყვებოდა.

თამარ თურქესტანიშვილი

თამარ თურქესტანიშვილი მასწავლებლად მუშაობდა თელავის IV საშუალო სკოლაში. ამ სკოლაშივე ასწავლიდა თელაველებისათვის საყვარელი მასწავლებელი ნინო ყაზახაშვილი. ამ სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს თავიანთი ჩაცმა-დახურვით და ყოფა-ცხოვრების გამორჩეული წესებით ორივე მათგანი ამშვენებდა. ისინი ჩვენი უტყუარი მემატიანეები იყვნენ.

ქალბატონმა თამარმა ჩვენი თხოვნით დაწერა ერცელი ავტობიოგრაფია "ჩემი გვარი და მისი წარმომადგენლები", საიდანაც ბევრი რამ დღეს ჩვენთვის საყურადღებოა.

აზნაური (იყვნენ თავადებიც) თურქესტანიშვილები თელავში ცხოვრობდნენ. მათ მამულები ამ ქალაქის მახლობლად მდებარე სოფელ ხორხელში ჰქონდათ.

თურქესტანიშვილები კახთმეფეთა კარზე მოღვაწეობდნენ. ისინი ცნობილნი იყვნენ, როგორც კარის მდივან-მწიგნობრები.

მეფე არჩილ II-ის კარზე იღვწოდა დავით თურქესტანიშვილი, რომელიც მოსკოვში მყოფ მეფეს თან ახლდა. როგორც ცნობილია, მეფემ იგი ყირიმის ხანთან დახმარების სათხოვნელად გაგზავნა.

1705-1706 წლებში დავით თურქესტანიშვილმა გადაწერა არჩილ II-ის თხზულებანი "არჩილიანის" სახელწოდებით.

შემორჩენილია ქართლის მეფე ვახტანგ V-ის წყალობის წიგნი ბოძებული თამარ თურქესტანიშვილისადმი.

თურქესტანიშვილები სხვა ქართველი მეფეების კარსაც მოღვაწეობდნენ.

ქართლის მეფეს ვახტანგ VI-ს ერასტი თურქესტანიშვილი რუსეთში გაჰყვა. მან რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნა აპოფთეგმური თხზულება "სიტყვისგება სოკრატისი და მრაველთა ფილოსოფოსთა". შემდეგში ეს ნაწარმოები გალექსა ვახტანგ VI და მას "სიბრძნე მალალობელი" უწოდა.

ბაადურ (ბორის) თურქესტანიშვილმა მონაწილეობა მიიღო ვახტანგ VI-სა და პეტრე I-ს შორის წარმოებულ დიპლომატიურ მოლაპარაკებებში. 1724 წელს ის თავის ნათესავებთან ერთად, მეფეს რუსეთში გაჰყვა.

1778 წელს მეფე ერეკლე II-მ ნინია (ივანე) თურქესტანიშვილს ყოველწლიური ჯამაგირი დაუნიშნა. იგი სამეფო სასამართლოს საქმიანობაში მონაწილეობდა.

ბაადურის შთამომავალი იყო ბორისი, მიტროპოლიტი ტრიფონი (1861-1934), რომლის შესახებაც ჩვენი გამოკვლევა ახლო მომავალში გამოქვეყნდება.

ბორისის ეაჟის ილიას შთამომავალი – ბარბარა (ვარვარა) თურქესტანიშვილი (1775-1819) რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის საიმპერატორო კარზე ცნობილი სეფე-ქალი (ფრეილინა) იყო.

თურქესტანიშვილთა გადმოცემით, გამოჩენილი რუსი მხატვრის ივანე კრამსკოის ტილოზე – "უცნობი ქალი" გამოსახულია სწორედ ზემოხსენებული ვარვარა თურქესტანიშვილი.

თელავის წმ. ნინოს სასწაულებელს ორი ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა თურქესტანიშვილების საგვარეულოს კახეთის შტოს წარმომადგენელი – ბარბარე მიხეილის ასული თურქესტანიშვილი.

თურქესტანიშვილების მწიგნობრულ მოღვაწეობაზე მეტყველებს ის ხელნაწერი წიგნები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს. ერთ-ერთი ხელნაწერი "ეისრამიანისა" დაცულია თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (№ 2480) და დათარიღებულია XVIII საუკუნით (იხ.: ალმანახი "მწიგნობარი", 1984, ნაწილი მეორე, თბ., 1986, გვ. 148-155).

თამარ თურქესტანიშვილის აეტობიოგრაფიულ ჩანაწერებში მოხსენიებულია აგრეთვე "როსტომიანისა" და "ყარამანიანის" ხელნაწერებიც.

იგი სწავლობდა იმ ჯგუფში, სადაც მისი სათაყვანებელი მასწავლებლის ვ. ბარნოვის ქალიშვილი ლელა სწავლობდა. ავტობიოგრაფიაში ის იხსენიებს ასევე მასწავლებლებს: ტატიანა ივანეს ასულ ჯანდიერს, მართა მიხეილის ასულ შიუკაშვილს და სხვებს.

თამარმა და მის დებმა ნინომ და რახილმა – თელავის წმ. ნინოს სასწაულებელი დაამთავრეს.

დებს ყოველთვის ახსოვდათ დარიგებანი მამისა, რომელიც მათ ასე შთააგონებდათ: "სიკეთე თესეთ უშურველად და მუდამ გახსოვდეთ, რომ რასაც მარჯვენა ხელი გასცემს, მარცხენამ არ უნდა იცოდესო" და "თქვენი ქონება სხვასაც უნდა უხაროდესო".

ნინო სვიმონის ასული ყა'სახა'შვილის, როგორც სახელგანთქმული პედაგოგის სახელი, ამშვენებს თელავის მდიდარ საგანმანათლებლო ისტორიას. იგი თელავში პედაგოგად 58 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა.

ნ. ყაზახაშვილმა ჯერ კიდევ ამ სასწავლებელში სწავლის დროს მიიქცია მასწაულებლების ყურადღება. სწორედ მათი რჩევით, თბილისის წმ. ნინოს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ის თელავში დაბრუნდა და მუშაობას მშობლიურ სკოლაში შეუდგა.

ნინო ყაზახაშვილი ასწავლიდა ქართულ და რუსულ ენებსა და ლიტერატურას, საქართველოს ისტორიას. ძნელია მოიძებნოს თელავის საგანმანათლებლო ცხოვრებაში მეორე ასეთი პიროვნება, ვისაც ასეთი სახელი და სიყვარული მოეპოვებინოს, როგორც ეს ჰქონდა ქალბატონ ნინოს.

მოვიტანთ ფრაგმენტებს ნინო ყა'ხახაშვილის ნამოწაფრებისა და კოლეგების მოგონებებიდან.

მასწავლებელი ეკატერინე ხატიაშვილი იგონებდა: "ოციან წლებში თელავის ქალთა ჰუმანიტარულ ტექნიკუმში საქართველოს ისტორიას ოთხი წლის განმავლობაში მასწავლიდა. მახსოვს, თეთრი კაბით შემოდიოდა გაკვეთილზე. საოცრად ლამაზი იყო. ამის შემდეგ, იშვიათადღა მახსოვს, რომ ასე ერთმანეთს ეხამებოდეს პიროვნების გარეგნობა და შინაგანი სამყარო. გაკვეთილზე ყოველთვის მშვიდი და ღიმდაფენილი იყო, ხმის აწევა არ სჭირდებოდა – იგი თავისი გარეგნობით, დამაჯერებელი ხმით და შესანიშნავი გადმოცემით ყველას ატყვევებდა.

ჩემი პედაგოგიური მუშაობის ხანგრძლივ მანძილზე ყოველთვის მჭონდა სურვილი ვყოფილიყავი ნინო ყაზახაშვილისთანა მასწავლებელი.

წლების შემდეგ კვლავ შევხვდი მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე იგი მიკითხავდა ქართულ სკოლებში რუსული ენის სწავლების მეთოდიკას. აქაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა და სამუდამოდ აღბეჭდა ყველა მსმენელის მეხსიერებში თავისი ნათელი პედაგოგის გაუხუნარი სურათი".

საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი დავით კირვალიძე იგონებდა: "1942 წელს ნინო ყაზახაშვილს ვაჟიშვილი გარდაეცვალა...

მგლოვიარე მასწავლებელი სექტემბერში სკოლაში ვეღარ მოვიდა. ამ ამბავმა დიდი შეშფოთება გამოიწვია თელავის შრომის II სკოლის მოსწავლეთა შორის. მისი შემცვლელი მასწავლებელი კლასში არ შეუშვეს...

ქალბატონი ნინო იძულებული გახდა სკოლაში დაბრუნებულიყო. მოსწავლეები მას სკოლის შესასვლელში დახვდნენ, ხელში აიტაცეს და ისე შეიყვანეს კლასში".

ემილიანა გოგიაშვილმა ასე გაიხსენა ნინო: "მისი გამოჩენა სკოლაში მზის ამოსვლას ჰგავდა. ყველაფერს უმალ სხვა ფერი ეძლეოდა, ყველანი სხვები ვხდებოდით – უფრო

სრულყოფილები, უფრო კარგები, უფრო საქმიანები, უდიდეს მოწონებასა და პატივისცემას იწყებდა კოლეგებში თავისი დიდი ცოდნით, მდიდარი გულით, ფართო ერუდიციით.

მისი ნათქვამი სიტყვა გადამჭრელი იყო, მისი შეკება – ყველაზე მაღალი ჯილდო. როცა ის სკოლიდან წავიდა, მისი ადგილი ცარიელი დარჩა".

ნ. ყაზახაშვილის ნამოწაფარი ჟურნალისტი ნუნუ მატარაძე იგონებდა: "მინდა გავიხსენო მისი მუშაობის მეორე საყურადღებო მხარე. წლების განმავლობაში მუშაობდა თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში მეცნიერ-მუშაკად.

მრავალი მნახველი მოუნუსხავს ქალბატონ ნინოს უებრო ქართული და რუსული მეტყველებით, ისტორიის ღრმა ცოდნით.

მახსოვს რუსი მწერლის ანა ანტონოვსკაიას აღფრთოვანებული სიტყვები:

– "გაოცებული ვარ თქვენი რუსული ენის ბრწყინვალე ცოდნით...

ჩემი რომანის გმირი გიორგი სააკაძე ახლა კახეთშია, აქ მოქმედებს და თუ ამ საქმეში კონსულტაციებს გამიწევეთ, დიდი მადლიერი დაგრჩებითო" (იხ.: გაზეთი "ალაზნის განთიადი", 1980, 15 აპრილი).

ნინო ყაზახაშვილმა მუზეუმში მოღვაწეობის დროს ბევრი ექსპონატი შეკრიბა, და სამეცნიერო ნაშრომები დაწერა. მანვე შეისწავლა საბავშვო მწერლის ზაქარია ნემსაძის (წერდა "კახ-იმერლის" ფსევდონიმით) ცხოვრება და შემოქმედება.

ნინო – შემოქმედი მასწავლებელი იყო. მან თარგმნა ა. პუშკინის რამდენიმე ლექსი. მათ შორის ერთ-ერთი – "სიმღერა ბრძენ ოლეგზე" გამოქვეყნდა თელავში დაბეჭდილ პედაგოგიურ ჟურნალშიც.

მისი შთაგონებით თელაველმა პედაგოგმა ნიკო ხატისკაცმა თარგმნა და გამოსცა რუსი მწერლის ი. ტურგენევის რომანები: "აზნაურთა ბუდე", და "კვამლი".

ნინო ყაზახაშვილი მეგობრობდა სახელოვან ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან.

არსებობს გადმოცემა, რომ ნინოს შთაგონებით შეიქმნა იოსებ გრიშაშვილის ცნობილი ლექსები: "თალხი კაბა" და "ციცინათელები თმებში".

1991 წლის მაისში ნინო ყაზახაშვილი – 105 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია თბილისში.

ნინო ცინცაბაძე-ლლონტისა

თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში 1919-1920 წლებში მიღებულ გოგონებს, სკოლის პერეტრუბაციის გამო, ქალთა სკოლის ანუ პედაგოგიური ტექნიკუმის დამთავრება მოუწიათ. იმხანად, იმ საწავლებელში ასწავლიდნენ ამავე სკოლადამთავრებულები – ზინაიდა კველიშვილი და ნინო ყაზახაშვილი.

წმ. ნინოს სასწაულებლიდან თელავის შრომის II სკოლაში გადასულთა შორის იყო ნინო ცინცაბაძეც.

იგი დაიბადა 1906 წელს, თბილისში, რკინიგზის მუშაკის ოჯახში. გოგონა ადრე დაობლდა. მასზე მზრუნველობა ითავა უფროსმა ძმამ ნიკიფორემ, რომელიც იმხანად თელავში მსახურობდა. 1921-1928 წლებში ამავე ქალაქში მსახურობდა მათი ნათესავი სამსონ ცინცაბაძე. სწორედ ამ უკანასკნელის წყალობით მოხვდა ნინო – თელავის წმ. ნინოს სასწაულებელში.

ნინოს მოსწაულეობის დროს ჰქონდა ალბომი, რომელშიც მის თანაკლასელებს, მეგობრებსა და მასწაულებლებს სხვადასხვა დროს ჩაუწერიათ ლექსები, აფორიზმები, სურვილები, შთაბეჭდილებები და გაუკეთებიათ ჩანახატები. ალბომს ამშვენებს მასწავლებლების ია ეკალაძის (იაკობ ცინცაძის) და ნინო ყაზახაშვილის ავტოგრაფებიც.

ალბომში ია ეკალაძის ასეთი ჩანაწერი გვხვდება:

"ჩემს მოწაფე ნინოს!

მე მგონია: ყველაფერი რაც კი ხდება კაცთა ურთიერთობაში, ხდება ქალის გამო, ქალისათვის და ქალის მიერ. დაუკვირდი კარგად ამ დებულებას და არასოდეს, არასოდეს არ გააგდოთ ხელიდან დროშა თავისუფლებისა; აფრქვიეთ თქვენს გარშემო სიკეთე და ბედნიერად გაიკელიეთ თქვენს გარშემო ცხოვრების გზა.

ია ეკალაძე-ცინცაძე.

10. VI. 1925 წ. ქ. თელავი".

ნინო ცინცაბაძის დღიურში ასეთი სიტყვები ჩაწერა ნინო ყაზახაშვილმა:

"ნინას!

ცხოვრების ულმობელი კანონია, რომ დროთა მსვლელობაში, ცხოვრების ეკლიან გზაზე, ადამიანმა უნდა დაკარგოს თანდათან ახალგაზრდული აღფრთოვანება, და ყოველიე ის, რაც სჩვევია სიგიჟმაუე, ახალგაზრდობა დაუმორჩილოს მშრალსა და ცივს გონებას. გისურვებ, რაც შეიძლება ხანგრძლიე შეინარჩუნო ახალგაზრდობა. სული და გული ჰარმონიულად შეუხმატკბილო გონება-გრძნობებს.

ნინო ყაზახაშვილი

15. VI. 1925. თელავი".

ერთ-ერთი მეგობარი ნინო ცინცაბაძეს ახსენებდა მამია გურიელის ცნობილი ლექსის სტრიქონებს:

"ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს
და სიყვარული მოძმეთა ვალად,
სამშობლო შენი მარად გახსოვდეს,
თუ კი გსურს გახდე ადამიანად".

იმ დროს, ამ სიტყვების ჩაწერა ალბომში, საკმაოდ სარისკო იყო.

მიუხედავად იმისა, რომ 1924 წლის სახალხო აჯანყების ერთ-ერთ ეპიცენტრს თელავი წარმოადგენდა და იქაურებმაც თავიანთი თვალით ნახეს, თუ რა უბედურება დატრიალდა, კომუნისტურმა რეჟიმმა ქართველ ახალგაზრდებში პატრიოტული განწყობილება მაინც ვერ ჩაკლა.

ნინოს ბრძოლისაკენ მოუწოდებდა მისი მეგობარი კ. გიოშვილი, რომელიც წერდა:

"კმარა, რაც რომ გვითმენია,
ახლა ნუღარ დავაყოვნებთ,
სხვებისთვის თუ გვიბრძოლია,
სამშობლოსთვის ვერ ვიბრძოლებთ?!"

1925 წლის 16 მარტს თამარ მაყაშვილმა მეგობრის ალბომში ჩაწერა გრიგოლ რობაქიძის ლექსი "ვერის ხიდზე", რომელშიც ეკითხულობთ:

"ვერის ხიდზე მძიმე ღამით თმაგაშლილი ქარი მღერის,
ლანდი დასტვენს ვერის ხიდზე, ლანდი თოვლის და ნამქერის,
ვერის ხიდზე ქარი ზუის, მწვანე ზღაპარს ანიავებს,
ჰე! არული გაუმართავთ ვერის ხიდზე კუდიანებს.
ვერის ხიდზე ქარი გიჟი დაელურს უელის, სტვენს და ჰკივის,
ჭინკა ჭინკას მისდევს ცეკვით, კუდიანი ხტის და ჰყივის,
ვერის ხიდზე, ველურ ხმაზე, ქარი აყრის მტკვარს სიამეს,
სისხლის ლანდი, ვერის ხიდზე გულს ეჭრება მძიმე ღამეს...
მძიმე ღამით ვერის ხიდზე მთვრალი ქარი სატრფოს ელის...,
ვერის ხიდზე ქეიფია გამართული გიჟი ველის".

ალბომში ჩაწერილია თამარ ხუციშვილის, მელო გიოშვილის, ნინო თუშიშვილის, თამარ მთვარელიშვილის, ანეტო სარალიძის, ელენე ჯანდიერის და სხვათა ლექსები, აზრები, ჩანახატები. როგორც ჩანს, ხსენებული ალბომი ერთგვარად აგრძელებს წმ. ნინოს სასწაულებლის მოსწავლეთა უბის წიგნაკების ტრადიციას. აქ ჩაწერილი სტრიქონები, ნაცნობი და უცნობი ლექსები გვაგრძნობინებენ ეპოქის სუნთქვას, იძლევიან ახალგაზრდების ურთიერთობის საუკეთესო მაგალითს.

1933 წელს ნ. ციცაბაძემ ცხოვრება დაუკავშირა საქართველოს დამსახურებულ იურისტს ამბროსი მაქსიმეს ძე ღლონტს. მათ აღზარდეს სამი ვაჟი, რომელთაგან ომარი – ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატია, თეიმურაზი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ტარიელი კი იურისტია. მათი შთამომავლებიდან – გიორგი ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატია, ზეიადი – მხატვარია, პოლონეთის მხატვართა კავშირის წევრი. სხვებიც აგრძელებენ ერთი კარგი ქართული ოჯახის საუკეთესო ტრადიციებს.

თავადი ყარალაშვილები მდინარე ალაზნის გაღმა მხარეს, სოფელ ართანაში ცხოვრობდნენ. მათი ოჯახი განთქმული იყო ქართული შემოქმედება-სიმღერით და სახიობით.

ვინ არ ყოფილა სტუმრად ყარალაშვილების ოჯახში: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი. რაფიელ ერისთავი, ლადო აღნიაშვილი, ჩეხი მუსიკოსი რატილი თუ ვანო სარაჯიშვილი და არ მოხიბლულა ლუარსაბ, რეზო, გიგლო და დათა ყარალაშვილების არაჩვეულებრივი სიმღერით.

გიგლო იყო მამა ცნობილი კინომსახიობისა კოხტა ყარალაშვილისა, ხოლო ლუარსაბი — მსახიობ მელანია ყარალაშვილისა.

ლუარსაბ ყარალაშვილის ქალიშვილები: მელანია (მელო), დარია და ნინო თელაიის წმ. ნინოს სასწავლებელში სწავლობდნენ. სამიეე მათგანი დაჯილდოებული იყო მუსიკალური და სამსახიობო ნიჭით.

დებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა მელო, რომელმაც ქართველ ხალხს თავი სახასიათო როლების შესრულებით დაამახსოვრა. მას შესრულებული ჰქონდა 150-მდე როლი სხვადასხვა თეატრალურ დასში. მათ შორის იყო: გენრიეტა — "ორ ობოლში"; ზაირა — "ანზორიში"; პასკევალა — "ცხვრის წყაროები"; სოფიო — "ვინ არის დამნაშაეები"; ბონჩარიოეა — "პლატონ კრეჩეტში", ნატალია — "ქრისტინეში" და სხე.

ქალბატონმა მელომ, ქართველ ხელოვანთა ჯგუფთან ერთად, კონცერტით მთელი საქართველო მოიარა. დაუვიწყარია მის განუყრელ "გარმოშკაზე" და თარხნიშვილის ქალის დაირაზე ერთობლიეად შესრულებული სიმღერები: "კეკელო და მარო", "ტაში ბიჭო", "საქართველო" და მათ მიერ გაცოცხლებული საცეკვაო მელოდიები ძველი ხაბარდოები, ბაღდადურები და კინტოურები.

მელოს ყოეელთვის ახსოედა თელავში, ბებიის ოჯახში და წმ. ნინოს სასწავლებელში გატარებული წლები. ის განსაკუთრებული სიფაქიზით იხსენიებდა თავის მასწავლებლებს ვასილ ბარნოვს და ნიკო სულხანიშვილს.

1957 წელს მ. ყარალაშვილს დაბადების 60 და სასცენო მოღეაწეობის 30 წლის იუბილე გადაუხადეს.

ლუარსაბ, დათა და გიგლო ყარალაშვილები ახლო მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ დიდ ვაჟა-ფშაველასთან. ცნობილია გიგლოსადმი მიძღვნილი ვაჟა-ფშაველას ლექსი და მისიეე სურათი ექსპრომტით, რომელიც მსახიობმა მელო ყარალაშვილმა გადასცა ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახლ-მუზეუმს.

ვაჟა-ფშაველას სურათს ახლავს დიდი პოეტის ასეთი მინაწერი:

"ორ ძმას — ლუარსაბს და დათას!

მომირთმევია ვაჟებო, თქვენთვის რამ მცირე ძღვენია,

ღმერთმა აცოცხლოს თქვენს გულში ვაჟა-ფშაველა თქვენია.

1889 წლის 25 მარტს".

1985 წლის 13 დეკემბერს გაზეთ "ლიტერატურულ საქართველოში" (№ 50) ეს ექსპრომტი არასწორი ინტერპრეტაციით გამოქვეყნდა.

მელო ყარალაშვილის შესახებ ჟურნალ "საბჭოთა ხელოვნებაში" გამოქვეყნებულ გაჩხილაძის წერილში დაბეჭდილია ამ ექსპრომტის ასეთი ვარიანტი:

"მომირთმევია ეაჟებო, თქვენთვის მცირე რამ ძღვენია,
მიყვარხართ სულით და გულით, ეაჟა-ფშაველა თქვენია".

შინაარსი

ქალთა განათლების ისტორიისათვის თელავში 5

თელავის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის
მასწავლებლები, შემწენი და მოწაფეები 39

მარინე გოგბაიძე
გიორგი ჯავახიშვილი

ქალთა განათლების კერები თელავში

თბილისი
2010

წიგნის გარეკანზე გამოყენებულია ელენე ახელედიანის ფერწერული
ტილო "თელავი", რომელიც მხატვარმა 1927 წელს შეასრულა.